სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია

LEPL - DAVID AGHMASHENEBELI
NATIONAL DEFENCE ACADEMY OF GEORGIA

კომუნიკაციის როლი მართვის პროცესში და მისი ფსიქოლოგიური ასპექტები

THE ROLE OF COMMUNICATION IN THE MANAGEMENT PROCESS AND ITS PSYCHOLOGICAL ASPECTS

სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის ნაშრომთა კრებული
COLLECTION OF THE PAPERS OF THE SCIENTIFIC-PRACTICAL CONFERENCE

გორი, 2022

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია

LEPL - DAVID AGHMASHENEBELI
NATIONAL DEFENCE ACADEMY OF GEORGIA

კომუნიკაციის როლი მართვის პროცესში და მისი ფსიქოლოგიური ასპექტები

THE ROLE OF COMMUNICATION IN THE MANAGEMENT PROCESS AND ITS PSYCHOLOGICAL ASPECTS

სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის ნაშრომთა კრებული
COLLECTION OF THE PAPERS OF THE SCIENTIFIC-PRACTICAL CONFERENCE

გორი, 2022

სარედაქციო კოლეგია

სარედაქციო კოლეგიის ხელმძღვანელი

პოლკოვნიკი დავით რაზმაძე — სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის რექტორის მოადგილე

სარედაქციო კოლეგიის ხელმძღვანელის მოადგილე

პოლკოვნიკი გიორგი ლაღიაშვილი — აკადემიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი

სარედაქციო კოლეგიის წევრები

პოლკოვნიკი ზურაბ ზერეკიძე — აკადემიის ბაკალავრიატის უფროსი

ალექსი ბურდულაძე — აკადემიის ბაკალავრიატის ინფორმატიკის მიმართულების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი

ნანი არაბული — აკადემიის ბაკალავრიატის ინფორმატიკის მიმართულების ასოცირებული პროფესორი

მაიორი იოსებ ტურაშვილი — აკადემიის ბაკალავრიატის მენეჯმენტის მიმართულების უფროსი

რუსუდან დალაქიშვილი - ჭიჭინაძე — აკადემიის ბაკალავრიატის მენეჯმენტის მიმართულების ასოცირებული პროფესორი

ვიცე პოლკოვნიკი ნიკოლოზ ხაჩიძე — აკადემიის ბაკალავრიატის თავდაცვისა და უსაფრთხოების მიმართულების უფროსი

თინათინ კროპაძე — აკადემიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის მთავარი მეცნიერი

ქეთევან კვესელავა — აკადემიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის მთავარი მეცნიერი

რედაქტორი/კორექტორი

ზურაბ მჭედლიშვილი — აკადემიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის მთავარი რედაქტორი

მთარგმნელი

იზა ჯანიაშვილი — აკადემიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის უცხო ენის მთარგმნელი

კომპიუტერული უზრუნველყოფა

სალომე პოპიაშვილი — აკადემიის დისტანციური სწავლების ცენტრის მთავარი სპეციალისტი

© საავტორო უფლებები დაცულია

გამომცემლობა:

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია 2022

ISBN 978-9941-8-4644-1

Editorial Board

Head of the Editorial Board

Colonel David Razmadze — Deputy Rector of LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Deputy Head of the Editorial Board

Colonel Giorgi Laghiashvili — Head of Scientific Research Center of the Academy

Members of the Editorial Board

Colonel Zurab Zerekidze — Head of Baccalaureate of the Academy

Aleksi Burduladze — Acting Head of Informatics Program of Baccalaureate of the Academy

Nani Arabuli — Associate Professor of Informatics Program of Baccalaureate of the Academy

Major Ioseb Turashvili — Head of Management Program of Baccalaureate of the Academy

Rusudan Dalakishvili - Chichinadze — Associate Professor of Management Program of Baccalaureate of the Academy

Lieutenant Colonel Nikoloz Khachidze — Head of Defence and Security Program of Baccalaureate of the Academy

Tinatin Kropadze — Chief Scientist of Scientific Research Center of the Academy

Ketevan Kveselava — Chief Scientist of Scientific Research Center of the Academy

Editor/Corrector

Zurab Mchedlishvili — Editor in Chief of Scientific Research Center of the Academy

Translator

Iza Janiashvili — Foreign Language Translator of Scientific Research Center of the Academy

Computer Designer

Salome Popiashvili — Main Specialist of Distance Learning Center of the Academy

© ALL RIGHTS RESERVED

PUBLISHING:

LEPL - DAVID AGHMASHENEBELI
NATIONAL DEFENCE ACADEMY OF GEORGIA 2022

სარჩევი

სტრატეგიული კომუნიკაციის როლი ორგანიზაციული კონფლიქტების მართვაში
ლელა აბდუშელიშვილი 9

სასიამოვნო და უსიამოვნო განცდების შესახებ მოგონების ინტენსივობა და მისი მიმართება პიროვნების ტიპოლოგიასთან
თეა ალიბეგაშვილი 15

ეფექტური კომუნიკაციის ფსიქოლოგიური ფაქტორები
ნათია არჩვაძე 23

მოთხოვნილებათა პედაგოგიური ღირებულება
ნანა ბოკუჩავა 29

პიროვნება კომუნიკაციური ზეწოლის პირობებში
შორენა გაბოშვილი 35

კლიენტთან კომუნიკაციის ასპექტები ფსიქოკონსულტაციურ პროცესში
ნანა გოგიჩაშვილი 43

ეფექტური კომუნიკაციის მნიშვნელობა მართვის თანამედროვე მოდელის ფორმირების პროცესში
თამარ ვანიშვილი 54

დისტანციური სწავლების დიდაქტიკური პრინციპები
ქეთევან კვესელავა, თეა ბიძინაშვილი 61

აშშ-საქართველოს ურთიერთობები ჯორჯ უოლკერ ბუშისა და ბარაკ ობამას მმართველობის პერიოდში
ანი კობახიძე 71

ფსიქოკონსულტირების ტექნიკების როლი მართვის პროცესში
თინათინ კროპაძე 78

მართვის ხელოვნება გენდერულ ჭრილში (ესქილედან არისტოფანემდე)
თათია მარდალეიშვილი 87

ფსიქიკური ჯანმრთელობის მნიშვნელობა მოზარდობის ასაკში
დავით ქათამაძე, ლია მეტრეველი 95

სტუდენტების აკულტურაციის ორიენტაციები და ეთნიკურ/რელიგიურ ჯგუფებთან სიახლოვის აღქმა
თინათინ ტყეშელაშვილი 102

სამხედრო ფსიქოლოგიის ზოგადი პრობლემები
რამაზ ჩიჩუა 112

Table of Content

THE ROLE OF STRATEGIC COMMUNICATION IN MANAGING ORGANIZATIONAL CONFLICTS
Lela Abdushelishvili 10

THE INTENSITY OF MEMORIES OF PLEASANT AND UNPLEASANT FEELINGS AND ITS RELATION TO PERSONALITY TYPOLOGY
Tea Alibegashvili 16

PSYCHOLOGICAL FACTORS OF EFFECTIVE COMMUNICATION
Natia Archvadze 23

PEDAGOGICAL VALUE OF REQUIREMENTS
Nana Bokuchava 29

PERSONALITY UNDER COMMUNICATION STRESS
Shorena Gaboshvili 35

ASPECTS OF COMMUNICATION WITH THE CLIENT IN THE PSYCHOLOGICAL COUNSELING PROCESS
Nana Gogichashvili 44

THE IMPORTANCE OF EFFECTIVE COMMUNICATION IN THE FORMATION OF A MANAGEMENT MODERN MODE
Tamar Vanishvili 54

DIDACTIC PRINCIPLES OF DISTANCE LEARNING
Ketevan Kveselava,Thea Bidzinashvili 62

UNITED STATES RELATIONS WITH GEORGIA UNDER THE PRESIDENCY OF GEORGE W. BUSH AND BARACK OBAMA
Ani Kobakhidze 72

THE ROLE OF PSYCHOLOGICAL COUNSELING TECHNIQUES IN THE MANAGEMENT PROCESS
Tinatin Kropadze 79

THE ART OF MANAGEMENT IN A GENDER CONTEXT (FROM AESCHYLUS TO ARISTOPHANES)
Tatia Mardaleishvili 88

THE IMPORTANCE OF MENTAL HEALTH IN ADOLESCENCE
David Katamadze, Professor Lia Metreveli 96

STUDENTS' ACCULTURATION ORIENTATIONS AND PERCEPTIONS OF CLOSENESS TO ETHNIC/RELIGIOUS GROUPS
Tinatin Tkeshelashvili 103

GENERAL PROBLEMS OF MILITARY PSYCHOLOGY
Ramaz Chichua 113

სტრატეგიული კომუნიკაციის როლი ორგანიზაციული კონფლიქტების მართვაში

ლელა აბდუშელიშვილი
განათლების მეცნიერებათა დოქტორი,
შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

აბსტრაქტი

სტრატეგიული კომუნიკაციის მთავარი მიზანი არის შედეგის მიღწევა. კონფლიქტი კი, როგორც სოციალური მოვლენა, არის მხარეთა შორის არსებულ ინტერესთა და მიზნების სხვადასხვაობა და დაპირისპირება. ამდენად, სტრატეგიული კომუნიკაცია ორგანიზაციული კონფლიქტების მართვაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს შესაბამისი დადებითი შედეგის მისაღწევად და სიტუაციის განმუხტვისთვის. მისი მეშვეობით უნდა შემცირდეს კომუნიკაციის ბარიერები, დამყარდეს დადებითი დამოკიდებულება მუშაკებსა და ხელმძღვანელებს შორის, მოხდეს სწორი უკუკავშირი და, საბოლოო ჯამში კონფლიქტები გადაწყდეს ისე, რომ მივიღოთ ორივე მხარისთვის მაქსიმალურად დამაკმაყოფილებელი შედეგი. ხელმძღვანელებისა თუ სხვა პასუხისმგებელი პირების მიერ საჭიროა კონფლიქტების სტრატეგიულად მართვა ორგანიზაციის კეთილდღეობისთვის და ამისათვის სტრატეგიული კომუნიკაციის მექანიზმების ეფექტურად გამოყენება და კონფლიქტის ტრანსფორმაციული ხედვა. კონფლიქტი არ უნდა იქნას აღქმული, როგორც უარყოფითი მოვლენა. უნდა დავინახოთ მისი პოზიტიური შესაძლებლობები: ცვლილება, ადაპტაცია და უკეთეს მომავალზე ორიენტაცია. მნიშვნელოვანია კონფლიქტი მივიჩნიოთ ცხოვრების სტიმულად და გამოწვევად, რომელიც საჭიროებს შემოქმედებით რეაგირებას და არა ნეგატიურ განწყობას. საჭიროა სტრატეგიული კომუნიკაციის მექანიზმების გამოყენებით კონფლიქტის დესტრუქციული შედეგები დავიყვანოთ მინიმუმამდე ან საერთოდ აღმოვფხვრათ იგი. ამდენად, კონფლიქტი უნდა გადავაქციოთ სხვადასხვა შეხედულებების და ალტერნატიული გადაჭრის ძიების ობიექტად. ამის შედეგად კი, მასში ჩართულ ადამიანებს ეძლევათ შესაძლებლობა მკაფიოდ გამოხატონ აზრები და თქვან სათქმელი. ამავე დროს, პატივი სცენ განსხვავებულ მოსაზრებებს და ერთობლივად შეიმუშაონ სტრატეგიები და გადაჭრის გზები.

საკვანძო სიტყვები:
სტრატეგიული კომუნიკაცია; კონფლიქტი; დადებითი შედეგი; მიზნის მიღწევა; ალტერნატიული გადაჭრის გზები; ამბის თხრობა;

The Role of Strategic Communication in Managing Organizational Conflicts

Lela Abdushelishvili - PhD
International Black Sea University. Associate Professor.

Abstract

The main aim of strategic communication is to attain the outcome. Conflict, as such, as a social phenomenon, is differences and contradictions in interests and aims. Therefore, strategic communication plays a significant role in managing organizational conflicts to achieve the respective positive outcome and discharge the situation. Through it communication barriers need to be minimized, positive attitude established between the workers and managers, proper feedback given and, eventually, conflicts should be resolved to get to the win-win solution. Managers and other responsible individuals should manage conflicts strategically for the welfare of the organization and with this purpose use efficiently strategic communication mechanisms and see the conflict in a transformative way. Conflict should not be regarded as a negative phenomenon. Its positive aspects, such as, change, adaptation, focus on better future, should be identified. It is important to regard conflict as the challenge and stimulus of life which requires creative response rather than the negative attitude. Through the use of strategic communication mechanisms it is necessary to minimize destructive outcomes of conflict or wipe them out completely. Therefore, conflict should be transformed into the object of looking for various views and alternative ways of solution. As a result, those involved in it are given the opportunity to clearly express their ideas and views. At the same time, different views should be respected and strategic ways of resolving the conflict should be mutually developed.

Keywords:
strategic communication; conflict; positive outcome; aim attainment; ways of alternative resolution; story telling;

შესავალი

სტრატეგიული კომუნიკაციის მთავარი მიზანი შედეგის მიღწევაა. დერინა ჰოლტჰაუზენის და ანსგარ ზერფესის თანახმად, „სტრატეგიული კომუნიკაცია არის გაცნობიერებული და გამიზნული კომუნიკაციის აქტი, როდესაც კომუნიკატორი საჯარო სივრცეში, დასახული მიზნების უზრუნველყოფისთვის ორგანიზაციის სახელით მოქმედებს.“[1]

ტერმინი „სტრატეგიული კომუნიკაცია“ (სტრატკომი) პირველად მეორე მსოფლიო ომის დროს გამოიყენეს. შემდეგ 1966 წელს, როდესაც ამერიკის ეროვნული ომის კოლეჯში ვიცე-პოლკოვნიკმა, რობერტ სტროუკმა (Robert D. Stroke), გამოაქვეყნა ესსე თემაზე: „STRATEGIC COMMUNICATIONS AND THE SPECTRUM OF CONFLICT”. სტრატეგიული კომუნიკაციები, როგორც ახალი საინფორმაციო დისციპლინა აკადემიურ სფეროში 2007 წელს გაჩნდა.

კოლორადოს უნივერსიტეტის პროფესორის კირკ ჰალაჰანის განმარტებით, სტრატეგიული კომუნიკაციები არის „მიზანმიმართული კომუნიკაციის პროცესი ორგანიზაციის მისიის წარმატებისთვის“.[2] ამდენად, მკაფიო და ჩამოყალიბებული შეტყობინებები და ინფორმაციის ეფექტურად მართვა სტრატეგიული კომუნიკაციის აუცილებელი კომპონენტებია.

კონფლიქტი, როგორც სოციალური მოვლენა, არის მხარეთა შორის არსებულ ინტერესთა და მიზნების სხვადასხვაობა და დაპირისპირება. ორგანიზაციებში კონფლიქტები, როგორც წესი, სხვადასხვა მიზეზებითაა გამოწვეული: ამოცანების თანხვედრის არ არსებობა, ადამიანების მიერ საკითხის განსხვავებულად აღქმა და ღირებულებათა აცდენა, მხოლოდ საკუთარი პოზიციიდან მსჯელობა და მიკერძოებულობა, ქცევებს შორის განსხვავება, განათლების დონესა და გამოცდილიებაში აცდენა, ადამიანების ფსიქოტიპები და არაჯანსაღი ამბიციები. როდესაც ინტერესები მუდმივად შეუსაბამოა, კონფლიქტიც გარდაუვალია.

კონფლიქტის რამდენიმე ტიპი არსებობს. **ფარული,** რომელიც არ ჩანს ზედაპირულ დონეზე. შესაბამისად, საჭიროა მისი გამოაშკარავება. **ღია,** რომელსიც ღრმა ფესვები აქვს, ზედაპირზეც ადვილად შესამჩნევია და საჭიროებს ისეთი ზომების მიღებას, რომლებიც შეეხება სიღრმისეულ მიზეზებს და გარეგნულ გამოვლინებას. **ზედაპირული, რომელიც** შეიძლება გამოწვეული იყოს გაუგებრობით და ამიტომ შეიძლება მოგვარდეს კომუნიკაციის გაუმჯობესებით.

სწორი და ეფექტური სტრატეგიული კომუნიკაცია კონფლიქტურ სიტუაციებში საშუალებას გვაძლევს მოვხსნათ დაძაბულობა, გავაძლიეროთ ნდობა, განვამტკიცოთ ურთიერთობები და ადამიანებს პოზიტიური განცდები გავუჩინოთ. ამავე დროს, არ დავთმოთ საკუთარი ინტერესები და ვეძებოთ ერთობლივი გადაკვეთის წერტილები. მისი მეშვეობით უნდა შემცირდეს კომუნიკაციის ბარიერები, დამყარდეს დადებითი დამოკიდებულება მუშაკებსა და ხელმძღვანელებს შორის, მოხდეს სწორი უკუკავშირი და, საბოლოო ჯამში კონფლიქტები გადაწყდეს ისე, რომ მივიღონ ორივე მხარისთვის მაქსიმალურად დამაკმაყოფილებელი შედეგი. შესაბამისად, ხელმძღვანელებისა თუ სხვა პასუხისმგებელი პირების მიერ საჭიროა კონფლიქტების სტრატეგიულად მართვა ორგანიზაციის კეთილდღეობისთვის და ამისათვის **სტრატეგიული კომუნიკაციის მექანიზმების ეფექტურად გამოყენება.**

---

1 The Routledge Handbook of Strategic Communication. (2014). „Strategic Communication Opportunities and Challenges of the Research Area“. Edited by Derina Holtzhausen and Ansgar Zerfass Routledge Taylor; First published 2015 by Routledge 711 Third Avenue, New York, NY 10017; (გვ. (4)29-621))

2 International Journal of Strategic Communication 1 (1): 3-35. March 2007. DOI: 10.1080/15531180701285244

ძირითადი ნაწილი, რომელიც მოიცავს კვლევის მეთოდოლოგიასა და მიღებულ შედეგებს: საჭიროა კონფლიქტის ტრანსფორმაციული ხედვა. იგი არ უნდა იქნას აღქმული, როგორც უარყოფითი მოვლენა. უნდა დავინახოთ მისი პოზიტიური შესაძლებლობები: ცვლილება, ადაპტაცია, უკეთეს მომავალზე ორიენტაცია. მნიშვნელოვანია კონფლიქტი მივიჩნიოთ ცხოვრების სტიმულად და გამოწვევად, რომელიც საჭიროებს შემოქმედებით რეაგირებას და არა ნეგატიურ მოცემულობას. საჭიროა კონფლიქტის დესტრუქციული შედეგები დავიყვანოთ მინიმუმამდე ან საერთოდ აღმოვფხვრათ იგი. ამდენად, კონფლიქტი უნდა გადავაქციოთ სხვადასხვა შეხედულებების და ალტერნატიული გადაჭრის ძიების ობიექტად. ამის შედეგად, მასში ჩართულ ადამიანებს ეძლევათ შესაძლებლობა მკაფიოდ გამოხატონ აზრები და თქვან სათქმელი. ამავე დროს, პატივი სცენ განსხვავებულ მოსაზრებებს და ერთობლივად შეიმუშაონ სტრატეგიები და გადაჭრის გზები.

როგორც წესი, კონფლიქტის შედეგები დამოკიდებულია მისი მართვის ეფექტიანობაზე. თუ მართვა განხორციელდა სათანადო დონეზე, კონფლიქტს შეიძლება მოჰყვეს დადებითი შედეგები, კერძოდ, შეიძლება გაუმჯობესდეს მუშაობა ოპტიმალური გადაწყვეტილების მისაღებად, გაიზარდოს ალტერნატივების რაოდენობა და გაუმჯობესდეს თანამშრომლობა მომავალში. არასწორი მართვის შემთხვევებში კონფლიქტმა შეიძლება გამოიწვიოს შემდეგი სავალალო შედეგები: შრომის ეფექტიანობის დაცემა, მუშაკების გადინება, დაუკმაყოფილებლობის გრძნობის გაჩენა, სულიერი მდგომარეობის დაცემა.

შესაბამისად, საჭიროა კონფლიქტის მართვა სასურველი შედეგების მისაღწევად. მართვის ძირითადი შემადგენელი ნაწილებია:

1. სტრატეგია-განსაზღვრული მიზნების მისაღწევად
2. მართვა-დაგეგმილი, წინასწარ განზრახული ქმედება
3. ურთიერთქიშპი-ერთი და იმავე მიზნის, მდგომარეობის, პრიზისკენ სწრაფვა
4. კონფლიქტი-მწვავე უთანხმოება ან დაპირისპირება რომლის შედეგიც სხვა ორგანიზაციის მხრიდან უშუალო, ღია თავდასხმის საშიშროებაა

როგორც ვხედავთ, სტრატეგია პირველ ადგილზე დგას. ნამდვილად, სწორად შერჩეული სტრატეგია და არგუმენტირებული დასაბუთება გვეხმარება საკითხის სწორ ხედვაში, მეორე მხარისთვის პოზიციის სწორად ჩამოყალიბებაში, ნაკლოვანებების გამოვლენაში, სიტუაციაში და დაპირისპირებული მხარეების პოზიციების და სირთულეების გარკვევაში.

თავდაპირველად საჭიროა კონფლიქტური სიტუაციის გაანალიზება და ამ პროცესში აუცილებელია გავითვალისწინოთ თითოეული მხარის პოზიციები, რომლებიც გამოხატულია ოპონენტების ქცევასა და ქმედებებში. კონფლიქტს უნდა შევხედოთ ყველა ჩართული მხარის პოზიციიდან და თითოეულ მათგანში დავინახოთ შესაბამისი მიმართულება. ეს შესაძლოა იყოს თანამშრომლობა, კომპრომისი, ადაპტაცია, აცილება, მეტოქეობა და თითოეული მათგანი თავისებურად გამართლებული იყოს. ამდენად, საჭიროა კონფლიქტში ჩართულ მხარეებს სტრატეგიულად ავუხსნათ სამუშაოს მოთხოვნები, ორგანიზაციის მიზნები, საქმისადმი ერთგულების არსი და გუნდურობის პრინციპები, რათა მათ სხვა თვალით შეხედონ სიტუაციას და მოახდინონ შესაბამისი ანალიზი.

კვლევის მეთოდად გამოვიყენეთ **სტრატეგიული ამბის/ისტორიის თხრობა - ორგანიზაციულ კომუნიკაციაში ჩართული პირების ნარატიული ისტორიები.** როგორც დევიდ ბრუკერი (2004) აცხადებს, "ამბავი/ისტორია ერთ-ერთი მეთოდია, რომელიც კარგად ერგება მომხმარებელთა იმ პრობლემების ანალიზს, რომლებიც ზედაპირ ქვემოთაა. ისტორიის თხრობის მეთოდი მკვლევარს საშუალებას აძლევს გაანალიზოს ადამიანის ფსიქიკის ელემენტები, აღმოაჩინოს ადამიანის არსებობის არსი და მასში მოახდინოს მისი საკუთარი ინდივიდუალური მიზნის გააზრება".

ამდენად, როგორც განმარტებიდან ჩანს, ამბის/ისტორიის თხრობის მეშვეობით

შეიძლება კონფლიქტის მონაწილეთა სტრატეგიულად გაერთიანება საერთო ამოცანის გადასაჭრელად. გარდა ამისა, ეს მეთოდი იძლევა კომპრომისის საშუალებას, რაც მოიცავს დაპირისპირებული მხარეებისგან დამაკმაყოფილებელ შედეგს ნაწილობრივი დათმობის მეშვეობით და მათ ინტერესთა სანახევროდ დაკმაყოფილებას.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ამბის თხრობის მეშვეობით დაპირისპირებულმა მხარეებმა უკეთესად გაიაზრეს კონფლიქტური სიტუაცია, გვერდითი მაყურებლის პოზიციიდან შეხედეს მას, მიხვდნენ, რომ ცხელ გულზე მიღებული ემოციური გადაწყვეტილებები არც ერთი მხარისთვის არ იყო მისაღები და, რაც მთავარია, მათში მოხდა გარდაქმნა და ტრანსფორმაცია. მაგალითად, ხელმძღვანელი პირების შემთხვევაში, წინა პლანზე გადმოვიდა საერთო მიზნისკენ სვლის ელემენტი და ყველა ჩართული მხარის ინტერესების მეტ-ნაკლებად ობიექტურად და მომგებიანად დაკმაყოფილების სურვილი.

ნარატიული ისტორიების გამოყენების დროს მონაწილეებმა დაინახეს ლოგიკური კავშირები თავიანთ ნაამბობში, მოახდინეს წარსულის, აწმყოსა და მომავლის იმგვარად ინტეგრირება თხრობის პროცესში, რომ ამან მათზე უარყოფითი ზეგავლენა არ იქონია. პირიქით, მათ მოახდინეს სიტუაციის ძირფესვიანი ანალიზი და გათვითცობიერება საკუთარ ფიქრებსა და აზრებში, რაც მათ დაეხმარა კონსტრუქციულ შეფასებასა და მომავალზე ორიენტირებაში.

დასკვნითი ნაწილი, რომელიც მოიცავს მიგნებებს, შესაძლო რეკომენდაციებსა და სამომავლო პერსპექტივებს

შესაბამისად, გაკეთდა შემდეგი მიგნებები: როდესაც კონფლიქტის გადაჭრის პროცესში მონაწილეები აქტიურად არიან ჩართული თავიანთი ნარატივებით და პირადი ისტორიებით, ეს უზრუნველყოფს მათი ფსიქო-ემოციური ფონის გაუმჯობესებას და საკითხის კონსტრუქციულად ხედვას. ისინი აღიარებენ კონფლიქტის არსებობსას, ხელახლა გაიაზრებენ მას და ემოციური დაძაბულობაც ეხსნებათ.

შემდეგი მიგნება იყო ის, რომ მონაწილეებმა ყურადღება მიაქციეს საკუთარ ფსიქო-ემოციურ მდგომარეობას კონფლიქტის ესკალაციის პროცესში და დაინახეს, რომ მუდმივი ნეგატიური დამოკიდებულება და უაროფითი ემოციები დამქანცველი და არაფრის მომცემი იყო მაშინ, როცა საკითხზე დროული რეაგირება და მისი გადაჭრის ოპტიმალური გზების ძიება იყო საჭირო. ამდენად, როგორც კი საკუთარ ნარატივში ყურადღება გაამახვილეს მთავარ საკითხზე, პრობლემის მოსაგვარებელად მეტი ემოციური რესურსი გაჩნდა და მათი ფსიქო-ემოციური ფონიც დადებითი გახდა. ეს კი ყურადღების მობილიზებასა და საკითხის ანალიტიკურად გააზრებაში უწყობდა ხელს.

კონფლიქტური სიტუაციების სისტემატურად გაანალიზებით ამბის თხრობის მეშვეობით მონაწილეებმა ისწავლეს მნიშვნელოვანი და მეორეხარისხოვანი პრობლემების განსხვავება და გარკვეულწილად მოიპოვეს შინაგანი სიმშვიდე. უფრო კონკრეტულად, აღარ აქცევდნენ უმნიშვნელო პრობლემებს ყურადღებას, რაც აქამდე წარმოუდგენლად მიაჩნდათ, უკვე ჩვეულებრივი ამბავი გახდა მათთვის და, შედეგად, ხასიათიც გაუმჯობესდა. შინაგანი შფოთისგან განთავისუბლებამ მეტი ემოციური სტაბილურობა შემატა და საქმის შესრულების ხარისხმა იმატა. ამასთანავე, ისინი გახდნენ უფრო მეტად მომავალზე ორიენტირებული და შორსმჭვრეტელი და მიმღებლობის ხარისხი გაიზარდა.

ყოველივე ზემოთქმული მოწმობს, რომ ორგანიზაციული კონფლიქტების მართვის პროცესში ყურადღების გამახვილება სტრატეგიული კომუნიკაციის ელემენტებზე და ამბის თხრობის ტექნიკის გამოყენება საშუალებას მისცემს მხარეებს ეს კონფლიქტები მაქსიმალურად დაბალანსებულად და ორივე მხარისთვის მომგებიანად გადაჭრან.

გამოყენებული ლიტერატურა:

- The Routledge Handbook of Strategic Communication. (2014). „Strategic Communication Opportunities and Challenges of the Research Area“. Edited by Derina Holtzhausen and Ansgar Zerfass Routledge Taylor; First published 2015 by Routledge 711 Third Avenue, New York, NY 10017
- სტრატეგიული კომუნიკაციის შესაძლებლობების გაძლიერება საინფორმაციო და კომუნიკაციის ტექნოლოგიების მიმართულებით. გიორგი ჯანგიანი. 2020 წელი, ივლისი. British Embassy Tbilisi. GCSD
- International Journal of Strategic Communication 1 (1): 3-35. March 2007. DOI: 10.1080/15531180701285244

სასიამოვნო და უსიამოვნო განცდების შესახებ მოგონების ინტენსივობა და მისი მიმართება პიროვნების ტიპოლოგიასთან

თეა ალიბეგაშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი,
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

აბსტრაქტი

პიროვნების ტიპოლოგიურ განსხვავებათა გამოვლენა მეხსიერების პროცესებში შედარებით ნაკლებადაა ნაკვლევი იმ მრავალ განზომილებას შორის, რომლებშიც შესაძლოა შესწავლილ იქნეს მეხსიერებისა და პიროვნების ურთიერთდამოკიდებულების პრობლემა.

მეხსიერების პიროვნებასთან მიმართების ერთ-ერთ ასპექტად მე გამოვყავი აფექტური სფერო. კერძოდ, მიზნად დავისახე დადებითი ან უარყოფითი ემოციური ტონის მატარებელი შინაარსების უპირატესი მოგონების კვლევა პიროვნების იუნგისეულ ტიპოლოგიასთან მიმართებაში.

ნაშრომში დალაგებულია და ნაცადია ერთგვარი ანალიზი მეხსიერების პროცესებზე ემოციების ძალისა და გავლენის შესახებ ჰ. ებინჰაუსის, ე. თორნდაიკის, ზ. ფროიდის, პ. ბლონსკის კვლევებისა; დეტალურადაა განხილული კ. გ. იუნგის პიროვნების ტიპოლოგიის ძირითადი ასპექტები. აგრეთვე ამ პრობლემის შემდგომ მკვლევართა (ჯ. გილფორდი, რ. კეტელი, ჰ. აიზენკი) ზოგიერთი მოსაზრება და ნაცადია გარკვეული აქცენტების დასმა საკვლევ პრობლემასთან მიმართებაში.

აიზენკის კვლევის მონაცემებზე დაყრდნობით გამოთქმულია ვარაუდი, რომ ინტროვერტებს, რომელთა მეხსიერებაც, საზოგადოდ, უფრო მდიდარია და, რომელთაც აქვთ უფრო ძლიერი სუპერ-ეგო, შესაძლოა, უკეთ ახსოვდეთ ის მოვლენები, რომლებმაც უსიამოვნო განცდები აღძრა, ვიდრე ექსტრავერტებს. ამასთან, რამდენადაც სუბიექტის მეხსიერებაში კვალს ტოვებს ძლიერი ემოციონალური შთაბეჭდილებები და განცდები, ხოლო ინტროვერტებსა და ექსტრავერტებს განსხვავებული ღირებულებითი დამოკიდებულება აქვთ ცხოვრებისეული მოვლენების მიმართ და სხვადასხვაგვარად განიცდიან მათ, შესაძლოა, მათი მოგონებები შინაარსობრივადაც განსხვავდებოდეს ერთმანეთისაგან.

ამრიგად, დაისვა პრობლემა - განსხვავდებიან თუ არა ინტროვერტები და ექსტრავერტები მოგონების თავისებურებათა მიხედვით, ამახსოვრდებათ თუ არა ინტროვერტებს უსიამოვნო მოვლენები ექსტრავერტებზე უკეთ. საკითხის ნათელსაყოფად ჩატარდა ექსპერიმენტული კვლევა (პირველ ეტაპზე ვაგროვებდი მოგონებებს ა. ჯერსილდის მეთოდიკით, მეორე ეტაპზე ხდებოდა პიროვნების ტიპის დადგენა ჰ. აიზენკის 110-კითხვიანი პიროვნების საკვლევი კითხვარის მეშვეობით), რომელმაც დაადასტურა ჩემი ვარაუდი, რომ ინტროვერტების განცდები უფრო სუბიექტურია, ღრმა და ინტენსიური, ვიდრე ექსტრავერტებისა, რომელნიც ყოველგვარ ვითარებაში ცდილობენ უფრო მარტივად აღიქვან სამყარო და დავიწყებას მისცენ უსიამოვნებანი.

საკვანძო სიტყვები:
მეხსიერება, ინტროვერტი, ექსტრავერტი, განცდები, მოგონებები, ღირებულებითი დამოკიდებულებები.

The Intensity of Memories of Pleasant and Unpleasant Feelings and its Relation to Personality Typology

Tea Alibegashvili
PhD student at Georgian Technical University
Georgian National Academy of Sciences

Abstract

The identification of personality typological differences in memory processes is relatively less examined among many dimensions in which the problem of interdependence of memory and personality may be studied. I have singled out the affective sphere as one of the aspects of relation between memory and personality. Specifically, my aim was to examine the preferred memory of contents having a positive or negative emotional tone in relation to the personality typology identified by C. G. Jung.

The research presents an analysis of studies that was conducted by H. Ebbinghaus, E. L. Thorndike, S. Freud and P. Blonsky on the power and influence of emotions on memory processes. The paper discusses in detail the basic aspects of personality typology identified by C. G. Jung. In addition, some opinions of later researchers of this problem (J. P. Guilford, R. B. Cattel, H. J. Eysenck) are discussed, and a special emphasis is laid on the research problem.

The data provided by Eysenck's research suggests that introverts, whose memories are generally richer and who have a stronger Super-Ego, are likely to remember events better that evoked unpleasant feelings, than extroverts. In addition, since strong affective impressions and feelings leave traces on the memory of an object and introverts and extroverts have different value attitudes towards life events and experience them in different ways, their memories may also differ in terms of the content.

Thus, the problem was raised - whether introverts and extroverts differ in terms of memory features, and whether introverts remember unpleasant events better than extroverts. To clarify the issue, an experimental research was conducted. (In the first stage, I collected memories using A. Jersild's approach; in the second stage, the personality type was identified through the Eysenck Personality Questionnaire (EPQ) containing 100 yes/no questions. The research has confirmed my assumption that the feelings of introverts are more subjective, profound and intense than those of extroverts, who try to perceive the world more easily in any situation and forget the unpleasant events.

Keywords:
memory, introvert, extrovert, feelings, memories, value attitudes.

შესავალი

მეხსიერებისა და პიროვნების ურთიერთდამოკიდებულების პრობლემა მრავალ განზომილებაში შეიძლება იქნეს შესწავლილი, რომელთაგან პიროვნების ტიპოლოგიურ განსხვავებათა გამოვლენა მეხსიერების პროცესებში შედარებით ნაკლებად არის ნაკვლევი.

მეხსიერების პიროვნებასთან მიმართების ერთ-ერთ ასპექტად მე გამოვყავი აფექტური სფერო, კერძოდ, მიზნად დავისახე დადებითი ან უარყოფითი ემოციური ტონის მატარებელი შინაარსების უპირატესი მოგონების კვლევა პიროვნების იუნგისეულ ტიპოლოგიასთან მიმართებაში.

კვლევა აგებულია შემდეგი სტრუქტურის შესაბამისად:

1. ემოციების როლი და გავლენა მეხსიერების პროცესებზე (საკითხის ისტორიისათვის);
2. ინტროვერსია და ექსტრავერსია როგორც პიროვნების აქტივობის განმსაზღვრელი ძირითადი ფაქტორები;
3. საკითხის დასმა და კვლევის მეთოდიკა;
4. შედეგები და მათი ანალიზი;
5. დასკვნები.

ემოციების როლი და გავლენა მეხსიერების პროცესებზე (საკითხის ისტორიისათვის)

მოგონება სუბიექტის განცდილ ისტორიას წარმოადგენს, მე-ს განცდა სუბიექტს მხოლოდ მოგონებაში ეძლევა. მოგონებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს ემოციური მომენტი. საინტერესოა, უპირატესად რა ტიპის მოვლენები, შთაბეჭდილებები, განცდები ტოვებს კვალს სუბიექტის მეხსიერებაში და როგორი ინტენსივობით ხდება მათ შესახებ მოგონება. ამ პრობლემაზე მიუთითებდნენ და იკვლევდნენ ჰ. ებინჰაუსი, ე. თორნდაიკი, ზ. ფროიდი, პ. ბლონსკი.

ებინჰაუსის შემდეგ ფსიქოლოგიაში მიღებული იყო, რომ სასიამოვნო, საზოგადოდ, უსიამოვნოზე უკეთ ამახსოვრდებათ. მაგრამ უკვე 1933 წ. კ. გ. იუნგი აკრიტიკებს იმ ექსპერიმენტების წარმოების მეთოდიკას, რომელთა საფუძველზეც კეთდებოდა მსგავსი დასკვნები და სამართლიანად მიუთითებს ორი არსებითი მომენტის შესახებ: 1. რომ ამ ექსპერიმენტებში მასალად გამოყენებული სიტყვა-სტიმულები არ შეიძლება ჩაითვალოს ძალიან ძლიერ სასიამოვნო ან უსიამოვნო სტიმულებად, აქ ადგილი აქვს დადებითის და უარყოფითის უფრო „ცივ“ შემეცნებით გააზრებას და არ შეიძლება იმის მტკიცება, რომ დამახსოვრების ფაქტორს მართლაც განცდილი შთაბეჭდილება (სასიამოვნო განცდა) წარმოადგენს, და 2. ამ ექსპერიმენტებში ხდება არა ხანგრძლივი მეხსიერების, „სუბიექტის განცდილი ისტორიის“ კვლევა, არამედ ხანმოკლე, უშუალო მეხსიერება.[1]

ინსტრუმენტული პირობითი რეფლექსების მკვლევრები (ე. თორნდაიკი, ბ. ფ. სკინერი) სიამოვნების მიღებისკენ სწრაფვას (ყველაზე დიდ სიამოვნებას ცხოველი საფრთხის თავიდან აცილებით, უსიამოვნების რედუქციით იღებს) განიხილავენ როგორც დასწავლის უმთავრეს ფაქტორს.

კვლევის თეორიულ ნაწილში საკმაოდ დაწვრილებით მიმოვიხილე პ. ბლონსკის მიერ პიროვნების აფექტური მეხსიერებისა და მისი შინაარსების კვლევა და ექსპერიმენტები, რადგან თავად ჩემი კვლევის პირველი ეტაპიც მსგავს ექსპერიმენტებს მოიცავდა. შევნიშნავ მხოლოდ ზოგიერთი არსებითი მომენტის შესახებ.[2]

სუბიექტის მოგონებებისა და, განსაკუთრებით, ბავშვობის პირველი მოგონებების

1 Юнг К. Г. Психологические типы. Москва 1996. Стр. 402-492.

2 Блонский П. П. Психологические очерки. Москва 1979. Стр.341.

ანალიზის საფუძველზე ბლონსკი გვთავაზობს შემდეგ დასკვნას: ყველაზე დიდხანს ახსოვთ ძლიერი ემოციონალური შთაბეჭდილებები, ამასთან _ უსიამოვნო. ის ეხება ფროიდის მიერ „ყოველდღიური ცხოვრების ფსიქოპათოლოგიაში“ ბავშვობის პირველ მოგონებათა ანალიზს და მიუთითებს ერთგვარ წინააღმდეგობაზე: ფროიდის მიხედვით ბავშვობის ყველაზე ადრეულ მოგონებებში ჩვეულებრივ შემონახულია უმნიშვნელო და მეორეხარისხოვანი ფაქტები, მაშინ, როცა იმ დროის მნიშვნელოვანი, აფექტურად მდიდარი შთაბეჭდილებები სუბიექტის მეხსიერებაში კვალს არ ტოვებს. მაგრამ თუ გავიხსენებთ, რომ ფროიდი ამ მოგონებებს სრულიად სხვა მნიშვნელობას ანიჭებს, მაშინ ნათელი გახდება წინააღმდეგობის მიზეზები. ფროიდს ფსიქიკური აპარატის აღწერისა და მისი ფუნქციონირების მოაზრების მიზნით შემოაქვს ეკონომიურობის პრინციპი: ფსიქიკაში არის ძლიერი ტენდენცია სიამოვნების პრინციპის ბატონობისკენ, რომელიც ორგანიზმის თვითშენარჩუნებისკენ სწრაფვის ზეგავლენით რეალობის პრინციპით იცვლება. ფსიქიკური აპარატის მუშაობა მიმართულია მასში არსებული აგზნების შედარებით დაბალ დონეზე შენარჩუნებისკენ და ყველაფერი, რაც ხელს უწყობს დაძაბულობის ზრდას, აღიქმება როგორც უსიამოვნო. როცა საქმე ეხება უსიამოვნოს მოგონებას, მოგონებას, როგორც ცნობიერ რეპროდუქციას და არა დახსომებას, უსიამოვნო განდევნილია, მაგრამ არავითარ შემთხვევაში _ დავიწყებული; პირიქით, სწორედ ამ მომენტებმა მოახდინა ღრმა და გადამწყვეტი გავლენა პიროვნების მთელ შემდგომ განვითარებაზე, _ ამოქმედდება წინააღმდეგობის მექანიზმი. ფროიდის მიხედვით, ბავშვობის ერთი შეხედვით უმნიშვნელო მოგონებებით ჩანაცვლებულია სხვა მეტად მნიშვნელოვანი განცდები და შთაბეჭდილებები და მათი მოაზრება, ნამდვილი მნიშვნელობის ამოტანა, მხოლოდ ანალიზის გზითაა შესაძლებელი.[3]

ინტროვერსია და ექსტრავერსია როგორც პიროვნების აქტივობის განმსაზღვრელი ძირითადი ფაქტორები

საინტერესოა, გარდა მოგონების ამ ზოგადი თავისებურებებისა, გამოავლენენ თუ არა ამ თვალსაზრისით რაიმე კანონზომიერ სხვაობას განსხვავებული პიროვნული ტიპები. კვლევაში მე ძალიან დეტალურად განვიხილე კ. გ. იუნგის პიროვნების ტიპოლოგიის ძირითადი ასპექტები, აგრეთვე ამ პრობლემის შემდგომი მკვლევრების (ჯ. გილფორდი, რ. კეტელი, ჰ. აიზენკი) ზოგიერთი მოსაზრება და შევეცადე, დამესვა გარკვეული აქცენტები საკვლევ პრობლემასთან მიმართებაში, მოკლედ შევჩერდები მხოლოდ ზოგიერთ მომენტზე.

იუნგის მიხედვით ინტროვერსია და ექსტრავერსია განწყობის ორი ტიპია, რომლებიც განსაზღვრულია ობიექტისადმი საპირისპირო დამოკიდებულებით.

ინტროვერტი ობიექტისაგან აბსტრაჰირებულია, გამოყოფილია; მისთვის წინა პლანზე დგას უფრო სუბიექტი და სუბიექტურ-ფსიქოლოგიური მოვლენა. ის გაურბის, არ ემორჩილება თავისი გარემოს ნივთებს და გარშემომყოფთა ინტერესებს; ის იმორჩილებს თავის ყოფიერებას, იცავს თავის თვითმყოფადობას. ინტოვერტი უფრო ჩაკეტილია, მფრთხალი, გაუბედავი, ახასიათებს ძლიერი რეფლექსიის უნარი. ექსტრავერტი, პირიქით, ობიექტზეა ორიენტირებული - ის მიმართულია გარემოსა და გარშემომყოფებზე; ეგუება ყოფიერებას, უკავშირებს რა მთელ თავის ინტერესებს ობიექტს. ექსტრავერტი უფრო გახსნილია, მისაწვდომი, მიმღები და მეგობრული.

რამდენადაც ბიოლოგიური თვალსაზრისით სუბიექტსა და ობიექტს შორის მიმართება ყოველთვის ადაპტაციის პროცესს წარმოადგენს, იუნგთან ინტროვერსიასა და ექსტრავერსიას აქვს ორი, ერთმანეთის საპირისპირო შეგუების ხერხის მნიშვნელობა, რომელთა მეშვეობითაც ინდივიდუუმი ახდენს თვითშენარჩუნების ინსტინქტის, სამყაროში თვითგამოხატვის ტენდენციის რეალიზაციას. შეგუების მექანიზმის, ანუ განწყობის ტიპის ცნობიერი არჩევა არ ხდება, ინტროვერსია-ექსტრავერსია ცხოვრების

3 Фрейд З. Психология Бессознательного. Психопатология обыденной жизни. Москва 1989. Стр.208.

მანძილზე როდია შეძენილი - ინდივიდუუმის ტიპოლოგიური გამოხატულება ადამიანის თანშობილი „დისპოზიციებითაა“ განსაზღვრული, მას „ფიზიოლოგიური (ბიოლოგიური) საფუძვლები აქვს“.[4]

მოგვიანებით აიზენკი დიდი ხნის განმავლობაში ცდილობდა მოეძებნა ამ მექანიზმების ფიზიოლოგიური საფუძვლები. მან შემოიტანა ისეთი ამხსნელი კონსტრუქტები, როგორიცაა აგზნება-შეკავების წონასწორობა, სოციალიზაცია - ინდივიდის მიერ საზოგადოების ნორმებისა და აკრძალვების ათვისება, რომელსაცგანიხილავს, როგორც განპირობებას და სხვ. აიზენკის მიხედვით, ინტროვერტებს უყალიბდებათ უფრო ძლიერი პირობითი რეფლექსები, ვიდრე ექსტრავერტებს, ისინი უკეთ სწავლობენ საზოგადოდ და უფრო ინტენსიურად ითვისებენ საზოგადოებრივ ნორმებსა და აკრძალვებს, მათი სუპერ-ეგო უფრო ძლიერია, ახასიათებთ მოვალეობის ძლიერი გრძნობა, არიან მოკრძალებულნი და სინდისის ქენჯნისაკენ მიდრეკილნი; ხოლო ექსტრავერტებს, როგორც საზოგადოდ დასწავლის, ისე სოციალიზაციის პროცესში, სწრაფად აღეძვრებათ შეკავება, ისინი ცუდად სოციალიზირდებიან. ამით შეიძლება აიხსნას ის ფაქტი, რომ ექსტრავერტები არიან უფრო კონტაქტურები, იმპულსურები, უზრუნველები; აგრეთვე თამამები, აქტიურები და მეტად თვითდამკვიდრებადნი, ვიდრე ინტროვერტები.[5]

საკითხის დასმა და კვლევის მეთოდიკა

აიზენკის ეს მონაცემები მაძლევდა უფლებას, გამომეთქვა ვარაუდი, რომ ინტროვერტებს, რომელთა მეხსიერებაც, საზოგადოდ, უფრო მდიდარია და რომელთაც აქვთ უფრო ძლიერი სუპერ-ეგო, შესაძლოა, უკეთ ახსოვდეთ ის მოვლენები, რომლებმაც უსიამოვნო განცდები აღძრა, ვიდრე ექსტრავერტებს. ამასთან, რამდენადაც სუბიექტის მეხსიერებაშიკვალს ტოვებს ძლიერი ემოციონალური შთაბეჭდილებები და განცდები, ხოლო ინტროვერტებსა და ექსტრავერტებს განსხვავებული ღირებულებითი დამოკიდებულება აქვთ ცხოვრებისეული მოვლენების მიმართ: ინტროვერტები სუბიექტს აყენებენ მაღლა, ექსტრავერტები - ობიექტს, და სხვადასხვაგვარად განიცდიან მათ, შესაძლოა, მათი მოგონებები შინაარსობრივადაც განსხვავდებოდეს ერთმანეთისგან.

ამრიგად, დაისვა პრობლემა - განსხვავდებიან თუ არა ინტროვერტები და ექსტრავერტები მოგონების თავისებურებათა მიხედვით, ამახსოვრდებათ თუ არა ინტროვერტებს უსიამოვნო მოვლენები ექსტრავერტებზე უკეთ.

საკითხის ნათელსაყოფად ჩატარდა ექსპერიმენტული კვლევა. ექსპერიმენტები ჩატარდა თსუ 70 სტუდენტზე, რომელთა ასაკი იყო 18-22 წელი. ექსპერიმენტის პირველ ეტაპზე ვაგროვებდით სასიამოვნო და უსიამოვნო მოგონებებს ჯერსილდის მეთოდიკით. მეორე ეტაპზე ცდისპირებს ურიგდებოდათ აიზენკის 110-კითხვიანი პიროვნების საკვლევი კითხვარი, რომლის მეშვეობითაც ხდებოდა ინტროვერსია-ექსტრავერსიის დადგენა. ამ ეტაპზე 10 ცდისპირის მონაცემები გამოირიცხა, რადგან ისინი ვერ აკმაყოფილებდნენ სიცრუის შკალის მოთხოვნებს.

შედეგები და მათი ანალიზი

სულ შეგროვდა 568 მოგონება, აქედან სასიამოვნო _ 313, უსიამოვნო _ 255. ინტენსივობის მიხედვით ეს მოგონებები შემდეგნაირად განაწილდა:

ძალიან სასიამოვნო - 180

სასიამოვნო - 98

4 Юнг К. Г. Психологические типы. Москва 1996. Стр. 402-492

5 Eysenck, H. J., Biological dimensions of personality. In L. A. Pervin (Ed). Handbook of personality theory and research. New York, 1990. pp-250-260.

არც ისე სასიამოვნო - 35
ძალიან უსიამოვნო - 156
უსიამოვნო - 56
არც ისე უსიამოვნო - 34

ამ მონაცემების მიხედვით, ყველაზე უკეთ მოიგონებენ მართლაც ძლიერ ემოციონალურად განცდილ მოვლენებს, ამასთან სასიამოვნოს.

60 პირიდან 40 აღმოჩნდა ინტროვერტი, 20 - ექსტრავერტი. სასიამოვნო და უსიამოვნო მოვლენების შესახებ მოგონების ინტენსივობის მიხედვით ისინი შემდეგნაირად განაწილდნენ: ინტროვერტი - 27,5 % (11 კაცი) იყო ისეთი, რომელიც უფრო ინტენსიურად მოიგონებდა უსიამოვნოს, ვიდრე სასიამოვნოს. ექსტრავერტებს შორის ასეთი იყო მხოლოდ 1 კაცი (5 %). ამავე დროს, ექსტრავერტებს შორის გაცილებით მეტნი იყვნენ ისეთები, ვინც ერთნაირი ინტენსივობით მოიგონებდა სასიამოვნოსა და უსიამოვნოს (9 კაცი, 45 %, ხოლო ინტროვერტებს შორის ასეთი იყო 10 კაცი, ანუ 25 %). სასიამოვნოს უსიამოვნოზე ინტენსიურად ინტროვერტებისა და ექსტრავერტების დაახლოებით ერთნაირი რაოდენობა მოიგონებდა (ინტროვერტების 47,5 %, ექსტრავერტების 50 %).

	ჭარბობს მოგონებები სასიამოვნოს შესახებ	სასიამოვნოსა და უსიამოვნოს შესახებ მოგონებები თანაბარია	ჭარბობს მოგონებები უსიამოვნოს შესახებ	სულ
ინტროვერტები	19 (47,5 %) 19,2	10 (25 %) 12,8	11 (27,5 %) 8	40
ექსტრავერტები	10 (50 %) 9,6ზ	9 (45 %) 6,4	1 (5 %) 4	20
სულ	29	19	12	60

იმის დასადგენად, თუ რამდენად შეესაბამება მიღებული მონაცემები რეალურ ვითარებას, გამოვთვალე X^2 (4,7). მიუხედაავად იმისა, რომ შესაბამისი $0,05<p<0,1$ ალბათობა იმისა, რომ მიღებული განაწილება შემთხვევითია, შედეგებიდან გამომდინარე დასკვნების გენერალური ერთობლიობის[6] მიმართ სრული დარწმუნებულობით გავრცელების უფლებას ნაკლებად იძლევა, უნდა გავითვალისწინოთ გარემოებათა მთელი რიგი: ცდისპირთა შედარებით მცირე რაოდენობა, ის ფაქტი, რომ მათი ასაკიდან და სოციალური სტატუსიდან გამომდინარე, ვერ გვექნება პრეტენზია იმისა, რომ აღებული შერჩევა ადეკვატურად ასახავს გენერალურ ერთობლიობას; ხოლო ამ პირობებში შეფარდება 27,5 % - 5 %, მაინც საკმაოდ სარწმუნო მონაცემად შეიძლება ჩაითვალოს. მაშასადამე, ინტროვერტებს შორის ექსტრავერტებთან შედარებით მეტნი არიან ისეთები, ვინც უფრო ინტენსიურად მოიგონებს უსიამოვნოს შესახებ.

მე აგრეთვე შევეცადე, სასიამოვნო და უსიამოვნო მოგონებები ინტროვერტებთან და ექსტრავერტებთან დამელაგებინა შინაარსობრივი თავისებურებების თვალსაზრისით და შემდეგ შემედარებინა ერთმანეთისთვის, რათა გამერკვია, აღინიშნება თუ არა მათ შორის რაიმე განსხვავება ამ კუთხით.

მართლაც, გამოიკვეთა არსებითი სხვაობა მათ შორის. ინტროვერტების სასიამოვნო მოგონებები ძირითადად დაკავშირებულია ბუნების წიაღში ყოფნასთან, განმარტოებასთან, საინტერესო წიგნების წაკითხვასთან, მუსიკის მოსმენასთან. ზოგიერთი თავის სასიამოვნო განცდებს, რომლებიც ასეთ შთაბეჭდილებებთან იყო

6 ყვავილაშვილი ჯ., მათემატიკური მეთოდების გამოყენება ფსიქოლოგიაში, ტ. 2, თბილისი, 1990. გვ. 215.

დაკავშირებული, აფასებდა როგორც +4 (ნაცვლად +3-ისა), საინტერესო ადამიანების გაცნობასთან, საუბრებთან, არჩევანის გაკეთებასთან. იმტროვერტებისთვის მთავარი იყო სუბიექტური მომენტი, იდეა, ხოლო ობიექტი, როგორც ამ იდეის განხორციელება, უფრო მეორეხარისხოვან მნიშვნელობას ატარებდა. ექსტრავერტები, პირიქით, თავიანთ სასიამოვნო მოგონებებს უკავშირებდნენ მხიარულ თავყრილობებს, გართობას, გარშემომყოფთა ყურადღებას, სპორტულ წარმატებებს.

აქვე უნდა აღინიშნოს შემდეგი ფაქტი: თუმცა თითქმის ყველა ცდისპირი, როგორც მოსალოდნელი იყო მათი სოციალური სტატუსიდან გამომდინარე, უნივერსიტეტში ჩაბარებას მოიგონებდა როგორც სასიამოვნოს, ინტროვერტები ყოველთვის ხაზს უსვამდნენ სწორი არჩევანის გაკეთების მომენტს და ობიექტურ ფაქტს მხოლოდ ამის შესაბამისად ანიჭებდნენ მნიშვნელობას.

შედარებით ნაკლებად არის გამოკვეთილი განსხვავება ინტროვერტებისა და ექსტრავერტების უსიამოვნო მოგონებებს შორის. თუმცა ინტროვერტები უფრო მწვავედ განიცდიან საკუთარი თავისადმი უპატივცემულობას, მეგობრის ღალატს, იმას, რომ ვერ უგებენ, იმედგაცრუებას, ხოლო ექსტრავერტები მეტ ყურადღებას აქცევენ გარეგნულ წარუმატებლობას.

უნდა აღინიშნოს, რომ ინტროვერტები თავიანთ როგორც სასიამოვნო, ისე უსიამოვნო მოგონებებს უფრო ხშირად აფასებდნენ როგორც +3 ან -3, ვიდრე ექსტრავერტები, ანუ შკალის უკიდურესი საზღვრებით. ის ფაქტი, რომ მათი განცდები უფრო ინტენსიურია, კარგად ეთანხმება როგორც აიზენკის, ისე ბლონსკის მოსაზრებებს. ბლონსკი აღნიშნავდა, რომ უფრო მეტად ამახსოვრდებათ ძლიერი ემოციონალური შთაბეჭდილებები, ხოლო აიზენკის თანახმად, ეს სწორედ ინტროვერტებს ახასიათებთ, შესაბამისად, მათი მეხსიერებაც უფრო მდიდარია.

დასკვნები

ამრიგად, როგორც მოსალოდნელი იყო, ინტროვერტები და ექსტრავერტები განსხვავდებიან არა მხოლოდ უსიამოვნოს მოგონების ინტენსივობის მიხედვით, არამედ მათი მოგონებები შინაარსობრივადაც განსხვავდება ერთმანეთისაგან. ეს განსხვავება იმდენად აშკარა და ნათელი გამოდგა, რომ ექსპერიმენტული მონაცემების დამუშავების დროს აიზენკის პიროვნების საკვლევი კითხვარის გარეშეც იოლი მისახვედრი იყო ინტროვერტი იყო ცდისპირი, თუ ექსტრავერტი. იყო შემთხვევები, როცა იგრძნობოდა, რომ ცდისპირი აშკარად პოზიორობდა, ცდილობდა, თავი წარმოედგინა როგორც ინტროვერტი ან, პირიქით, ექსტრავერტი. და, მართლაც, ასეთი ცდისპირი ვერ აკმაყოფილებდა აიზენკის პიროვნების საკვლევი კითხვარის სიცრუის შკალის მოთხოვნებს.

ჩატარებული კვლევიდან გამომდინარე დასკვნები შეიძლება ასე ჩამოვაყალიბოთ:

1. ინტროვერტები უფრო დიდი ინტენსივობით მოიგონებენ უსიამოვნო გამოცდილებასთან დაკავშირებულ შთაბეჭდილებებს, ვიდრე ექსტრავერტები;
2. ამავე დროს, ინტროვერტებისა და ექსტრავერტების მოგონებათა შინაარსობრივმა ანალიზმა უჩვენა, რომ ინტროვერტების განცდები უფრო სუბიექტურია, უფრო ღრმა და ინტენსიური, ვიდრე ექსტრავერტებისა, რომელნიც ყოველგვარ ვითარებაში ცდილობენ უფრო მარტივად აღიქვან სამყარო და დავიწყებას მისცენ უსიამოვნებები.

გამოყენებული ლიტერატურა

- დ. უზნაძე, ზოგადი ფსიქოლოგია; თბ., 1940 წ.
- ჯ. ყვავილაშვილი, მათემატიკური მეთოდების გამოყენება ფსიქოლოგიაში; თბ., 1990 წ.
- Фрейд З. Психопатология обыденной жизни. Избранное; Москва, 1989 г.
- Фрейд З. Я и Оно. Избранное; Москва, 1989 г.
- Юнг К. Г. Психологические типы; Москва, 1996 г.
- Hermann Theo, Lehrbuch der empirischenPersonlichkeitpsychologie; Stuthgart, 1978.
- Eysenck, H. J., Biological dimensions of personality. In L. A. Pervin (Ed). Handbook of personality theory and research. New York, 1990.

ეფექტური კომუნიკაციის ფსიქოლოგიური ფაქტორები

ნათია არჩვაძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

კომუნიკაცია ჩვენი ყოველდღიურობის განუყოფელი ნაწილია და მისი ეფექტურად გამოყენება სოციალური ურთიერთობების ფორმირებასა და ინდივიდისთვის სასურველი შედეგების მიღებას უწყობს ხელს. ეფექტურ კომუნიკაციაში იგულისხმება ადამიანებს შორის კავშირი, რომლის მეშვეობითაც აზრების, გრძნობებისა და იდეების გაცვლა და ურთიერთგაგება ხორციელდება. ერთი შეხედვით, ინფორმაციის მიწოდება მოსაუბრის მიერ და მსმენელის უკუკავშირი მარტივ მოცემულობად შეიძლება მოგვეჩვენოს, თუმცა რეალურად ეს ასე არ არის - აღნიშნული პროცესი საკმაოდ რთული და კომპლექსური ხასიათისაა. კომუნიკაციის ეფექტურ წარმართვას განაპირობებენ, ადამიანზე მოქმედი როგორც შიდა და გარე ფაქტორები, ასევე გარემო, სადაც მიმდინარეობს კომუნიკაცია.

გარდა ზემოთაღნიშნულისა, მოცემული ნაშრომი ზოგადად ყურადღებას ამახვილებს გაგზავნილი ინფორმაციის მსმენელის მიერ აღქმაზე, რომლის საინტერესო ახსნას კომუნიკაციების ინსტიტუტის დამაარსებელი გერმანელი ფსიქოლოგი ფრიდმან შულც ფონ თუნი მის მიერ შექმნილ კომუნიკაციური ფსიქოლოგიის "ოთხი ყური"-ს სახელწოდებით ცნობილი მოდელით გვთავაზობს. აღნიშნული მოდელის თანახმად, როდესაც ინფორმაციის გამგზავნი რაიმეს ამბობს, მსმენელი მას ფაქტის, ურთიერთობის, თვითგანცხადების ან აპელაციის ყურით აღიქვამს. გარდა ამისა, სტატიაში მიმოხილულია, ეფექტური კომუნიკაციის განმსაზღვრელი პრინციპები და სტრატეგიები.

საკვანძო სიტყვები:
კომუნიკაცია, მსმენელი, უკუკავშირი, „ოთხი ყური" პრინციპები, სტრატეგიები.

Psychological Factors of Effective Communication

Natia Archvadze
Georgian Technical University PhD student

Abstract

Communication is an integral part of our daily life, and its effective use helps to form social relationships and achieve desired results for the individual. Effective communication refers to the connection between people through which thoughts, feelings and ideas are exchanged and understood. At first glance, information delivery by the speaker and feedback from the listener may seem simple, but in reality, it is not so - the mentioned process is quite complicated and complex in nature. Effective management of communication is determined by both internal and external factors affecting a person, as well as the environment where communication takes place.

In addition to the above, this work generally focuses on the listener's perception of the sent information, which the German psychologist Friedmann Schulz von Thun, the founder of

the Institute of Communications, offers an interesting explanation with the well-known model of communication psychology “Four Ears” created by him. According to this model, when the sender of information says something, the listener perceives it with the factual ear, relationship ear, self-revealing ear or appeal ear. In addition, there are reviewed in the article the principles and strategies that determine effective communication.

Keywords:
communication, listener, feedback, “four ears” principles, strategies

შესავალი

კომუნიკაცია ჩვენი ყოველდღიურობის განუყოფელი ნაწილია და მისი ეფექტურად გამოყენება სოციალური ურთიერთობების ფორმირებასა და ინდივიდისთვის სასურველი შედეგების მიღებას უწყობს ხელს. ეფექტურ კომუნიკაციაში იგულისხმება ადამიანებს შორის კავშირი, რომლის მეშვეობითაც აზრების, გრძნობებისა და იდეების გაცვლა და ურთიერთგაგება ხორციელდება. ერთი შეხედვით, ინფორმაციის მიწოდება მოსაუბრის მიერ და მსმენელის უკუკავშირი მარტივ მოცემულობად შეიძლება მოგვეჩვენოს, თუმცა რეალურად ეს ასე არ არის - აღნიშნული პროცესი საკმაოდ რთული და კომპლექსური ხასიათისაა. კომუნიკაციის ეფექტურ წარმართვას განაპირობებენ, ადამიანზე მოქმედი როგორც შიდა და გარე ფაქტორები, მათი განათლების დონე, ინტელექტი, ინტერესები, ასევე გარემო, სადაც მიმდინარეობს კომუნიკაცია.

მაშინ, როდესაც ზოგიერთი ადამიანი სწორად წარმართული კომუნიკაციის მეშვეობით სხვადასხვა პრობლემის გადაჭრას ახერხებს, ზოგი ინდივიდის კომუნიკაციის სტილმა, ფორმამ პირიქით, შეიძლება კონფლიქტური სიტუაციები გამოიწვიოს.

კომუნიკაციის სტილი ძირითადად ოთხი სახისაა: მტკიცებითი, აგრესიული, პასიური და პასიურ-აგრესიული. კომუნიკაციის სტილი იცვლება იმის მიხედვით, თუ მოცემულ მომენტში როგორი განწყობა აქვს პიროვნებას, ვინ არის მისი მსმენელი და რა სიტუაციაში მიმდინარეობს აღნიშნული პროცესი.

მტკიცებითი (ასერტული) კომუნიკაცია

მტკიცებითი (ასერტული) კომუნიკაციის სტილი ყველაზე ეფექტურადაა მიჩნეული, რადგან ის ფოკუსირებულია, როგორც კომუნიკაციის წარმმართველი პირის, ასევე მსმენელის საჭიროებებზე. ასეთ დროს ადამიანი აფასებს საკუთარ თავს, უფლებებსა და შეხედულებებს, მიაჩნია, რომ მისი აზრი მნიშვნელოვანია, თუმცა ამავე დროს პატივისცემით ეკიდება სხვების განსხვავებულ მოსაზრებებსა და პოზიციებს.

აგრესიული კომუნიკაცია

აგრესიული კომუნიკაციის სტილის დროს ადამიანი ორიენტირებულია საკუთარ საჭიროებებზე და ხშირად უგულებელყოფს თანამოსაუბრის სურვილებს. პირი, რომელიც საუბარს იწყებს ქვეტექსტად, როგორც წესი, მიიჩნევს, რომ ის, მსმენელისგან განსხვავებით, ყოველთვის მართალია და დარწმუნებულია, რომ მიიღებს იმას, რაც მოესურვება.

პასიური კომუნიკაცია

პასიური კომუნიკაციის სტილის დროს ადამიანი ორიენტირებულია სხვის მოთხოვნილებებზე და არა საკუთარზე. ამ ტიპის კომუნიკაცია შეიძლება ეფუძნებოდეს ისეთ რწმენას, როგორიცაა „შენ ჩემზე უფრო მნიშვნელოვანი ხარ“, „არ უნდა ვთქვა ის, რასაც სინამდვილეში ვფიქრობ ან ვგრძნობ“ ან „მშვიდობა უნდა შევინარჩუნო“. მოსაუბრის სურვილია სხვების სიამოვნებისა და თავაზიანობის გზით კონფლიქტის თავიდან აცილება.

პასიური აგრესიული კომუნიკაცია

პასიურ-აგრესიული კომუნიკაციის სტილი გარეგნულად პასიური ჩანს, თუმცა ამ დროს კომუნიკატორი მისი სურვილების განხორციელებისთვის არაპირდაპირ გზებს ირჩევს. ამ ტიპის კომუნიკაციის დროს ინდივიდი ფიქრობს: „არ შემიძლია ის ვთქვა, რასაც სინამდვილეში ვფიქრობ, მაგრამ ჩემი დროც მოვა“. პასიურ-აგრესიულ კომუნიკატორებს უჭირთ თავიანთი ბრაზის პირდაპირ გამოხატვა, რაც მათში ფრუსტრაციის გამომწვევი მიზეზი ხდება.

გარდა კომუნიკაციის სტილისა, ასევე მნიშვნელოვანია იმ ძირითად პრინციპებზე ყურადღების გამახვილება, რომლებიც კომუნიკაციას ეფექტურად აქცევენ. ზოგადად კომუნიკაცია წარმატებულად მაშინ ჩაითვლება თუ ინფორმაცია ადრესატამდე ისე იქნება მიტანილი, როგორც ის პირველწყარომ იგულისხმა. საქმე ის არის, რომ

გაგზავნილი „მესიჯი“ შეიძლება ადრესატის მიერ არასწორად იქნეს აღქმული და შესაბამისად გაუგებრობის გამომწვევი მიზეზიც გახდეს.

ფსიქოლოგებმა მრავალი წელი დახარჯეს ადამიანთაშორისი კომუნიკაციის ეფექტური მოდელების შესაქმნელად. ერთ-ერთი მათგანი გერმანელი ფსიქოლოგი კომუნიკაციების ინსტიტუტის დამაარსებელი ფრიდმან შულც ფონ თუნია, რომელმაც „ოთხი ყურის“ სახელით ცნობილი კომუნიკაციური ფსიქოლოგიის მოდელი შემოგვთავაზა. ამ მოდელის თანახმად, როდესაც ერთი პირი მეორეს რაიმე ინფორმაციას აწვდის, მსმენელი „მესიჯს“ ფაქტის, ურთიერთობის, თვითგანცხადების ან აპელაციის ყურით ისმენს.

ფაქტების ყური - ეს მოიცავს მონაცემებს, მყარ ფაქტებსა და საყოველთაოდ დამოწმებულ ინფორმაციას, როგორიცაა “ბალახი მწვანეა” ან „ფანჯარა ღიაა“.

თვითგანცხადების ყური - პიროვნების ნებისმიერი ნათქვამი მის შესახებაც იძლევა ინფორმაციას. ეს შეიძლება იყოს პირდაპირ ნათქვამი, მაგალითად, „**მცივა“** ან დამალული ინფორმაცია - მაგალითად, ნათქვამი **„ფანჯარა ღიაა“** გულისხმობს: **„მცივა“**.

ურთიერთობის ყური - ინფორმაციის მიმწოდებლის ყოველ განცხადებას მსმენელი მათ ურთიერთობას უკავშირებს. ამ შემთხვევაში, როდესაც მსმენელი „ურთიერთობის ყურით“ გაიგებს, რომ **„ფანჯარა ღიაა“,** მან შეიძლება ჩათვალოს, რომ ინფორმაციის მიმწოდებელი მისგან ზრუნვასა და ფანჯრის დაკეტვას მოელის.

აპელაციის ყური - საბოლოოდ, თითოეულ შეტყობინებას მოყვება აპელაცია. მიმართვა შეიძლება ყოველთვის არ იყოს რაიმე ფიზიკური, მატერიალური ქმედებისკენ მოწოდება, მაგალითად: „გთხოვთ, დახურეთ ფანჯარა“, ის ასევე შეიძლება იყოს რაღაც არამატერიალური, როგორიცაა „გთხოვთ, გამიგოთ“ ან „გთხოვთ, გამოიჩინეთ თანაგრძნობა“.

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, კომუნიკაციის წარმართვის დროს საჭიროა გვახსოვდეს ოთხი ძირითადი პრინციპი:

1.გაგზავნილი და მიღებული შეტყობინება შეიძლება ერთმანეთისგან განსხვავდებოდნენ

„ოთხი ყურის“ მოდელი იმ გამოწვევებს ნათლად გვიჩვენებს, რის წინაშეც დგას მსმენელი. ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც მსმენელამდე აღწევს, ის ჯერ პიროვნების აზრებისა და გრძნობების ფილტრაციის სისტემაში ხვდება. შესაბამისად, თუ როგორ გრძნობს ადამიანი თავს, გახარებულია თუ გაბრაზებული, ინფორმაციის აღქმაც განსხვავებული იქნება.

2. კომუნიკაციის არქონა შეუძლებელია

ყველა ქმედება - როგორც წინასწარ განზრახული, ისე უნებლიე - გარკვეულ გზავნილებს აწვდის კონკრეტულ სუბიექტს. მაგალითად, თუ ინდივიდი ვინმეს მიზანმიმართულად ყურადღებას არ აქცევს, ესეც კომუნიკაციაა, რომელიც თავის თავში ძლიერ „მესიჯს“ მოიცავს. გარდა ამისა, ვერბალური კომუნიკაცია (გამოყენებული სიტყვები) კომუნიკაციის პროცესის მხოლოდ ერთი ნაწილია. სიტყვებთან ერთად, ასევე მნიშვნელოვანია სხეულის ენა, სახის გამომეტყველება, ხმის ტონი და ა.შ.

3. ყველა შეტყობინებას აქვს შინაარსიც და გრძნობაც

ყოველი „მესიჯი“ შედგება შინაარსისა და გრძნობისგან. შინაარსი არის სიტყვების მეშვეობით მიწოდებული ინფორმაცია, ხოლო გრძნობა გამოიხატება არავერბალური მინიშნებებით - სხეულის ენით, ჟესტებით, სახის გამომეტყველებით, ხმის ტემბრით. ეს უკანასკნელნი ძალიან მნიშვნელოვანია ინფორმაციის სწორად აღქმისთვის. მაგალითისთვის ელექტრონული კომუნიკაცია ხშირად დაბნეულობის მიზეზი ხდება, რადგანაც გამოყენებული სიტყვები იზოლირებულია არავერბალური მინიშნებებისაგან, რომლებმაც არსებითი ინფორმაციის განმარტება უნდა უზრუნველყონ (სწორედ ამიტომ, გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით, ტექსტური შეტყობინების გაგზავნისას შესაძლებელია სხვადასხვა ემოციის გამომხატველი სიმბოლოს გამოყენება).

4. არავერბალური მინიშნებები უფრო დამაჯერებელია, ვიდრე ვერბალური

როდესაც არსებობს შეუსაბამობა მესიჯის შინაარსს (ვერბალურ) და გრძნობას (არავერბალურს) შორის, მსმენელი თითქმის ყოველთვის მეტ მნიშვნელობას გრძნობას ანიჭებს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თუ სიტყვები, რომლებსაც მოსაუბრე იყენებს, არ ემთხვევა მის ხმის ტონს, ტემბრს, სახის გამომეტყველებას, სხეულის ენას და სხვა არავერბალურ ნიშნებს, მსმენელი მიწოდებულ ინფორმაციას ხშირ შემთხვევაში არავერბალური ქცევის მიხედვით შეაფასებს და დაიჯერებს.

დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ეფექტური კომუნიკაცია თავისთავად არ წარიმართება, ეს პროცესი ინფორმაციის მიმწოდებლისგან და ინფორმაციის მიმღებისგან (მსმენელისგან) შედგება და სწორედ ის, კომუნიკაციის რომელ სტილს ირჩევს მოსაუბრე და მსმენელი, კომუნიკაციის რომელი „ყურით“ იღებს მისთვის გაგზავნილ „მესიჯს“, კომუნიკაციის ეფექტურობას ან პირიქით არაეფექტურობას განაპირობებენ. ეფექტური კომუნიკაციის მიღწევა კი კონკრეტული სტრატეგიების გამოყენებით არის შესაძლებელი:

კონტექსტის შემოწმება-საუბრის დაწყებამდე უმჯობესია იმის გარკვევა თუ თავს როგორ გრძნობს ინფორმაციის მიმღები? განაწყენებული ხომ არ არის რამეზე? სასაუბროდ თუ არის ხელსაყრელი დრო? რამდენად მზადაა მსმენელი კონკრეტული ინფორმაციის მოსასმენად?

საკუთარი ემოციური მდგომარეობის გააზრება - გაღიზიანებული ხომ არ ხართ ისეთ რამეზე, რასთანაც მსმენელს არავითარი კავშირი არ აქვს? როდესაც ადამიანი ამჩნევს, რომ მისი ემოციური დონე არც თუ ისე სახარბიელოა, მაშინ კომუნიკაცია თუ არასწორად წარიმართება, პასუხისმგებლობა თავის თავზე უნდა აიღოს.

რა არის თქვენი გზავნილი? - გასაგებია თქვენი შეტყობინება თუ არაერთგვაროვან შეტყობინებას აგზავნით? შერეული მესიჯი ორი ბურთის საპირისპირო მიმართულებით გადაგდებას ჰგავს და იმის მოლოდინს, რომ ადრესატი ზუსტად იმ ბურთს დაიჭერს, რომელიც თქვენ გინდოდათ, რომ მას მიეღო.

სენსიტიური ინფორმაციის გაზიარების დროს, სწორედ ისაა მნიშვნელოვანი, თუ რამდენად სწორად იქნება ის „შეფუთული“-პირდაპირ საყვედურზე გადასვლის ნაცვლად, უმჯობესია პირმა თავისი ემოციური დამოკიდებულება გამოხატოს, თუ როგორ გრძნობს ის თავს საყვედურის თქმისას და შემდეგ მთავარ სათქმელზე ისაუბროს.

მნიშვნელოვანია, როდესაც ადამიანი კარგი მსმენელია-ადამიანმა მარტო სიტყვები კი არ უნდა მოისმინოს კომუნიკაციისას, არამედ ყურადღება უნდა მიაქციოს არავერბალური კომუნიკაციის ნიშნებსაც - სხეულის ენას, ხმის ტემბრს. საბოლოო ჯამში, ეს ყველაფერი პიროვნებას ეფექტური კომუნიკაციის წარმართვაში დაეხმარება.

გამოყენებული ლიტერატურა

- Krauss, R. M., & Fussell, S. R. (1996). Social psychological models of interpersonal communication. In E. T. Higgins, & A. Kruglanski (Eds.), Social psychology: A handbook of basic principles (pp. 655-701). New York: Guilford.
- Lubienetzki, U., & Schüler-Lubienetzki, H. (2016). Was wir uns wie sagen und zeigen. Menschliche Kommunikation [What we say and show to each other and how. Human communication] (study letter of the Fresenius University of Applied Sciences online plus GmbH). Hochschule Fresenius online plus GmbH

- Schulz von Thun, F. (1981). Miteinander reden 1 – Störungen und Klärungen. Allgemeine Psychologie der Kommunikation. Reinbek Rowohlt.
- Weger, H., Castle, G. R., & Emmett, M. C. (2010). Active Listening in Peer Interviews: The Influence of Message Paraphrasing on Perceptions of Listening Skill. International Journal of Listening, 24(1), 34-49.
- Wood, J. T. (2015). Interpersonal communication: Everyday encounters. Nelson Education.

მოთხოვნილებათა პედაგოგიური ღირებულება

ნანა ბოკუჩავა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

ადამიანური მოთხოვნილება, როგორც ფენომენი, განვითარებადია და ექვემდებარება სასწავლო-სააღმზრდელო პროცესს, რასაც, სხვათა შორის, ადასტურებს ის ფაქტიც, რომ თანამედროვე ადამიანს, მრავალი ისეთი მოთხოვნილება აქვს, რომლის მსგავსიც კულტურის წინა საფეხურისთვის სრულიად უცხო იყო. მოთხოვნილებათა ფსიქოლოგიური კანონზომიერებებისა და განვითარების მექანიზმების ცოდნას, საჭირო მეთოდოლოგიის შემუშავებასა და კონტექსტუალურად აქტივიზირებას არსებითი მნიშვნელობა აქვს პედაგოგიკისთვის, რადგან სწორედ მოთხოვნილებებია ადამიანის აქტივობის საფუძველიც და სულიერი წყობის განმსაზღვრელიც. განათლების ფსიქოლოგიის მკვლევარები მოთხოვნილებებს საგანმანათლებლო პროცესის ძირეულ სპეციფიკურ მახასიათებლად განიხილავენ, რამეთუ, ისინი, ერთის მხრივ, აღზრდის ობიექტებს, ხოლო, მეორეს მხრივ, აღზრდის საშუალებებს წარმოადგენენ. პიროვნების მთავარი მახასიათებელი - ყოველდღიური ქცევის შინაარსი, უმეტესწილად მოთხოვნილებათა რაგვაროვნით განისაზღვრება და შესაბამისად, სასწავლო-სააღმზრდელო საქმიანობის პედაგოგიურ ღირებულებას სწორედ ამა თუ იმ მოთხოვნილებისა თუ მოთხოვნილებათა კომპლექსისათვის სათანადო ფორმის მიცემა წარმოადგენს.

ამასთან, აუცილებელია, ყოველი პედაგოგიური აქტივობა რომელიმე კონკრეტულ ასაკობრივ მოთხოვნილებასთან ან მოთხოვნილებათა კომპლექსთან შეუღლდეს, რათა მოსწავლემ შეძლოს მისი ძალდაუტანებლად და ხალისით განხორციელება. პედაგოგიკამ უნდა გააცნობიეროს, რომ სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის ჯეროვნად წარმართვისათვის მნიშვნელოვანი საყრდენია მოთხოვნილებათა ფსიქოლოგიის მონაცემების გააზრება და ყოველდღიურ პრაქტიკაში აქტიურად გამოყენება.

საკვანძო სიტყვები:
მოთხოვნილებები, პედაგოგიკა, აღზრდა, ქცევა, კანონზომიერება,
ასაკობრივი მახასიათებელი, აღზრდის ობიექტი, აღზრდის საშუალება, განათლება.

Pedagogical Value of Requirements

Nana Bokuchava
PhD student Georgian Technical University

Abstract

Human needs, as a phenomenon, are developing and it is subject to the educational process, which is confirmed by the fact that modern human has many needs that was completely foreign to the previous level of culture. Needs knowledge of psychological regularities and mechanisms of development, development of the necessary methodology and contextual activation are of essential importance for pedagogy, because these needs are the basis of human activity and the determinant of spiritual order. Psychological researchers consider needs as the

main specific characteristic of the educational process, because they are on the one hand, the objects of education and on the other hand, the means of education. The main characteristic of a person - the content of daily behavior, is mostly determined by the nature of needs, and accordingly, the pedagogical value of educational activities depends on this or that need or it is to give a proper form to the complex of needs.

In addition, it is necessary for each pedagogical activity to be specific it should be adapted to the age requirement or set of requirements, so that the student can carry it out effortlessly and with joy. Pedagogy should realize that in the course of the educational process an important support for management is the psychology of needs understanding data and actively using it in daily practice.

Keywords:
Needs, Pedagogy, Upbringing, Behavior, Regularity, Age Characteristic, Object of education, Means of education, Education

შესავალი

მოთხოვნილება განისაზღვრება, როგორც ფსიქო-ფიზიკური ორგანიზმის მიერ განცდილი რაღაცის დეფიციტი და ეხება ყველაფერს, რაც მას სჭირდება და სურს, მაგრამ „აქ და ამჟამად“ არ გააჩნია. ის, თუ რა შეიძლება იყოს საჭირო-სასურველი, რისი უქონლობა იწვევს წონასწორობის რღვევისა და შფოთვით მდგომარეობას ადამიანში, დამოკიდებულია მისი განვითარების დონესა და მიმართულებაზე. „ცოცხალი არსებისთვის არაფერი ისე სპეციფიკური არაა, როგორც ის გარემოება, რომ მას მოთხოვნილებები აქვს და ამათ დასაკმაყოფილებლად თვითონ უნდა იზრუნოს“ (უზნაძე, 1940). ყოველი მოთხოვნილება ყოფითი სინამდვილის კონკრეტული სფეროსკენ მიმართული აქტივობის ტენდენციას შეიცავს. თუ მოთხოვნილება თავისუფლად, წინააღმდეგობის გარეშე სწვდება და მოიპოვებს თავის საგანს/ობიექტს (მაგალითად, სუნთვის მოთხოვნილება - ჰაერს), მის დაკმაყოფილებას ცნობიერების ძალისხმევა არ სჭირდება და იგი, ფსიქოლოგიურად შეუმჩნეველი რჩება. გარკვეული შეფერხების შემთხვევაში, მოთხოვნილება სპეციფიკური უსიამოვნო დაძაბულობისა და შეკავებული აქტივობის სახით განიცდება; სახეზეა ცნობიერებაში გამოვლენილი ფაქტი, ფსიქიკური ფენომენი, რომელიც დასაკმაყოფილებლად „საჭიროებს რა გარემოს შეცვლას, ამისთვის აუცილებელი აქტივობის იმპულსებს იძლევა“ (უზნაძე, 1977). სწორედ ამ იმპულსების შესატყვისი გარემოს შექმნა-მართვა და მოთხოვნილებათა რეალიზებისათვის სათანადო გეზის მიცემა წარმოადგენს განვითარებისა და აღზრდის პედაგოგიურ პროცესს.

ძირითადი ნაწილი

საგანმანათლებლო პროცესის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანესი ამოცანა ადამიანურ მოთხოვნილებათა ორგანიზაცია და თანამედროვე საზოგადოებრივი მოცემულობის შესატყვისი სულიერ-მშვინვიერი წყობის ფორმირებაა. როგორც ერიხ ფრომი (ფილოსოფოსი, ფსიქოლოგი, ფსიქოანალიტიკოსი, ნეოფროიდიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი) მიუთითებს, ადამიანისა და მისი ფსიქიკის გაგება უნდა დაემყაროს იმ ადამიანურ მოთხოვნილებათა ანალიზს, რომლებიც წარმოდგებიან ადამიანის ეგზისტენცის (არსებობის) სპეციფიკურობიდან. ასეთია მოთხოვნილებათა ხუთი ჯგუფი: ურთიერთობების, ტრანსცენდენცის, დამკვიდრების, იდენტობისა და ორიენტაციის მოთხოვნილებები. აღნიშნულ მოთხოვნილებათა აქტივაცია, რაშიც ვლინდება ადამიანის შინაგანი შესაძლებლობები, დეტერმინირებულია იმ სოციუმის ფსიქოლოგიური მახასიათებლებითა და სტრუქტურალური სპეციფიკით, რომელშიც მას უხდება ცხოვრება. მოთხოვნილების დამაკმაყოფილებელ ობიექტს, როგორც წესი, ადამიანი გარკვეულ სუბიექტურ ღირებულებას ანიჭებს, ხოლო ობიექტური ღირებულება საზოგადოებრივი კატეგორიის მოვლენაა. აღზრდა-ფორმირების პროცესი, როგორც ასეთი, ორიენტირებულია უნდა იყოს იმაზე, რომ ობიექტური ღირებულება სუბიექტის მოთხოვნილების საგნად აქციოს, გარკვეული აზრით სუბიექტურ ღირებულებად გარდაქმნას.

აბრაჰამ მასლოუ (ამერიკელი ფსიქოლოგი, ჰუმანისტური ფსიქოლოგიის დამფუძნებელი) აღნიშნავს, რომ მოთხოვნილებებს იერარქიული სტრუქტურა აქვთ და განლაგებულნი არიან პრიორიტეტების მიხედვით. ადამიანის ქცევა განისაზღვრება ყველაზე ქვემოთ მდებარე დაუკმაყოფილებელი მოთხოვნილებით. მხოლოდ ამ უკანასკნელის ნაწილობრივ მაინც დაკმაყოფილების შემდეგ ჩნდება მაღალი დონის მოთხოვნილების დაკმაყოფილების ტენდენცია. მოთხოვნილებების დაკმაყოფილების შემდეგ კი წყდება მისი მოტივაციური ზემოქმედება. მასლოუს თეორიის მიხედვით, ნაკლებ სავარაუდოა, რომ ძირითადი მოთხოვნილებების (კვება, უსაფრთხოება) დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, მოსწავლეები ინტერესით მოეკიდებიან სწავლას.

კლეიტონ ალდერფერი (XX საუკუნის გამოჩენილი ამერიკელი ფსიქოლოგი)

საუბრობს მოთხოვნილებათა სამ ძირითად ჯგუფზე: ეგზისტენციურ, ანუ საარსებო (E-existence), სოციალურ, ანუ ურთიერთობების (R-relatedness) და განვითარების (C-crowth) მოთხოვნილებებზე. მასლოუსგან განსხვავებით, ალდერფერის ERG-ის თეორიით, ადამიანთა მოთხოვნილებები ინდივიდუალური ხასიათისაა და არ ხასიათდებიან მკაცრად იერარქიზებული სტრუქტურით და შესაძლებელია მათი პარალელური აქტივაციაც. თუ რომელიმე ერთი დონის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისკენ მიმართული ძალისხმევა მუდმივად ფრუსტრაციით მთავრდება, ადამიანი რეგრესირებს, ანუ უბრუნდება ისეთ ქცევას, რომელიც მისთვის უფრო ხელმისაწვდომ მოთხოვნილებას შეესაბამება. არსებული სამიდან, შესაძლებელია, ერთ-ერთი ნებისმიერი მოთხოვნილების დაკმაყოფილება; მაგალითად, ფიზიოლოგიური მოთხოვნილების სათანადოდ დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაშიც კი, ადამიანი შეიძლება თვითგანვითარებისკენ მიისწრაფვოდეს. აღწერილ ტენდენციას არც თუ იშვიათად ვაწყდებით სკოლაში. ზოგჯერ სოციალურად დაუცველი სტატუსის მქონე მოსწავლე გამორჩეული სიბეჯითით ხასიათდება.

როდესაც ვსაუბრობთ მოთხოვნილებათა პედაგოგიურ ღირებულებაზე, არ შეიძლება არ შევეხოთ ვიქტორ ვრუმის მოლოდინის თეორიას, რომლის მიხედვით, მოტივირების ერთადერთი საკმარისი პირობა არ არის აქტიური მოთხოვნილების არსებობა. ადამიანს უნდა ჰქონდეს იმის იმედი (მოლოდინი), რომ მის მიერ არჩეული ქცევის ტიპი აუცილებლად დაუკმაყოფილებს კონკრეტულ მოთხოვნილებას. ამ შემთხვევაში მოლოდინი შეიძლება განვიხილოთ, როგორც მოსწავლის მიერ გარკვეული მოვლენის მოხდენის ალბათობის შეფასება. მოლოდინის თეორია წარმოაჩენს სამი ტიპის ურთიერთკავშირს: ძალისხმევა-სასურველი შედეგი, შედეგი-შესაბამისი საზღაური წახალისების, დასჯის და/ან სხვა ფორმის სახით, გასამრჯელო (ანაზღაურება)-კმაყოფილება(რამდენად აკმაყოფილებს ინდივიდის მოთხოვნილებებს გაწეული შრომისათვის მიღებული შედეგები). თუ ძალისხმევასა და საზღაურით კმაყოფილებას შორის სათანადო კავშირი არ არსებობს, მოთხოვნილება სუსტდება და შეიძლება საერთოდაც მინავლდეს.

ცნობილმა მეცნიერმა ვ.პ. სოზონოვმა შეიმუშავა მოთხოვნილებათა საფუძველზე აღზრდის მოდელი, რომლის მიხედვითაც სასწავლო-სააღმზრდელო პროცესი მიმართული უნდა იყოს მოსწავლის საბაზო მოთხოვნილებების (ჯანმრთელობის, უსაფრთხოების, აღიარების, კრეატიულობის, თვითრეალიზების და ა.შ) დაკმაყოფილებისათვის საჭირო ფსიქოლოგიურ-პედაგოგიური პირობების შექმნაზე. აღნიშნული მოდელის აქტივიზირება გულისხმობს შემდეგი პრინციპების გათვალისწინებას: ბუნებასთან შესაბამისობის („შორს ბავშვის გადაკეთების მცდელობისგან!“ აღზრდა უნდა განხორციელდეს ბავშვში არსებული პოტენციალისა და შინაგანი კანონიკის საფუძველზე), მთლიანობის (ბავშვი ბიოლოგიურისა და სულიერის, ინდივიდუალურისა და სოციალურის, ცნობიერებისა და თვითცნობიერების, რაციონალურისა და ირაციონალურის განუყოფელი ერთიანობაა), აქტივობის (ასწავლის არა მხოლოდ მასწავლებელი და არა მხოლოდ ზნეობრივი სწავლება, არამედ ყოფითი გამოცდილება და საზოგადოებრივი ურთიერთობები), „მე“-ზე ორიენტირებულობის (ბავშვის შინაგანი ჰარმონია, ჯანსაღი „მე-კონცეფცია“), ასაკობრივი (სასწავლო-სააღმზრდელო აქტივობის ტიპის, შინაარსისა და ფორმის შერჩევა ასაკობრივი საჭიროებების შესაბამისად) და ჰუმანიზმის (სასწავლო პროცესი უნდა ეფუძნებოდეს მასწავლებლისა და მოსწავლის მიზნების ერთიანობას) პრინციპები. დასრულებული საგანმანათლებლო საქმიანობის შესაფასებლად სოზონოვი გვთავაზობს ორ მეთოდს: იმ პირობების ხარისხი, რომელიც აღმზრდელმა შექმნა მოსწავლეთა აღსაზრდელად და მოსწავლეთა შინაგანი სამყარო, არა გარეგანი გამოვლინებები, არამედ ღრმად პიროვნული, მოთხოვნილებათა საფუძველზე აღძრული ტიპური ქცევითი მექანიზმები. როგორც ცნობილი პედაგოგი და საგანმანათლებლო თეორიტიკოსი ა. მაკარენკო აღნიშნავდა, აღმზრდელობითი საქმიანობის მთავარი არსი მოთხოვნილებათა შერჩევასა

და აღზრდაში მდგომარეობს.

აქტივობათა რაგვაროვნების თვალსაზრისით, მოთხოვნილებათა მთელი სამკვიდრო დ. უზნაძემ ორ ჯგუფად დაჰყო: სუბსტანციონალურ მოთხოვნილებებად (დასაკმაყოფილებლად საჭიროა რაიმე სუბსტანციონალური, საგნობრივი შინაარსი) და ფუნქციონალურ მოთხოვნილებებად (კმაყოფილდება თავად ფუნქციობით). მან განვითარების წარმმართველი ქცევის მამოძრავებელ ძალად ინდივიდის ბუნებაში მოცემულ ფუნქციონალურ სტრუქტურებში აღძრული აქტივობის მოთხოვნილება მიიჩნია და ფუნქციონალური ტენდენცია უწოდა. განვითარების უზნაძისეული კონცეფციით, ადამიანში იმთავითვე არსებობს ფსიქო-ფიზიკური უნარების განვითარებისკენ სწრაფვის მიდრეკილება, რომელიც მემკვიდრეობით მიღებულ პოტენციურ შესაძლებლობათა საზღვრებში სპონტანური აქტივობის მოთხოვნილებითა და ასაკობრივი კანონზომიერებებით რეალიზებაში ვლინდება. მოსწავლეზე მომქმედ გამღიზიანებელთა მოდიფიცირებას ახდენს ასაკობრივი გარემო, რომელიც, როგორც სტრუქტურა, მიზანმიმართულად არჩევს იმ სასწავლო-სააღმზრდელო მასალას, რომელიც მოსწავლის შინაგან ძალთა განვითარების ამა თუ იმ საფეხურს შეესაბამება. მასწავლებლის მიერ მოსწავლეთა ასაკობრივი განვითარების შესატყვისად მოწესრიგებული ფიზიკურ-ფსიქოლოგიური და სოციალური გარემო სათანადოდ უზრუნველჰყოფს მათი მოთხოვნილებების ჯეროვან ფორმირებას, ხოლო ამ უკანასკნელთა საფუძველზე განვითარებული შესაძლებლობები კი, თავის მხრივ, მოითხოვს სასწავლო გარემოს კვლავაც მოდიფიცირებას.

სასწავლო-სააღმზრდელო მოტივაცია წარმოადგენს მოსწავლეთა აქტივობის წაქეზებას გარკვეული პედაგოგიური მიზნის მისაღწევად. იგი, როგორც შინაგან და გარეგან ძალთა სინთეზი, არსებით გავლენას ახდენს მოსწავლის ინდივიდუალურ სურვილებსა თუ ქმედებებზე. მოტივაციის ძირითადი საყრდენია მოთხოვნილებები, რომლებშიც მოიაზრება ინდივიდის ხასიათით ნიშანდებული პირადი საჭიროებები. მნიშვნელოვანია, მასწავლებლის მიერ იმის გაცნობიერება, რომ მოსწავლეები, ერთმანეთისგან განსხვავდებიან რა მოთხოვნილებათა რომელობითი მახასიათებლებით, სასწავლო მოტივაციის ამაღლების თვალსაზრისით, განსხვავებულ მიდგომებს საჭიროებენ.

მოთხოვნილებათა ფსიქოლოგიური კანონზომიერებებისა და განვითარების მექანიზმების ცოდნას, საჭირო მეთოდოლოგიის შემუშავებასა და კონტექსტუალურად აქტივიზირებას არსებითი მნიშვნელობა აქვს პედაგოგიკისთვის, რადგან სწორედ მოთხოვნილებებია ცოცხალი არსების აქტივობის საფუძველიც და სულიერი წყობის განმსაზღვრელიც. განათლების ფსიქოლოგიის მკვლევარები მოთხოვნილებებს განიხილავენ საგანმანათლებლო პროცესის ძირეულ სპეციფიკურ მახასიათებლად, რამეთუ, ისინი, ერთის მხრივ, აღზრდის ობიექტებს, ხოლო მეორეს მხრივ, აღზრდის საშუალებებს წარმოადგენენ. პიროვნების მთავარი მახასიათებელი - ყოველდღიური ქცევის შინაარსი, უმეტესწილად მოთხოვნილებათა რაგვაროვნებით განისაზღვრება და შესაბამისად, სასწავლო-სააღმზრდელო საქმიანობის პედაგოგიურ ღირებულებას სწორედ ამა თუ იმ მოთხოვნილებისა თუ მოთხოვნილებათა კომპლექსისათვის სათანადო ფორმის მიცემა წარმოადგენს. „მოთხოვნილებები წარმოადგენენ უზარმაზარ ძალას, რომელსაც მოქმედებაში მოჰყავს, როგორც ცალკე ინდივიდები, ისე საზოგადოებრივი გაერთიანებანი. მეორეს მხრივ, ყველაფერი, რასაც ადამიანის ხელი ქმნის, მოთხოვნილებისთვის არის განკუთვნილი და მოთხოვნილების ნიადაგზე აღძრული აქტივობის გზით მოიხმარება. თვითონ ნებისყოფაც მოთხოვნილებებში ნახულობს გამართლებას: იგი პირველ რიგში, ადამიანური მოთხოვნილებების საზოგადოებრივი თვალსაზრისით მისაღები ორგანიზაციისა და დაკმაყოფილების საქმეს ემსახურება, წინასწარ ზრუნავს იმ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების პირობებზე, რომელნიც მომავალში იჩენენ თავს“ (ჩხარტიშვილი, 1974). ამასთან, აუცილებელია, ყოველი პედაგოგიური აქტივობა რომელიმე კონკრეტულ ასაკობრივ მოთხოვნილებასთან

ან მოთხოვნილებათა კომპლექსთან შეუღლდეს, რათა მოსწავლემ შეძლოს მისი ძალდაუტანებლად და ხალისით განხორციელება. „წინააღმდეგ შემთხვევაში ყოველი პედაგოგიური ღონისძიება მომაბეზრებელ მოვლენად იქცევა და მალე მოზარდი იძულებული გახდება მას ზურგი შეაქციოს. ნებისყოფა, რა მტკიცეცარ უნდა იყოს იგი, ვერ გაუძლებს სასწავლო-სააღმზრდელო აქტივობის მთელ დატვირთვას, თუ მას მხარს არ უჭერს რომელიმე მოთხოვნილება, რომელიც მოზარდის სასწავლო-სააღმზრდელო მოქმედებას ბუნებრივი ცხოვრების ხასიათს მისცემს და სასიამოვნო მოვლენად აქცევს. შეუძლებელია გაკვეთილი წარიმართოს აქტივობის მაღალ დონეზე, თუ იგი მოსწავლეთა ერთ-ერთ წამყვან მოთხოვნილებას მაინც არ აღძრავს და არ აწოდებს საზრდოს“ (ჩხარტიშვილი, 1974).

დასკვნა

მოსწავლეთა მოთხოვნილებების თანამედროვე საზოგადოებრივი მოცემულობისა და მოთხოვნების შესაბამისად ფორმირებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება აღზრდის მიზნის სტრუქტურაში. სწორედ დიდი დატვირთვისა და ღირებულების გამო, მოთხოვნილებათა ფსიქოლოგიური ბუნებისა და განვითარების კანონზომიერებათა საფუძვლიანი ცოდნის გარეშე „შეუძლებელია, მათი აღზრდისა და ორგანიზაციის საქმე მეცნიერულ ნიადაგზე წარვმართოთ“ (ჩხარტიშვილი, 1974); არა და ყოველდღიური სასწავლო-სააღმზრდელო პრაქტიკის წარმატებით წარმართვისთვის მისი გამოყენება მეტად აქტუალურია. პედაგოგიკამ უნდა გააცნობიეროს, რომ სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის ჯეროვნად წარმართვისათვის მნიშვნელოვან საყრდენს წარმოადგენს მოთხოვნილების ფსიქოლოგიის მონაცემების გააზრება და ყოველდღიურ პრაქტიკაში აქტიურად გამოყენება.

გამოყენებული ლიტერატურა:

- კაკაბაძე, ვ., (1988): მოთხოვნილების ფსიქოლოგია, „მეცნიერება“, თბილისი.
- უზნაძე, დ., (1940): ზოგადი ფსიქოლოგია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- უზნაძე, დ., (1977): შრომები, ტომი მე-6, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი
- ჩხარტიშვილი, შ., (1974): აღზრდის სოციალური ფსიქოლოგია, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- Степанов, Е. Н., Лузина, Л. М., (2003): Педагогу о современных подходах и концепциях воспитания, Творческий Центр, Москва.
- Шеварев, П . А., (1946): Психология, М.
- Brown, J. S, (1964), The Motivation of behavior, N. Y.

პიროვნება კომუნიკაციური ზეწოლის პირობებში

შორენა გაბოშვილი
სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი მასობრივ კომუნიკაციაში

აბსტრაქტი

სტატიაში გაანალიზებულია მედიაზემოქმედებისა და ინფორმაციული ზეწოლის განხორციელების თავისებურებები. ინფორმაციული ზეწოლა ნიშნავს, როცა ადამიანს მედიასაშუალებებით მიღებული ინფორმაციებით უფართოვდება ცოდნა საკუთარი თავისა და სამყაროს შესახებ. ამავე დროს, უყალიბდება პოზიცია, ამა თუ იმ სოციალურ საკითხებთან მიმართებაში, თუ რაა მიღებული და მოწონებული მის საზოგადოებაში. ამ შემთხვევაში, ადამიანები ძირითადად ეყრდნობიან არა საკუთარ გამოცდილებას, შეხედულებას, პირად აზრს ან ინტერესს, არამედ ინფორმაციას, რომელსაც იღებენ სხვებისგან. ეს პროცესი გულისხმობს ურთიერთობას, ინფორმაციის გაცვლას ინდივიდებსა თუ საზოგადოების ფართო მასებს შორის. აღნიშნული ურთიერთობა კი ხორციელდება მასობრივი კომუნიკაციური არხებით. მედიასაშუალებების მიერ მიწოდებული სიახლეების, ფაქტების აღქმის საფუძველზე ინდივიდთა შეგნებაში წარმოიშობა დამოკიდებულება ღირებულებისადმი. ამ ღირებულებების მრავალგზის აქცენტირება ადამიანთა ცნობიერებაში მუდივმოქმედ ფაქტორად გადაიქცევიან, რაც განაპირობებს საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებასა და ფორმირებას.

ინფორმაციული ზეწოლის დროს ადამიანს არხი აწვდის ინფორმაციას ,,ულუფებით'', უქმნის დღის წესრიგს, რის საფუძველზეც მუდმივ მაყურებლად აყალიბებს და მართავს მის განწყობასა და დამოკიდებულებას.

კომუნიკაციური ზეწოლა განსაკუთრებით იზრდება საინფორმაციო, საარჩევნო კამპანიების დროს, რომლის მიზანი ინდივიდების ცხოვრებისეული პოზიციების, ჩვევებისა, ან ქცევების შეცვლაა. კომუნიკაციური ზეწოლა ხშირად არაკეთილსინდისიერ მეთოდებს იყენებს და არასწორ დამოკიდებულებებს წარმოშობს ინდივიდებსა და ფართო საზოგადოებაში.

საკვანძო სიტყვები:
კომუნიკაცია, პიროვნება, მედიაზემოქმედება, ინფორმაციული ზეწოლა, ინფორმაციული მოთხოვნილება, მედიამიჯაჭვულობა, მართვა.

Personality under Communication Stress

Shorena Gaboshvili
Doctor of Social Sciences In mass communication

Abstract

The article analyzes the peculiarities of media influence and information pressure.

The information pressure implies that a person expands his/her knowledge about himself/ herself and the world based on the information received through media. At the same time, he/ she develops his/her attitude towards the social issues regarding what is accepted and approved

in his/her society. In this case, individuals rely not on their own experiences, ideas, personal opinions or interests, but on the information they receive from others. This process involves interaction, the exchange of information between individuals or wider society. This relationship is implemented through mass media communication channels. Attitudes are formed towards values in the consciousness of individuals based on the perception of news and facts provided by the media. Recurring emphasis on these values will become a permanent factor in people's awareness that leads to the formation of public opinion.

During the information pressure, the channel provides information to the person in "small portions", creates an agenda for him/her, and makes him/her a regular viewer and manages his/her moods and attitudes based on the information provided.

Communication stress is especially high during information and election campaigns aiming to change individuals' life attitudes, habits, or behaviors. Communication stress uses unscrupulous methods and produces wrong attitudes among individuals and the broader community.

Keywords:
communication, personality, media influence, information pressure, demand for information, media addiction, management.

შესავალი

მასმედიის საზოგადოებრივ აზრზე ზემოქმედების როლის განსაზღვრა, კომუნიკაციური ფორმებისა და მეთოდების გაანალიზება და სხვადასხვა კუთხით შესწავლა დღეს, ოცდამეერთე საუკუნის პირველ ოცწლეულში, კვლავ ერთ–ერთი უმთავრესი აქტუალური პრობლემათაგანია, რომელიც თანაბრად აინტერესებს, როგორც ჟურნალისტიკათმცოდნეობის, კომუნიკატივისტიკის, ისე პოლიტოლოგიის, ფსიქოლოგია–სოციოლოგიის და ფილოსოფიის მეცნიერებათა მკვლევრებს. ყოველდღიურ ცხოვრებაში მომხდარი სიახლის, წამოჭრილი აქტუალური, მასობრივად ღირებული თემისა თუ საკითხის გავრცელებისათვის მედიაკომუნიკაციის საშუალებები ძალღონეს არ იშურებენ, რითაც აჩქარებენ საზოგადოებისა და პიროვნებების ტრანსფორმაციას, აყალიბებენ სოციოსისტემის რთულ ბირთვსა და უბიძგებენ ერთიანი მოქმედებისაკენ. შედეგად კი ყალიბდება საზოგადოებრივი აზრი, ინდივიდთა აზრის ნაკრები, რომელიც თავის მხრივ მათ - ინდივიდებს კარნახობს კონკრეტულ ქმედებებსა და აქტივობებს.

მედიაზემოქმედების შესწავლა ინდივიდისა და სოციუმის დონეზე

ძირითადი ნაწილი: ,,კომუნიკაციურ ზემოქმედების მსვლელობაში ინდივიდთა (რომლებიც აუდიტორიას ქმნიან) შეგნებაში სინამდვილის ფაქტების აღქმის საფუძველზე წარმოიშობა დამოკიდებულება ღირებულებისადმი. ხოლო მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მხრივ ამ ღირებულებების მრავალგზისი აქცენტირება ადამიანთა შეგნებაში მუდივმოქმედ ფაქტორად გადაიქცევიან.''[1]

აქედან გამომდინარე, მასობრივი კომუნიკაციის ზეწოლის სიტუაციში პიროვნების მდგომარეობაზე დაფიქრება და საუბარი მრავალმხრივად საინტერესო საკითხია. ვერ დავასახელებთ მასობრივ კომუნიკაციურ მეცნიერებათა ვერც ერთ ცნობილ მკვლევარს, რომელიც ამ რთულ პროცესში უგულებელყოფდეს პიროვნების როლსა და ადგილს. ეს ბუნებრივიცაა, რადგან პროცესი როგორც ვიწრო, ისე ფართო გაგებით, გულისხმობს ურთიერთობას, ინფორმაციის გაცვლის სფეროში, ინდივიდებსა თუ საზოგადოების ფართო მასებს შორის. ამიტომ კითხვები: ინფორმაციული ზეწოლის პირობებში რას განიცდის პიროვნება? როგორ ყალიბდება მისი ქცევა და დამოკიდებულება კონკრეტული მოვლენებისა თუ საკითხებისადმი? როგორ უერთდება მისი აზრი დიდ რგოლს– საზოგადოებრივ აზრს? საერთოდ, მედიასაშუალებები რამდენად ითვალისწინებენ ინდივიდის ფსიქოლოგიურ თავისებურებებს? - ერთობ საინტერესო და ყურადსაღებია.

,,ინფორმაციული ზეწოლა ნიშნავს, რომ ადამიანი აფართოებს რა თავის ცოდნას საკუთარი თავის და სამყაროს შესახებ, ამავე დროს, იგებს იმასაც, თუ რა პოზიცია უნდა დაიჭიროს ამა თუ იმ სოციალურ საკითხებთან მიმართებაში, თუ რა პოზიციაა მიღებული და მოწონებული მის საზოგადოებაში. ამ შემთხვევაში ადამიანები ძირითადად ეყრდნობიან არა საკუთარ გამოცდილებას, შეხედულებას, პირად აზრს ან ინტესესს, არამედ ინფორმაციას, რომელსაც იღებენ სხვებისგან.''[2]

როგორც ცნობილია, მედიაზემოქმედებას მკვლევრები შეისწავლიან როგორც -სოციუმის, ასევე ინდივიდის დონეზე. საკითხის ამდაგვარი გაფართოება საშუალებას იძლევა თემაზე მასშტაბური წარმოდგენა შეგვექმნას და ბევრ დეტალს ჩავუღრმავდეთ. ამერიკელმა მეცნიერებმა აღნიშნულ საკითხებზე ყურადღება მე–20 საუკუნის 40–იანი წლებიდან გაამახვილეს. (რუბერტ მერტონი, პოლ ლაზარსფელდი, ფაროლდ ლასუელი) და მას ,,ფუნქციონალისტური'' თეორია უწოდეს, რომლის მიხედვით საზოგადოებაცა და მისი თითოეული წევრიც ,, სისტემური'' მიდგომის წესით შეისწავლება. ისინი

---

1 შოთა გაგოშიძე. ,,ჟურნალისტიკის საფუძვლები'' თბილისი 1996. გვ. 97.

2 http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=11454.15. 16.2022

თვლიდნენ, რომ სოციოსისტემის სტაბილური ფუნქციონირების ხელშემწყობ ერთერთ აუცილებელ ფაქტორს საზოგადოებრივი ცხოვრების, ადამიანთა სულიერი გარემოცვის მეტნაკლებად ადექვატური სურათის გადმოცემა წარმოადგენს. ეს ძირითადად მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებით მიიღწევა.[3]

ინფორმაციული ზეწოლის დროს ადამიანს არხი აწვდის ინფორმაციას ,,ულუფებით'', რაც ინფორმაციული შიმშილის განცდას იწვევს. თუ კი არხი მხოლოდ საინფორმაციო გადაცემას ანიჭებს უპირატესობას, მიმღებს უქვეითდება ანალიზის უნარი. აღსანიშნავია, რომ კომუნიკაციური ზეწოლა განსაკუთრებით იზრდება საინფორმაციო, საარჩევნო კამპანიების დროს, რომლის მიზანი ინდივიდების ცხოვრებისეული პოზიციების, ჩვევებისა და ქცევების შეცვლაა. აღნიშნულ სიტუაციაში, ცვლილების საფუძველი, უპირველეს ყოვლისა, იმ სარგებლის გაცნობიერებაა, რომელიც შესაძლოა მიიღოს როგორც ინდივიდმა, ასევე საზოგადოებამ. (მაგალითად, ჩვენ კარგად გვახსოვს უკანასკნელ პერიოდში განხორციელებული კოვიდ-პანდემიის პირობებში წარმოებული საინფორმაციო ბუმი, საპარლამენტო არჩევნების კამპანიები, მოწევის წინააღმდეგ წამოწყებული კამპანია, დედამიწის საათი ან ჯანსაღი ცხოვრების დამკვიდრებისათვის ბრძოლა, ან ქალაქი ავტომობილების გარეშე ერთი საათით). თითოეული შემთხვევისას საინფორმაციო სიგნალებით ინტენსიური შეტევა ხორციელდება. კამპანიის დაანონსების შემდეგ, ხალხს დეტალურად განუმარტავენ კამპანიის დადებით მხარეებს და თანხმობისაკენ მოუწოდებენ. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული საინფორმაციო კამპანიები სულაც არ არის ორიგინალური და მსოფლიო პრაქტიკაში საკმაოდ აპრობირებულია, ის ყოველთვის აღწევს მიზანს. აუდიტორიას არწმუნებს და გარკვეულწილად მაინც ცვლის საზოგადოებრივ ქცევებსა და ქმედებებს.

ანუ, ჟურნალისტიკა მთელ თავის საქმიანობას არსებულ კანონზომიერებათა მიხედვით წარმართავს. იმის გათვალისწინებით, რომ მან მაქსიმალურად უნდა დააკმაყოფილოს აუდიტორიის ინფორმაციული მოთხოვნილებები და საზოგადოებაში ჩამოაყალიბოს ინფორმაციული ქცევა. სწორედ აქ იკვეთება ინდივიდების როლი, საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებასა და ფუნქციონირებაში, თუ რამდენად მნიშვნელოვანია მათი განწყობები, დამოკიდებულებები, მენტალიტეტი და აზროვნების თავისებურებანი. ამ მხრივ საინტერესოა, წარმოდგენა შევიქმნათ თავად იდივიდის დეფინიციაზე.

,,ინდივიდი არის პირთა წრეში ცალკე პიროვნება, ადამიანი''[4]. - ანუ, პიროვნება არის ის, რასაც ადამიანი სინამდვილეში წარმოადგენს. ის განიხილება როგორც ეთნოსის, სახელმწიფოს, ოჯახის წევრი, რომელსაც აქვს საკუთარი ცნობიერება და რომლის ემოციები და ქმედებები ინდივიდუალურ თუ კოლექტიურ დონეზე სხვადასხვაგვარად შეიძლება გამოვლინდეს და შეფასდეს. ფსიქოლოგიური და სოციოლოგიური კვლევების მიხედვით, მასობივი კომუნიკაციის არხები სამოქმედო ობიექტად პიროვნებას იყენებენ. ინდივიდებზე ზემოქმედების ერთ–ერთი ყველაზე ეფექტურ მოდელად მიიჩნევა კომსტოკის ფსიქოლოგიური მოდელი ,,ინდივიდუალური ზემოქმედების მოდელი''. გ. კომსტოკმა ის ცალკეულ პიროვნებათა მენტალური თავისებურებების გამოვლენისათვის გამოიყენა, რამეთუ გაერკვია რა ადგილი ეკავა პიროვნების მენტალურ საკითხს სატელევიზიო გადაცემათა ყურების დროს. ამ თეორიის მიხედვით მკვლევარმა დაადგინა, რომ ინდივიდები ეკრანიდან მიღებულ სიახლეს, ქცევას მთელი სიცხადით ითვისებენ. ინდივიდებთან მიმართებაში მასობრივი ინფორმაციის საშუალებები აკმაყოფილებენ შემდეგ მოთხოვნილებებს:

1. ინფორმაციული ფუნქცია ახალი ამბების ინფორმირება; განათლება და თვითგანვითარება; გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო რჩევების მიღება.

2. პიროვნების იდენტიფიკაციის ფუნქცია, ინდივიდუალური ფასეულობების

---

3 Lasswell H.D. The Structure and Function of Communication in Society. Urbana, 1960. P-49.

4 http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=18010 16.06.2022.

გამყარება; სხვათა ფასეულობების იდენტიფიკაცია; საკუთარ თავთან თანხმობის მიღწევა.

3. საზოგადოებაში ინტეგრაცია და ურთიერთობა სოციალური ურთიერთობისთვის საფუძვლის შექმნა; სოციალური როლების რეალიზებაში დახმარება, სხვათა მდგომარეობის გათავისება და თანაგრძნობა.; საზოგადოებასთან, მეგობრებთან, ოჯახის წევრებთან ურთიერთობის შესაძლებლობის შექმნა;

4. გართობის ფუნქცია; ემოციურად დატვირთვა; თავისუფალი დროის შევსება; პრობლემებისგან გაქცევა; ესთეტიური სიამოვნების მიღება და ა.შ

აქ, ზემოქმედების მხოლოდ დადებით ფაქტორებზეა ყურადღება გამახვილებული. ინდივიდებზე ზემოქმედება შესაძლოა გამოვლინდეს, როგორც დადებითი, ისე უარყოფითი კუთხითაც. მედიის უარყოფით ზეგავლენაზე საკმაოდ დიდი ხანია საუბრობენ სამეცნიერო წრეებშიც და ღრმად იკვლევენ უარყოფითი ზეგავლენის თავისებურებებს. მსგავსი ზემოქმედების შესანიშნავ, კლასიკურ მაგალითად მიიჩნევა 1995 წ. ლუიზიანას შტატში მომხდარი კრიმინალური შემთხვევა. 18–19 წლის ორმა ახალგაზრდამ მას შემდეგ, რაც რამდენჯერმე ნახეს ფილმი ,, ახალი ქილერის დაბადება“, ფილმის სიუჟეტი და მთავარი მოქმედი პირების ქცევა ზუსტად გადმოიტანეს ცხოვრებაში და რამდენიმე ადამიანიც გამოასალმეს სიცოცხლეს. მსგავსი უარყოფითი ზემოქმედების შედეგი დღევანდელ რეალობაში არც თუ ისე იშვიათი და ძალზე პრობლემურია, განსაკუთრებით კი ბავშვთა და მოზარდთა კუთხით(გაზრდილი ძალადობა, ბულინგი, ფემიციდი სწორედ მედიით გამოწვეული ზემოქმედების უარყოფით გავლენად მოიაზრება).

თავის დროზე აღნიშნული მოვლენა სოციოლოგთა და ფსიქოლოგთა განხილვის საგანიც გახდა და მრავლისმთქმელი აღმოჩნდა მასობრივი კომუნიკაციის საკითხით დაინტერესებულ მეცნიერთათვის და მედიაზემოქმედების საკითხის კვლევაში, მანამდე ჩრდილში დარჩენილი, ბევრ დეტალზე გაამახვილეს ყურადღება. ამ დროს ტორსონის კოგნიტური განვითარების თეორია ჩაკეტილი ჯაჭვის გასაღებად იქცა. მან სრულყო კომსტოკის შეხედულებები და ინდივიდუალურ დონეზე ზემოქმედების გაანალიზებით, შესაძლებელი გახადა მედიის მასობრივ აუდიტორიაზე ზემოქმედების თავისებურებებიც ამოეხსნათ. თუმცა, რიგი ნაკლოვანებები აქაც თვალშისაცემია. რადგან საზოგადოება ინდივიდებისაგან შედგება, სრულიად განსხვავდება სოციუმის ინტერესები პირადი ინტერესებისაგან, სწორედ ამიტომ მედიის სოციალურ დონეზე ზემოქმედების შესახებ თეორიაც რადიკალურად განხვავდება კომსტოკის ინდივიდუალური ზემოქმედების მოდელისაგან.

წინამორბედთაგან განსხვავებით, აღნიშნული მოდელი ხაზს უსმავდა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებსა და აუდიტორიას შორის ურთიერთობის საკითხებს: ,,ინდივიდებისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების დამოკიდებულების ხარისხი მჭიდროდაა დაკავშირებული საზოგადოების სტაბილურობა–დესტაბილიზაციასა და სოციალური საჭიროების ხარისხზე, რომელიც მინიჭებული აქვს მასმედიას, როგორც ინფორმაციის წყაროს“[5]

ანუ, ეს მოდელი პირდაპირ აანალიზებდა ზემოქმედების თავისებურებებს, რომელიც გარკვეულწილად დამოკიდებული იყო აუდიტორიის პიროვნულ და ფსიქოლოგიურ მახასიათებლებზე. ხსნიდა აგრეთვე მათ შორის ურთიერთდამოკიდებულებას და საუბრობდა მედიამიჯაჭვულობაზე, რაც განსაკუთრებით თვალშისაცემია საზოგადოებრივი კრიზისის დროს. მასში, როდესაც მასმედია ერთადერთი საშუალებაა ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილებისა და პირადი კომფორტისათვის. (ამის მაგალითად საკმარისია გავიხსენოთ კოვიდპანდემიის პერიოდი და თითოელი მოქალაქის მიჯაჭვულობა მედიით მიწოდებულ სიახლეებზე. რომელმაც მაქსიმალურად დაატყვევა აუდიტორია.)

ამიტომ ზემოქმედების შესწავლისას გაცილებით საინტერესოა ზეგავლენა არა

5 Брайант Д. Томпсон С. Основы воздействия СМИ. Москва, 2004 . Стр. 29

ამა თუ იმ კულტურასა და ადამიანთა ჯგუფებზე, არამედ კონკრეტულ ადამიანებზე. მეტიც განიხილება კონკრეტული ინდივიდუალური მახასიათებელი (მაგალითად განწყობა), რომელიც განაპირობებს თითოეული ადამიანის სხვადასხვაგვარად რეაგირებას მედიაშეტყობინებაზე. მედიაზემოქმედების ინდივიდუალურ დონეზე გაანალიზებისას საინტერესოა ,,სელექციური მოქმედების თეორიაც,'' რომელიც ითვალისწინებს აუდიტორიის ასაკობრივ, ფსიქოლოგიურ, დემოგრაფიულ, ეთნიკურ, სოციალურ თავისებურებებს. ამის მიხედვით აუდიტორია თავისუფალია და არჩევანს აკეთებს თავისი მოტივების საფუძველზე. მკვლევრები ყურადღებას ამახვილებდნენ პიროვნების მენტალურ ფსიქოტიპზეც, ანუ მედიამასალის მიღებისას რა ადგილი უჭირავს პიროვნების მენტალურ ხასიათს. ხშირად პიროვნებები საკომუნიკაციო არხებით მიღებულ სიახლესა და ინფორმაციას მთელი სიცხადით ითვისებენ. მათთვის მედია ინფორმაციული წყაროცაა, განათლებისა და თვითგანვითარების საშუალებაც და რიგ შემთხვევაში მისგან მიღებულ რჩევებსა და აზრებს გადამწყვეტი მნიშვნელობაც ენიჭება ხოლმე. გარდა იმისა, რომ ინდივიდებს მედია ეხმარება პიროვნულ იდენტიფიკაციაში, ინდივიდუალური ფასეულობების გამყარებაში, საკუთარ თავთან თანხმობის მიღწევაშიც იღებს მონაწილეობას. ინდივიდებს მედია სჭირდება ასევე საზოგადოებაში ინტეგრაციისათვის, სოციალური როლის რეალიზებაში, საპირისპირო სხვათა აზრების გათავისებაში.

ინფორმაციული ზვავი – ასე უწოდებენ მკვლევარები მედიასაშუალებებიდან ჩვენამდე გრაფიკის დაცვით მოღწეულ იმ უამრავ ქრონიკას, რომელიც დეტალურად ასახავს გარემო ყოფასა და ყოველდღიურ ცხოვრებას. იმ უამრავი ზღვა ინფორმაციიდან თითოეულ ჩვენთაგანს შეუძლია გამოყოს ყველაზე მნიშვნელოვანი ცნობები, პრობლემა თუ თემა, რომელიც ღრმად ჩარჩა გონებაში და უდიდეს ზეგავლენას ახდენ მის ხასიათსა თუ ცხოვრების რიტმზე. ეს ცნობები ხშირ შემთხვევაში უკიდურესად პერსონიფიცირებულია; რადგან მედია იუწყება რაიმე მნიშვნელოვანი ფაქტების შესახებ, ჟურნალისტები ყურადღებას ამახილებენ ინდივიდებზე, ოჯახებზე, ვიწრო ჯგუფებზე. მსგავს პერსონიფიცირებას ერთდერთი ახსნა აქვს, როდესაც საქმე ეხება პირს, ვიწრო ჯგუფს უფრო დამაინტრიგებლად გამოიყურება და მიმღებიც ჩასაფრებულია. ინტერესი ერთიანორად იზრდება თუ კი მასალას დრამატიზებულიცაა. ანუ, ამჯერად ასახვის ობიექტი კონფლიქტია და ამ ფონზე პიროვნების უფლების დაცვა მედიის უმთავრეს საზრუნავს წარმოადგენს, მსგავს სიტუაციას თუ კი ერთვის კრიმინალის დეტალებიც , მაშინ აუდიტორიის ინტერესმა , შესაძლოა, კულმინაციასაც მიაღწიოს. სწორედ ამ დროს ინდივიდებში ყალიბდება მედიამიჯაჭვულობა, რაც მკვლევართა განმარტებით, განსაკუთრებით თვალშისაჩემია საზოგადოებრივი კრიზისების დროს. მასში, როდესაც მასმედია ერთადერთი საშუალებაა ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილებისა და პირადი კომფორტისათვის. ამის მაგალითად საკმარისია გავიხსენოთ ბევრი ცნობილი საერთაშორისო თუ ლოკალური მოვლენა, რომელმაც მაქსიმალურად დაატყვევა აუდიტორია. (2010 წლის მოდელირებული ქრონიკა, 2013 წლის ,,ციხის კადრები'', რელიგიურ თემებზე წარმოშობილი დავები: ჭელის მინარეთისა და მოხის მეჩეთის ამბები, 2020 წელს მასშტაბური დაპირისპირება ნაზარლოში და 2022 წელს ,,გარდაბნის ჩხუბი'').

ეს ამბები ერთმანეთისაგან განსხვავდება, ზოგი მათგანი რეალური ფაქტია, ზოგი კი გამოგონილი, მაგრამ ერთი საერთო ნიშანი აერთიანებთ და ეს ინფორმაციის ეთერში გასვლის შემდეგ, საზოგადოებაში დარჩენილი ხანგრძლივი ემოცია, შიში და ბრაზია. რაც ძალიან ჰგავს ჯერ კიდევ მე–20 საუკუნის 40–იან წლებში უარყოფილ ,,გასროლილი ტყვიის ეფექტს'', რომელსაც ჯადოსნური ტყვიის მოდელადაც მოიხსენიებენ და მისი მთავარი არსია: ,,შეტყობინებას თითოეული ინდივიდი ერთნაირად აღიქვამს და იწვევს ხანგრძლივ რეაქციას''[6].

6 https://ru.wikipedia.org/wiki/%D0%A2%D0%B5%D0%BE%D1%80%D0%B8%D1%8F_%D0%B2%D0%BE%D0%BB%D1%88%D0%B5%D0%B1%D0%BD%D0%BE%D0%B9_%D0%BF%D1%83%D0%BB%D0%B8

აღნიშნული საკითხის კვლევისას არ შეიძლება მხედველობიდან გამოგვრჩეს რეკლამითა და პიარით განხორციელებული საინფორმაციო ზეწოლა. რის კვლევაშიც თანაბრად არიან ჩართულები როგორც მასობრივი კომუნიკაციის მკვლევრები, ასევე მარკეტოლოგები, მენეჯერები, სოცოლოგები და ფსიქოლოგები. თავისი მრავალასპექტიანობის გამო, ის ერთ–ერთ რთულ სფეროდ მიიჩნევა. რეკლამისა და პიარის ზემოქმედება შეისწავლება პირდაპირ ინდივიდებთან კავშირში, თუმცა, მიუხედავად, ამისა ისინი მაინც ცალმხრივ კომუნიკაციად მოიაზრება.

ადამიანს გააჩნია გარკვეული რაოდენობის შესაძლებლობები, რათა თავი დააღწიოს საკომუნიკაციო ზეწოლას. მის გამოსავლენად კი აუცილებელია მედიაზემოქმედების კვლევის მეთოდების მოშველიება. ინფორმაციული ზეწოლის სიტუაციაში მედიაზემოქმედების კვლევა, როგორც წესი, ფუნდამენტალური მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენას მოითხოვს, რომლის განხორციელება შესაძლებელია რაოდენობრივი და ხარისხობრივი კვლევის მეთოდებით. ,,სოციალური კვლევის მიზანია აღწეროს, რა ხდება საზოგადოებაში და ახსნას, რატომ ხდება ასე. აღწერითი კვლევის მიზანია აღწეროს გარკვეული ტენდენციები და განწყობები. მოსახლეობის გამოკითხვა იმის გამოსავლენად, თუ რომელ კანდიდატს უჭერენ მხარს არჩევნებში, რომელი კომპანიის პროდუქციას ანიჭებენ უპირატესობას და სხვ. აღწერითი კვლევის ნიმუშებია. თუმცა მკვლევრის საბოლოო მიზანია არა უბრალოდ აღწეროს სოციალური მოვლენები, არამედ ახსნას კიდეც მათი მიზეზები. ასეთ კვლევას ანალიტიკური ჰქვია''[7].

დასკვნა

ამრიგად, ჩვენ მიმოვიხილეთ საკითხი პიროვნება კომუნიკაციური ზეწოლის სიტუაციაში და დავინახეთ, რომ საკითხი მრავალმხრივად მნიშვნელოვანი და საინტერესოა, რომელიც აერთიანებს სხვადასხვა პუნქტებს, რომელთა სისტემური განხილვის შემდეგ შესაძლებელი ხდება თემაზე სრული წარმოდგენის შექმნა.

გამოყენებული ლიტერატურა:

- Ball-Rokeach S. DeFleur, M. L., A dependency model of mass media effects. Communica-tionResearch 3, N. 1965, pp. 3-21.
- Bandura A. Social learning theory. Englewood Cliffs, NJ: 1977.
- Bandura, A. Asocial learning theory of aggression. Prentice Hall 1978.
- Bryant T. Zillmann D., Media effects: Advances in theory and research. Erlbaum 1994. P-430.
- ბეგიაშვილი მ. ბოსტოღანაშვილი დ., ლეჟავა დ., ,,დემოკრატიაზე გარდამავალი პერიოდი და აქტიური მოქალაქეობა: სატრენინგო მასალები . თბ., 2007
- Blumer H. The Mass, the Public, and Public Opinion Reader in Public Opinion and Com-munication. N.Y. 1953.
- გაგოშიძე შ. ჟურნალისტიკის საფუძვლები. თბილისი, 1996. გვ. 90
- Брайант Д. Томпсо н С. Основы воздействия СМИ. Москва, 2004 . pp.-424.
- ბ. იმნაძე, მასობრივი ინფორმაციის კონტენტ-ანალიზის ზოგიერთი პრობლემა, ვერბალური კომუნიკაციური ტექნოლოგიები. თბ,2014. გვ. 100
- Lasswell H.D. The Structure and Function of Communication in Society. Urbana, 1960. Pp. 313.

7 ლ. წულაძე. ,,რაოდენობრივი კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში''. თბ. 2008, გვ.6

- შოთა გაგოშიძე. ,,ჟურნალისტიკის საფუძვლები'' თბილისი 1996.
- http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=11454.15. 16.2022
- yrnalistedu.ru/zarubsmi/153-teorii-massovogo-obshhestva-i-propagandy-teoriya-magicheskoj0%A2%D0%B5%D0%BE%D1%80%D0%B8%D1%8F_%D0%B2%D0%BE%D0%BB%D1%88%D0%B5%D0%B1%D0%BD%D0%BE%D0%B9_%D0%BF%D1%83%D0%BB%D0%B8
- puli.htmlhttps://ru.wikipedia.org/

კლიენტთან კომუნიკაციის ასპექტები ფსიქოკონსულტაციურ პროცესში

ნანა გოგიჩაშვილი
ფსიქოლოგიის დოქტორი, გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

აბსტრაქტი

ფსიქოკონსულტირების პროცესში, რომელიც თავის მხრივ, წარმოადგენს კლიენტთან პროფესიულ დამოკიდებულებას და ურთიერთობას, რომლის მიზანიც არის, კლიენტის მიერ საკუთარი პრობლემების გაცნობიერება და მათი გადაწყვეტის საშუალებების დადგენა, უმნიშვნელოვანესია კომუნიკაციის ის ასპექტები, რომელსაც სპეციალისტი იყენებს მასთან ურთიერთობაში. შესაბამისად, აღნიშნული პროცესი არის საკმაოდ დინამიური ორივე მხრიდან და მოითხოვს „ურთიერთობის ხელოვნების“ ანუ ეფექტური კომუნიკაციის უნარების ფლობას, რაც ბუნებრივად განსაზღვრავს იმ პრობლემების მოგვარების ხარისხს, რომელიც გააჩნია კლიენტს, იქნება ეს განვითარების, ადაპტაციის, გადაწყვეტილების მიღების სირთულეები, აგრეთვე ცხოვრებისეული არჩევანის და კრიზისული სიტუაციების დაძლევის მექანიზმები თუ პიროვნული ზრდისა და გაუმჯობესების აუცილებლობის აღიარება.

სწორედ ეფექტური კომუნიკაცია არის ის, რაც დაეხმარება კლიენტს პრობლემის აღიარება/გაცნობიერებაში და მისთვის მნიშვნელოვანი ცხოვრებისული სირთულეების დაძლევაში, რისთვისაც სპეციალისტმა უნდა გამოიყენოს კომუნიკაციის ისეთი ფორმები, როგორიცაა დამაზუსტებელი კითხვები (მაგ: ,,რას გულისხმობთ?“, რას ნიშნავს?“), გრძნობების არეკვლა (,,ალბათ, თქვენ გრძნობთ...“), პერიფრაზირება (,,თუ სწორად გავიგე..... თქვენ თვლით, რომ..“ „სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ“) და შეჯამება/რეზიუმირება (მაშასადამე რომ შევაჯამოთ გამოთქმული მოსაზრებები, შევთანხმდით, რომ...“). აღნიშნულის გარდა, კლიენტთან ეფექტურ კომუნიკაციას ხელს უწყობს სპეციალისტის მხრიდან მისდამი გამოჩენილი ურთიერთობის ისეთი ფორმები, როგორიცაა ზრუნვა, აღიარება, მოსმენა, ნდობა, თანაგრძნობა, მიმღებლობა და პატივისცემა.

საკვანძო სიტყვები:
კომუნიკაცია; ფსიქოკონსულტირება; მოსმენა; აღიარება; ემპათია; კეთილგანწყობა.

Aspects of Communication with the Client in the Psychological Counseling Process

Nana Gogichashvili
Doctor of Psychology, Associate Professor at
Guram Tavartkiladze Tbilisi Teaching University

Abstract

In the psychological counseling process, the most important thing is the aspects of communication the specialist uses in his/her relationship with the client. For its own part, the psy-

chological counseling demonstrates a professional attitude and relationship with the client that aims to make the client understand his/her problems and identify the solutions. Accordingly, the mentioned process is quite dynamic for both sides and requires the "art of relationship" or effective communication skills that naturally determines the quality of solving the problems the client has, whether these are difficulties regarding development, adaptation and decision- making, life choices and mechanisms for overcoming the crisis situations or recognition of the need for personal growth and self-improvement.

It is effective communication that will help the client acknowledge / understand the problem and overcome important life difficulties. For this reason, the specialist should use such forms of communication as clarifying questions (e.g. “What do you mean?”, “What does it mean?”), reflection of feelings (“You may feel that…”), paraphrasing (“If I understand you correctly… “You think that…” “In other words…”) and summarizing (“So, to summarize the expressed opinions, we agreed that…”). In addition to the above, an effective communication with the client is facilitated by the forms of relationship the specialist addresses towards him / her – these forms can be care, recognition, listening, trust, sympathy, acceptance and respect.

Keywords:
communication, psychological counseling, listening, recognition, empathy, goodwill.

შესავალი

ფსიქოკონსულტირების პროცესში, რომელიც თავის მხრივ, წარმოადგენს კლიენტთან პროფესიულ დამოკიდებულება/ურთიერთობას და რომლის მიზანსაც წარმოადგენს კლიენტის მიერ საკუთარი პრობლემების გაცნობიერება და მათი გადაწყვეტის საშუალებების დადგენა, უმნიშვნელოვანესია კომუნიკაციის ის ასპექტები, რომელსაც სპეციალისტი იყენებს მასთან ურთიერთობაში. შესაბამისად, აღნიშნული პროცესი არის საკმაოდ დინამიური ორივე მხრიდან და მოითხოვს „ურთიერთობის ხელოვნების“ ანუ ეფექტური კომუნიკაციის უნარების ფლობას, რაც ბუნებრივად განსაზღვრავს იმ პრობლემების მოგვარების ხარისხს, რომელიც გააჩნია კლიენტს, იქნება ეს განვითარების, ადაპტაციის, გადაწყვეტილების მიღების სირთულეები, აგრეთვე ცხოვრებისეული არჩევანის და კრიზისული სიტუაციების დაძლევის მექანიზმები თუ პიროვნული ზრდისა და გაუმჯობესების აუცილებლობის აღიარება.

როდის ითვლება ფსიქოკონსულტაციის პროცესი ეფექტურად და წარმატებულად? რა არის ამის განმსაზღვრელი პირობები, რა როლი აქვს ფსიქოკონსულტანტის პიროვნულ მახასიათებელებს და რა ეხმარება ან უშლის ხელს ეფექტურ კომუნიკაციას ფსიქოკონსულტირების პროცესში, რომელმაც უნდა განსაზღვროს პროცესის შედეგი. შევეცადოთ ეტაპობრივად ვუპასუხოთ ამ კითხვებს. უპ.ყ. განვმარტოთ რა არის კომუნიკაცია და რა ტიპის კომუნიკაცია შეიძლება შედგეს კლიენტსა და სპეციალისტს შორის.

გავრცელებულია მოსაზრება, რომ კომუნიკაცია არის მარტივი ინსტინქტური პროცესი, რომელიც ადამიანებს ეძლევა ბუნებრივად დაბადებიდანვე, როგორც ადამიანური გამოცდილების უნივერსალური ელემენტი, სინამდვილეში კი, კვლევების თანახმად, კომუნიკაცია წარმოუდგენლად დახვეწილი და რთული საქმიანობაა, რომელიც წარმოადგენს ადამიანთა შორის კონტაქტების დამყარებისა და განვითარების პროცესს და

[1]რომელიც წარმოიქმნება მათი ერთობლივი საქმიანობის საჭიროებებით. ენციკლოპედიური განმარტებით[1], კომუნიკაცია (ლათ. Communico — „საერთოს ვხდი“) ფართო გაგებით არის ინფორმაციის გაცვლა ინდივიდებს შორის სიმბოლოთა საერთო სისტემის საშუალებით. კომუნიკაცია შეიძლება განხორციელდეს ვერბალური ან არავერბალური მეთოდებით. განასხვავებენ ასევე კომუნიკაციის განხორციელების მექანიკურ და შემოქმედებით მიდგომებს. კომუნიკაცია, მექანიკური მიდგომით, არის ცალმხრივმიმართული პროცესი ინფორმაციის კოდირებისა და გადაცემის ინფორმაციის წყაროდან ინფორმაციის მიმღებამდე. კომუნიკაცია, შემოქმედებითი მიდგომით, არის კომუნიკაციის მონაწილეთა ერთობლივი მოღვაწეობა, რომლის დროსაც გამომუშავდება საგნებზე და მოქმედებებზე საერთო (გარკვეულ ზღვრამდე) შეხედულებები.

ამავე დროს, ეს არის ისეთი სპეციალისტების მუშაობის მთავარი კომპონენტი, როგორებიც არიან ექიმები, ფსიქოლოგები, იურისტები, ბიზნესმენები, მენეჯერები, რეკლამის განმთავსებლები და ა.შ. შესაბამისად, ეფექტური კომუნიკაციის, როგორც ვერბალური, ისე არავერბალური საშუალებების ფლობა აუცილებელია თითქმის ყველა იმ სპეციალისტისათვის, ვისაც ურთიერთობა აქვს ადამიანებთან.

რაც შეეხება უშუალოდ ფსიქოკონსულტანტისა და კლიენტის კომუნიკაციას, აქ უაღრესად მნიშვნელოვანია პროფესიული საქმიანობის კულტურა, რომელიც განსაზღვრავს ინდივიდუალური სპეციალისტის პროფესიულ რეპუტაციას, რადგანაც ის თავის თავში მოიაზრებს ისეთ მნიშვნელოვან მახასიათებლებს, როგორიცაა პროფესიული საქმიანობის განსაკუთრებული უნარებისა და შესაძლებლობების ფლობა, კლიენტთან ქცევის კულტურა, ემოციების მართვის კულტურა, მეტყველების ზოგადი კულტურა და კლიენტთან კომუნიკაციის ეთიკურ/მორალური კულტურა.

---

1 https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%A3%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90;

ფსიქოლოგიური დახმარების გაწევის პროცესს, ტრადიციულად წინ უძღვის კლიენტის შესახებ შეგროვებული ინფორმაციის დამუშავება და არსებული ინფორმაციის საფუძველზე შესაბამისი სამუშაო სტრატეგიის შემუშავება კლიენტის მოთხოვნილების დაკმაყოფილების და შესაბამისი ტიპის დახმარების განსაზღვრის მიზნით. პირველ შეხვედრაზე, კლიენტთან ეფექტური კომუნიკაციის დამყარების თვალსაზრისით, სპეციალისტის ყურადღება გამახვილებულია უსაფრთხო და დაცული გარემოს ფორმირებაზე და სწორედ ამ დროს ხდება იმ კრიტერიუმებით ხელმძღვანელობა,

რომლებიც მიუთითებს კლიენტის პიროვნულ მახასიათებლებზე და პრობლემის სიმძიმეზე. განსახვავებენ ფსიქოლოგიური დახმარების ორ ძირითად სახეს, რომლის განხორციელებაც შეუძლია კომპეტენტურ ფსიქოლოგს. ესენია – ფსიქოლოგიური კონსულტაცია და ფსიქოთერაპია. ეს უკანასკნელი შედარებით რთულ სფეროდ ითვლება, რადგან იგი გულისხმობს არა მხოლოდ სწორ ორიენტირებას კლიენტის პრობლემურ სფეროში და სხვადასხვა ფსიქოლოგიური სკოლების მიერ დაგროვილი გამოცდილების ცოდნას, არამედ ფსიქოთერაპიული ტექნიკებისა და სავარჯიშოების მაღალი დონით ფლობას, სტრესმედეგობის შედარებით მაღალ ხარისხს მძიმე ემოციური ფონის დასაძლევად და კლიენტის დესტრუქციულ ემოციურ ველთან ეფექტურ ურთიერთობას და კომუნიკაციის იმ წესების ცოდნას, რაც სამომავლოდ განსაზღვრავს კლიენტის სულიერ წინასწორობას, ტრავმული გამოცდილების დამუშავება/გაცნობიერებას და ახალი ღირებულებების ფორმირებას.

იმისთვის რომ კლიენტი/კონსულტანტის პროფესიული კომუნიკაცია იყოს ეფექტური, ხარისხიანი და თერაპიული ეფექტის მატარებელი, უპ.ყ. განვსაზღვროთ კლიენტების ტიპოლოგია.

კლიენტისათვის შესაბამისი საჭირო ფსიქოლოგიური დახმარების ტიპის განსაზღვრის მიზნით, სპეციალისტს სჭირდება ადექვატური არჩევანის გაკეთება, რომლის დროსაც მან უნდა გაითვალისწინოსის ის კრიტერიუმები, რომლის მიხედვითაც შესაძლებელია მათი ფსიქოტიპის და მათთვის გასაწევი დახმარების ფორმის განსაზღვრა. ამ თვალსაზრისით არსებობს კლიენტების შემდეგი ჯგუფები:

კლიენტები, რომლებიც საჭიროებენ ფსიქოთერაპიულ ურთიერთობას და არა ფსიქოკონსულტაციურ პროცესს;

კლიენტები, რომლებიც ნამდვილად საჭიროებენ ფსიქოკონსულტაციურ დახმარებას;

კლიენტები, რომლები საჭიროებენ ფსიქიატრის კვალიფიციურ დახმარებას, თუმცა არ აღიარებენ არსებულ პრობლემებს და სურთ მხოლოდ ფსიქოლოგიური დახმარების მიღება.

აქვე განვიხილოთ ის მიზეზები, რომელთა მოგვარების მიზნით უნდა მიმართოს კლიენტმა ფსიქოთერაპევტს:

- გრძელვადიანი პრობლემა – 10 წელი და მეტი;
- რეალური სირთულეების არსებობა, თუმცა მათი წინაპირობების გარკვევის გარეშე;
- გრძნობების ვერბალურად გამოხატვის უნარი, მაგრამ მათი გაცნობიერების უუნარობა (კლიენტი ემოციურად რეაგირებს გამღიზიანებელ ფაქტორებზე - გამოხატავს შიშს, ბრაზს, წყენას, მაგრამ არ შეუძლია გამოხატოს საკუთარი დამოკიდებულება ამ რეაქციის მიმართ და დაადგინოს მისი გამომწვევი წყაროები);
- ხანგრძლივი და ეფექტური ურთიერთობების დამყარების უუნარობა – არც დადებითი და არც უარყოფითი ხასიათის. მათ მიერ დამყარებული ურთიერთობები გრძელდება დაახლოებით 2–3 დღე ან შესაძლებელია იყოს ერთჯერადი ხასიასთის. ძირითადად, ესენი არიან მარტოხელა ადამიანები;
- სხვა ადამიანებისადმი ნდობის არარსებობა, მათ შორის ფსიქოლოგებისაც;
- მიჯაჭვულობის მქონე ადამიანები;

- ნარცისული ტიპის ადამიანები, რომლებიც გადამეტებულ ყურადღებას აქცევენ საკუთარ პერსონას, როგორც ვიზუალური თვალსაზრისით, ისე მოთხოვნილებებით;
- პირები, რომლებიც უკიდურესად მძაფრად და აფექტურად რეაგირებენ გარე გამღიზიანებელზე და მხოლოდ შემდეგ აცნობიერებენ რეაგირების ხარისხს. ასეთი ადამიანები, როგორც წესი, ჯერ რაღაცას აკეთებენ, შემდეგ კი ფიქრობენ, როგორ უნდა გაკეთებულიყო;
- „აქ და ამჟამად“ ცხოვრების დაქვეითებული უნარის მქონე კლიენტები, რომლებსაც სურთ გამოიყენონ ფსიქოლოგი რეალობასთან შეხების შესანარჩუნებლად;
- ადამიანები, რომლებიც ამჟღავნებენ უცნაურ აზრებს და მოქმედებებს, მაგრამ არ შეუძლიათ მათი აღიარება და მოგვარება, თუმცა, შეძლებისდაგვარად უმკლავდებიან ყოველდღიური ცხოვრების ამოცანებს და უზრუნველყოფენ საკუთარ თავს;
- პირები, რომლებიც საჭიროებენ კვირაში რამდენიმე შეხვედრას;
- კლიენტები, რომლებიც საჭიროებენ საკუთარი თავის ღრმა პიროვნულ შესწავლას, ტრანსფორმაციას და ახალი ღირებულებების ფორმირებას;
- ეგო-სინტონური პრობლემების მქონე პირები, რომლებიც გამოხატავენ სურვილს, შეცვალონ საკუთარი პიროვნული მახასიათებლები.

ფსიქოკონსულტაციური პრაქტიკისთვის შესაფერისია შემდეგი კლიენტები:

- პირები, რომლებსაც პრობლემები შეექმნათ ახლო წარსულში;
- კლიენტები, რომლებმაც იციან მათი პრობლემის შესაძლო მიზეზები;
- პიროვნებები, რომლებსაც შეუძლიათ სხვისთვის გასაგებ ენაზე სიტყვებით გამოხატონ თავიანთი აზრები და გრძნობები;
- კლიენტები, რომლებსაც აქვთ არასასურველი გრძელვადიანი ხასიათის ურთიერთობები;
- კლიენტები, რომლებიც კვირაში ერთხელ მაინც უშვებენ შეხვედრების ალბათობას. ზოგიერთ შემთხვევაში, დასაშვებია ერთჯერადი კონსულტაციების ჩატარებაც კი, როდესაც პრობლემის გადაჭრას დიდი დრო არ სჭირდება. თუ კლიენტს უჩნდება სურვილი, რომ შეხვედრების სიხშირე აღემატებოდეს კვირაში ერთჯერად შეხვედრებს, სავარაუდოდ პროცესში სასურველი იქნება თერაპევტის ჩართულობა;
- კლიენტები, რომლებიც მზად არიან საკუთარი წვლილი შეიტანონ პრობლემის გადაჭრასა და მოგვარებაში;
- კლიენტები, რომლებსაც აქვთ თვითგამორკვევის სურვილი და საკუთარი სურვილების, ქმედებების, ქცევების წინაპირობების გარკვევა;
- რეალობასთან ძლიერი კავშირის მქონე კლიენტები;
- ეგო–დისტონიური პრობლემების მქონე პირები, რომლებსაც არ შეუძლიათ პრობლემა განიხილონ როგორც საკუთარი თავის ნაწილი, როგორც რაღაც, რაც უშუალო კავშირშია მათ არსთან და რომელთაც სურთ თავიანთი სირთულეების გადაჭრა, ისე რომ, ერთდროულად მოახდინონ გავლენა როგორც პრობლემაზე, ასევე საკუთარ პიროვნებაზე;
- ნეგატიური აზრებისა და ემოციების მქონე ადამიანები;

მთლიანობაში, ესენი არიან ის ადამიანები, რომლებსაც აქვთ სირთულეები ურთიერთობებში, სირთულეები ცხოვრების მოწყობაში(ცხოვრების სტილის არჩევა), ოჯახურ ურთიერთობებში (გართულებული/დაუსრულებელი), აგრეთვე სამსახურებრივი, პროფესიული/კარიერული სირთულეები, კონფლიქტური მდგომარეობები, გადაწყვეტილების მიღების სირთულეები, დაბალი თვითშეფასება, საკუთარ თავსა და შესაძლებლობებში დაურწმუნებლობა, სწავლის სირთულეები, პიროვნული ზრდის პრობლემები და ა.შ.

და ბოლოს, ადამიანები, რომლებიც არ ექვემდებარებიან არც ფსიქოკონსულტაციას და არც ფსიქოთერაპიას:

კლიენტები, რომლებსაც ჰქონდათ დიდი რაოდენობით მოკლევადიანი შეხვედრები ფსიქოლოგებთან, სათანადო პროდუქტულობის მიღწევის გარეშე;

- კლიენტები, რომლებიც იღებენ ფსიქოლოგიურ დახმარებას სხვა სპეციალისტისგან. ასეთ კლიენტებთან ურთიერთობის ორგანიზებისთვის სასურველია მათთან მუშაობის ნებართვის მიღება იმ სპეციალისტებისგან, რომლებსაც ისინი სტუმრობდნენ;
- კლიენტები, რომლებიც ფსიქოლოგთან ურთიერთობისას შემოიფარგლებიან მხოლოდ კონკრეტული პრობლემით და ვერ ხედავენ კავშირს ამ პრობლემის წინაპირობებსა და შედეგებს შორის. მაგ. როდესაც კლიენტი ამბობს: მე აქ მოვედი მხოლოდ ჩემს შვილთან ან ქმართან დაკავშირებულ პრობლემებთან და არა იმიტომ, რომ ჩემს მშობლებსა და ბავშვობაზე ვისაუბრო, ან: მე მინდა მოვიშორო შიშები და შფოთვები და არ მსურს ოჯახზე, მის წევრებზე და ჩემს პირად ცხოვრებაზე საუბარი;
- პირები, რომლებსაც არ შეუძლიათ სიტყვებით გამოხატონ თავიანთი აზრები და გრძნობები ლექსიკური მარაგის დეფიციტის გამო;
- პასიური კლიენტები, რომლებიც არ რეაგირებენ კონსულტანტის ქმედებებზე – კითხვებზე, მინიშნებებზე, რეკომენდაციებზე და ა.შ. ვერ პასუხობენ ან არადექვატურად პასუხობენ სპეციალისტის კითხვებზე;
- პირები, რომლებსაც არ სურთ ან არ შესწევთ უნარი მარტივი კომუნიკაცია დაამყარონ უცხო ადამიანთან;
- პირები, რომლებიც გაურბიან ურთიერთობებს სხვებზე დამოკიდებულების ფორმირების შიშის გამო;
- კლიენტები, რომლებსაც სურთ კონსულტაციების გავლა ან ფსიქოთერაპიულ ინტერაქციაში შესვლა მხოლოდ შემთხვევიდან შემთხვევამდე, ამასთანავე, არ აქვთ მკაფიო მიზანი ფსიქოლოგიური დახმარების პროცესის მოლოდინებთან მიმართებაში. შესაბამისად, მსგავსი კომუნიკაცია კლიენტსა და სპეციალისტს შორის მოკლებული იქნება პროდუქტულობასა და ეფექტურობას;
- კლიენტები, რომლებსაც სურთ თავი დააღწიონ სხვადასხვა სიმპტომებს, საკუთარ თავზე პასუხისმგებლობის აღების ან ძალისხმევის გარეშე;
- კლიენტები, რომლებიც მიჩვეულნი არიან საკუთარ პრობლემებში სხვა ადამიანების დადანაშაულებას, რაც გულისხმობს საკუთარი ცხოვრების სტილთან და ვალდებულებებთან შემცირებულ პასუხისმგებლობას;
- პირები, რომლებიც გაუცნობიერებლად რეაგირებენ და ახორციელებენ სასურველ ქცევებს ანუ მოქმედებენ პრინციპით – „ მინდა–შესრულებულია“;
- პირები, რომლებიც დამოკიდებულნი არიან წამლების დიდ დოზებზე, მაშინაც კი, თუ ისინი ექიმის მიერ არის დანიშნული ან იყენებენ ისეთ წამლებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ცნობიერებაზე;
- პროფესიონალი კლიენტები ანუ ისეთი კლიენტები, რომლებიც ესწრებიან ყველა ფსიქოლოგიურ ტრენინგ/სემინარს და ერთვებიან მუშაობაში ყველა ფსიქოლოგთან ერთადერთი მიზნით – გაერთონ ან გაიყვანონ თავისუფალი დრო;
- და ბოლოს, კლიენტები, რომლებიც ცდილობენ ცდილობენ განიხილონ პრობლემის თეორიული ასპექტები ისე რომ, აირიდონ პირადად მათი განსახორციელებელი ძალისხმევა პრობლემის მოგვარების მიზნით. [2]

ყოველივე ზემოგანხილულიდან ნათელია, რომ არ არსებობს ორი ერთანაირი

2 И.Н.Ахременко ОСНОВЫ ПСИХОЛОГИЧЕСКОГО КОНСУЛЬТИРОВАНИЯ Учебно-методический комплекс для студентов, обучающихся по специальности «Психология» Минск Изд-во МИУ 2006

კლიენტი, შესაძლებელია არსებობდეს ერთნაირი და მსგავსი პრობლემები, თუმცა ამ პრობლემებისადმი დამოკიდებულება და მიდგომები არის სრულიად განსხვავებული, რაც ბუნებრივად ითხოვს, თითოეულ მათგანთან კომუნიკაციის განსაკუთრებულ ფორმას სასურველი შედეგის მისაღებად.

შესაბამისად, ფსიქოკონსულტაციის პროცესში კონსულტანტი/კლიენტის კომუნიკაციის ფორმატს განსაზღვრავს შემდეგი ფაქტორები:

- **სტრუქტურა** - კლიენტისა და კონსულტანტის ურთიერთობა, კონსულტირების პირობები, პროცედურები და პარამეტრები (მომმართველი - დედა, მამა, მეუღლე, და/ძმა, შეყვარებული, თავად კლიენტი);
- **ინიციატივა** - კლიენტის ცვლილებებისადმი მზაობის ხარისხი; კლიენტის მიერ წინააღმდეგობის გაწევის ფორმები;
- **ფიზიკური პირობები** - გამორიცხულია დამთრგუნველი, ხმაურიანი სიტუაცია და ყურადღების მიმქცევი ნივთები/საგნები/მოვლენები;
- **კლიენტის თავისებურებები** - პიროვნული მახასიათებლები და მიმზიდველობის ხარისხი; წარმატება/წარუმატებლობის განმსაზღვრელი ასპექტები და სხვ.
- **კონსულტანტის კომპეტენცია** - თვითშემეცნების მაღალი ხარისხი, გულწრფელობა, შესაბამისობა პროფესიასთან, კომუნიკაბელურობა, განათლება.

მიუხედავად იმისა, რომ კონსულტანტის კომპეტენცია უდაოდ უნდა იყოს მაღალი, არსებობს რიგი შემთხვევები, როდესაც კლიენტთან კომუნიკაციის ხარისხი სწორედაც რომ კონსულტანტის მიერ დაშვებული შეცდომების გამო ხდება. მოკლედ მიმოვიხილოთ ისინი.

1. **კონტაქტის შეცდომები:**
- კონტაქტის დამყარების შემცირებული ფაზა;
- კლიენტის კონფიდენციალურობის დარღვევა;
- კლიენტთან კონტაქტის პერიოდული შეწყვეტა.

2. **კონსულტანტის პირადი დაუმუშავებელი პრობლემების არსებობა:**
- საკუთარ პრობლემებზე გადართვა;
- კლიენტთან საკუთარი გადაუჭრელი პრობლემების დემონსტრირება;
- კლიენტისათვის მნიშვნელოვანი მოვლენების გაუფასურება;
- პრობლემურ სიტუაციაში მიზეზებისა და შედეგების აღრევა;

3. **ვერბალური კომუნიკაციის შეცდომები:**
- კლიენტის საუბრის შეწყვეტა;
- კლიენტის საუბრისადმი უყურადღებობა, დამახინჯება ან არასწორი ინტერპრეტირება;
- პროფესიული ტერმინოლოგიის გამოყენება ტერმინების მნიშვნელობის ახსნის გარეშე;
- ფუჭად მეტყველება ან გახანგრძლივებული უმიზნო დუმილი;
- გრძნობების და ემოციების არასწორი სახელდება და აზრების არასწორი ფორმულირება;
- კლიენტისთვის დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემის შეუძლებლობა ანუ კონსულტანტი სვამს კითხვას და არ ელოდება პასუხს.

4. **ფსიქოლოგიური კონსულტაციის ეთიკის დარღვევა:**
- ფსიქოლოგიური კონსულტაციის საყოველთაოდ მიღებული ეთიკური სტანდარტების ნებისმიერი პუნქტის დარღვევა;
- ფსიქოკონსულტაციური პროცესის გაუფასურება;

5. **პრობლემების „აქ და ამჟამად“-ზე პოზიციაზე ორიენტირებისას**:
- კლიენტის სხეულებრივი რეაქციებისადმი უყურადღებობა;
- კლიენტის რეალური პრობლემებისა და საჭიროებების იგნორირება;

6. **მუშაობის გარკვეულ პერიოდში მიღწეული შედეგების განზოგადების სირთულეები:**

- არასწორად ფორმულირებული და ჩამოყალიბებული ხელშეკრულება (სამუშაოს მიზანი);
- ზედმეტად აბსტრაქტულ დონეზე მუშაობა კლიენტთან მისი კონკრეტული პრობლემური სიტუაციების, გრძნობებისა და აზრების გათვალისწინების გარეშე;
- კლიენტის ბიოგრაფიული მონაცემებისადმი უყურადღებობა, რაც მნიშვნელოვანია ფსიქოკორექციული ეფექტისათვის;
- კონსულტაციის შედეგების საფუძველზე არასწორი და არაკორექტული დასკვნებისა და საშინაო დავალების არარსებობა;
- არასწორი ორიენტაცია საშუალებებზე (ტექნიკებზე/სავარჯიშოებზე) და არა სამუშაოს მიზანზე.[3]

გარდა ამისა, **ფსიქოკონსულტანტის მუშაობაში ყველაზე გავრცელებული შეცდომებია:**

- ფსიქოლოგ-კონსულტანტის თვითდამკვიდრება კლიენტთან დიალოგში, რომელშიც იგულისხმება საკუთარი პერსონის აღმატებით ხარისხში წარმოჩენა კლიენტთან შედარებით უფრო წარმატებულ, გონიერ და ძლიერ ადამიანად. ამ დროს, ვერბალურ კომუნიკაციაში ხმაში იგრძნობა ამპარტავნების ან შეცოდების განწყობები, რა დროსაც კლიენტმა შესაძლებელია განიცადოს დამცირება, შეურაცხყოფა, სინანული სპეციალისტთან მიმართვის გამო და ა.შ. შესაბამისად, შეხვედრა ხდება ფორმალური და არაპროდუქტული.
- კლიენტთან კომუნიკაციის პროცესში ფსიქოკონსულტანტის ქცევის გადაჭარბებული ბუნებრიობა(ამბობს და აკეთებს იმას, რაც სურს) ან ხელოვნურობა (ირგებს ნიღაბს). გადაჭარბებული ბუნებრიობის რისკი მდგომარეობს იმაში, რომ ხორციელდება არა კვალიფიციური ფსიქოკონსულტაციური პროცესი, არამედ ჩვეულებრივი საუბარი(შესაძლებელია ჭორაობის დონეზეც კი), ხოლო ხელოვნურობის შემთხვევაში, კლიენტი ვერ იღებს დადებით და პოზიტიურ ემოციურ ენერგიას ანუ ვერ დგება კონტაქტი კლიენტსა და სპეციალისტს შორის;
- ფსიქოკონსულტანტის სურვილი, რომ აუცილებლად მისცეს კლიენტს სასარგებლო რჩევები;
- ფსიქოკონსულტაცია ემსგავსება ფსიქოკონსულტანტის მონოლოგს(მან ყველაფერი იცის);
- ფსიქოლოგი ახდენს საკუთარი პრობლემების პროეცირებას კლიენტზე;
- ფსიქოლოგი აფასებს კლიენტს და მის ქცევებს, რაც ქმნის ბარიერს კლიენტის მდგომარეობისა და პრობლემების გასაგებად;
- ფსიქოლოგი კლიენტის პრობლემებს განიცდის საკუთარი პრობლემების ჭრილში, იგი გადამეტებულად ნერვიულობს, კარგავს შინაგან წონასწორობას და ბუნებრივია, ვეღარ უწევს კლიენტს ეფექტურ ფსიქოლოგიურ დახმარებას;
- საკონსულტაციო საათების ზედოზირება.

კლიენტების კატეგორიაში, რომელთაც შეესაბამება ისეთი ტიპის დახმარება, როგორიცაა ფსიქოკონსულტაცია, გამოიყოფა კიდევ ერთი ჯგუფი, რომლებთან ურთიერთობაც საკმაოდ შრომატევადი და რთულია. მათთან კომუნიკაციაში ყველაზე დიდ სირთულეს კი წარმოადგენს მათი მოტივაციის ხარისხი ამა თუ იმ ტიპის პრობლემის დასაძლევად. მოტივაციის ხარისხის მიხედვით გამოიყოფა კლიენტების შემდეგი ტიპები. კერძოდ:

- სესიებზე იძულებით მოსული კლიენტები;
- ფსიქოლოგიურ დახმარებას „დახარბებული“ კლიენტები;
- არამოტივირებული კლიენტები;

3 Типичные ошибки психолога-консультанта https://studopedia.ru/4_173612_tipichnie-oshibki-psihologa-konsultanta.html

- განათლებული კლიენტები;

უკვე დახმარებამიღებულ სხვა კლიენტებთან, კონურენციაში მყოფი კლიენტები.[4]

თუმცა, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ რომელ ფსიქოტიპსაც არ უნდა მიეკუთვნებოდეს კლიენტი, რაც არ უნდა რთული ჩანდეს ფსიქოლოგისთვის კლიენტის პრობლემაზე მუშაობა (წინააღმდეგობის გამოხატვის ხასიათიდან და მანიპულირების მეთოდების მიხედვით), მისი მიმართვა თავისთავად იმის მანიშნებელია, რომ ამ ადამიანს ფსიქოლოგიური დახმარება სჭირდება და არცერთ შემთხვევაში, კვალიფიციურმა ფსიქოკონსულტანტმა უარი არ უნდა თქვას შესაბამისი დახმარების გაწევაზე (თუ ეს რა თქმა უნდა, არ აღემატება მის კომპეტენციას), იქნება ეს ერთჯერადი ან გრძელვადიანი საკონსულტაციო მუშაობა თერაპიის ელემენტებით თუ ფსიქოლოგიური თავდაცვის ტექნიკების გამოყენებით.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, თვალნათელია, რომ კლიენტი/ ფსიქოკონსულტანტის ეფექტური კომუნიკაციის პროცესი ითვალისწინებს საკმაოდ მნიშნელოვან ასპექტებს, რომელთა უმრავლესობა რა თქმა უნდა, მიმართებაშია სპეციალისტის პროფესიულ კომპეტენციასთან და ეთიკურ/მორალური სტანდარტების დაცვასთან, თუმცა არსებობს გარკვეული წესებიც მუშაობის პროცესში, რომლებიც აუცილებლად უნდა დაიცვას და გაითვალისწინოს კომუნიკაციის ორივე სუბიექტმა. აღნიშნული წესები, თავის მხრივ, წარმოადგენს მიღებული საერთაშორისო სტანდარტების საფუძველს და ხელს უწყობს როგორც ურთიერთქმედების პროცესს, ისე სანდო კონტაქტის, ნდობისა და უსაფრთხოების ფორმირებას პროცესის მონაწილე ადამიანებს შორის.

კლიენტისა და ფსიქოკონსულტანტის ეფექტური კომუნიკაციის განმსაზღვრელი ასპექტები:

1. ფსიქოკონსულტაციური ურთიერთობა, რაც გულისხმობს იმას, რომ ეს არის სამუშაო ურთიერთობები და არა მეგობრული, თუმცა ის ხასიათდება პროცესის იმ თავისებურებით, რომლის დროსაც სპეციალისტი კლიენტისათვის უზრუნველჰყოფს თვითშემეცნებისა და განვითარებისათვის აუცილებელ პირობებს. კერძოდ, ფსიქოლოგი აკვირდება, იზიარებს მის ჰიპოთეზებსა და ვარაუდებს, ინტერპრეტაციას უკეთებს მოსმენილ ინფორმაციებს, გულდასმით იკვლევს პროცესებსა და სიტუაციებს, პატივისცემით ეპყრობა ინდივიდს და მის გამოცდილებას, სვამს დამაზუსტებელ კითხვებს ან ახდენს მოსმენილის პერიფრაზირებას, გადადის მხარდამჭერ პოზიციაზე, არის გულწრფელი და ემპათიური და ა.შ. ყოველივე ზემოჩამოთვლილზე, ბუნებრივია, პასუხისმგებელია კონსულტანტი და ეს ყველაფერი წარმოადგენს მისი პროფესიული პასუხისმგებლობის არეალს, მაგრამ ამავე დროს, კლიენტი პასუხისმგებელია ყველა იმ გადაწყვეტილებაზე, რომელიც მოხდება მის ცხოვრებაში, იქნება ეს პიროვნულ ურთიერთობებში, ცხოვრების სტილში, ღირებულებათა გადაფასებაში თუ კარიერულ სფეროში. ფსიქოკონსულტაციის პროცესში ყოვლად დაუშვებელია როლების შეცვლა, რადგან ფსიქოლოგი არის სპეციალისტი, რომელიც ასრულებს თავის პროფესიულ მოვალეობას და რომელიც პასუხისმგებელია კლიენტის წინაშე, უზრუნველყოფს რა მისი უნარებისა და შესაძლებლობების შეცვლას შინაგანი რესურსების მოძიებისა და გააქტიურების საფუძველზე საკუთარი ცოდნის, ინტელექტის და პროფესიონალიზმის ხარჯზე და სწორედ ამიტომაც, აღნიშნული პროცესი არის ანაზღაურებადი.
2. ფსიქოლოგისა და კლიენტის ურთიერთობა არის სრულიად კონფიდენციალური და არ ექვემდებარება გამჟღავნებას მესამე პირებისთვის ორივე მხარის ნებართვის გარეშე. პერსონალური ფსიქოკონსულტირება არის წმინდა პერსონალური პროცესი და სასურველია კლიენტმა არ განიხილოს იგი მესამე პირებთან,

4 Типичные ошибки психологов-консультантов https://psy.bobrodobro.ru/45611

რადგან ეს არის ცვლილების პროცესი, რომელიც მოითხოვს ყურადღებას მათ გამოცდილებაზე, გადაწყვეტილებებზე, პიროვნების გაძლიერებაზე და ა.შ. ფსიქოლოგს ასევე არ აქვს უფლება გაამჟღავნოს კლიენტისგან მიღებული ინფორმაცია კლიენტის თანხმობის გარეშე. ფსიქოლოგის მიერ კლიენტისგან მიღებული ყველა ინფორმაცია არის მკაცრად კონფიდენციალური.

3. ფსიქოკონსულტანტსა და კლიენტს შორის ცალსახად დაუშვებელი და გამორიცხულია ძალადობის რომელიმე ფორმა ფიზიკური, მორალური, სექსუალური თუ ფსიქოლოგიური. აგრეთვე შეურაცხმყოფელი ქმედებები, მისი ქცევის განსჯა დამამცირებელ კონტექსტში და ამის ღიად გამოხატვა;
4. სამუშაო შეხვედრები ანუ სესიები მკაცრად რეგლამენტირებულია(დასაშვებია 5–10 წუთით გადაცილება, თუმცა, მთლიანობაში, სამუშაო დრო სასურველია არ გადასცდეს 1.15–1.30 წუთს). წინასწარ განიხლება ასევე გადახდის მეთოდი და თანხის რაოდენობა, რომელიც შეიძლება შეიცვალოს. ფსიქოლოგი ვალდებულია, მინიმუმ ერთი თვით ადრე აცნობოს კლიენტს რაიმე ტიპის ცვლილებების შესახებ. ამავე დროს, თუ კლიენტმა იცის, რომ იძულებულია გააცდინოს სესია, ვალდებულია ასევე აცნობოს ფსიქოლოგს მინიმუმ ორი დღით ადრე (48 საათი). თუ კლიენტი შეხვედრის დღეს გააუქმებს სესიას ან აცნობებს ცვლილებების შესახებ შეხვედრამდე 24 საათით ადრე, მაშინ შესაძლებელია მას დაეკისროს გარკვეული საჯარიმო სანქცია ან სრულად აანაზღაუროს გაცდენილი შეხვედრის საფასური;
5. კლიენტს სრული უფლება აქვს იცოდეს, რომელი თეორიული კონცეფციებითა და მეთოდოლოგიით ხელმძღვანელობს სპეციალისტი და ასევე დაინტერესდეს რატომ ანიჭებს სპეციალისტი უპირატესობას ამა თუ იმ სამეცნიერო თუ თეორიულ კონცეფციას;
6. კლიენტს უფლება აქვს ნებისმიერ დროს შეწყვიტოს ფსიქოკონსულტაციური პროცესის წარმოება, თუმცა ამის შესახებ აუცილებლად უნდა მოახდინოს სპეციალისტის ინფორმირება გარკვეული პერიოდის განმავლობაში(უკიდურეს შემთხვევაში, წინა სესიაზე მაინც);
7. სესიის სამუშაო დრო არის 50–60 წუთი, თუმცა აღნიშნული დრო, გარკვეულწილად მაინც ირღვევა–ხოლმე. დროის ლიმიტები დაცულია ზუსტად ადგილობრივი დროის მიხედვით. თუ კლიენტი აგვიანებს, სესია არ გაგრძელდება და დრო ითვლება გამოყენებულად. განრიგში ნებისმიერი ცვლილება განიხილება წინასწარ, მინიმუმ ერთი კვირით ადრე.
8. არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება სესიაზე მისვლა ალკოჰოლური ან სხვა სახის ცნობიერებაზე ზემომქმედი საშუალებების გამოყენებით მყოფ მდგომარეობაში;
9. ფსიქოლოგს უფლება აქვს უარი თქვას კლიენტთან მუშაობაზე ზემოაღნიშნული წესების დაუცველობის შემთხვევაში;
10. თუ კლიენტს ნამდვილად სურს ცვლილებების განხორციელება, მნიშვნელოვანია რეგულარულად დაესწროს სესიებს სპეციალისტთან წინასწარ შეთანხმებული დროის მიხედვით, შეასრულოს მის მიერ მოთხოვნილი დავალებები ან აქტივობები, ყურადღება მიაქციოს იმ ფიზიკურ, ხასიათობრივ თუ პიროვნულ ცვლილებებს, რომლებიც ხდება მასში და ამის შესახებ მოახდინოს კონსულტანტის ინფორმირება;
11. ყველაფერი, რაც სესიაზე ხდება – მისალმებიდან დამშვიდობებამდე – სამუშაო მასალაა. ყველა გრძნობა, ემოცია, განცდა, გამოცდილება, კომუნიკაციის ფორმა, დისკუსია თუ ამა თუ იმ პრობლემის/განსაცდელის/სირთულის მიღება/ არმიღება დაკავშირებულია მუშაობის პროცესთან და შედის ფსიქოლოგიურ სავარჯიშოებში და მიზნად ისახავს კლიენტის ცნობიერების გაფართოებას გარე სამყაროსთან ურთიერთქმედების ფორმაზე;

12. ფსიქოლოგიური მუშაობა და ფსიქოკონსულტაციურ პროცესში ჩართვა არ არის იძულებითი, არავინ გაიძულებს შეცვალო ან თქვა ის, რასაც არ გრძნობ. საკუთარი თავის მიმღებლობა, პრობლემების აღიარება, ღირებულებების გადაფასება და ახალი ქცევითი პატერნების დაუფლება, რთული ფსიქოლოგიური სამუშაოა, თუმცა, აუცილებელია და რაც უფრო მეტად შეძლებს კლიენტი საკუთარ მტკივნეულ გამოცდილებასთან პირისპირ ურთიერთობას, მით უფრო სწრაფად განვითარდება ფსიქოლოგიური გაჯანსაღების პროცესი. კლიენტს თავად შეუძლია დაარეგულიროს თვითგამორკვევის, საკუთარი თავის აღმოჩენის, მიმღებლობის, აღიარების ხარისხი და ა.შ. რამდენადაც ფსიქოკონსულტირება არის არა დაკითხვის, განსჯის, ცოდვების მონანიების ეტაპი, არამედ პროფესიონალური დახმარების პროცესი;
13. და ბოლოს, პანდემიიდან გამომდინარე, აქტუალური გახდა ე.წ. ონლაინ–სესიები, რომლის დროსაც სასურველი და აუცილებელია წინასწარ მოხდეს სამუშაო სივრცის შერჩევა, სადაც გათვალისწინებული იქნება ისეთი ასპექტები, როგორიცაა სხვა ადამიანების არ ყოფნა, სიჩუმე, განათების ხარისხი, მუდმივი ელექტროენერგიის უწყვეტობა, ოჯახის წევრების და ა.შ. ჩართულობის აღკვეთა და სხვ.[5]

გამოყენებული ლიტერატურა:

- https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%A3%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90;
- И.Н.Ахременко ОСНОВЫ ПСИХОЛОГИЧЕСКОГО КОНСУЛЬТИРОВАНИЯ
- Учебно-методический комплекс для студентов, обучающихся по специальности «Психология» Минск Изд-во МИУ 2006
- Типичные ошибки психолога-консультанта https://studopedia.ru/4_173612_tipich-nie-oshibki-psihologa-konsultanta.html
- Типичные ошибки психологов-консультантов https://psy.bobrodobro.ru/45611
- https://psy-sblizhenie.ru/main/pravila-sovmestnoj-raboty-klienta-i-psixologa.html Правила совместной работы Клиента и Психолога

5 https://psy-sblizhenie.ru/main/pravila-sovmestnoj-raboty-klienta-i-psixologa.html Правила совместной работы Клиента и Психолога

ეფექტური კომუნიკაციის მნიშვნელობა მართვის თანამედროვე მოდელის ფორმირების პროცესში

თამარ ვანიშვილი
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი,
ეროვნული თავდაცვის აკადემია

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომში განხილულია მართვის თანამედროვე მოდელის ფორმირების და შემდგომ მისი ფუნქციონირების აუცილებელი პირობა - ეფექტური კომუნიკაციის არსებობა ორგანიზაციაში, სადაც გათვალისწინებულია ადამიანის სოციალურ-ფსიქოლოგიური ფაქტორები; პიროვნების შესწავლა და მისი რესურსის ეფექტურად გამოყენების მნიშვნელობა; ცვლილებები და მისი მიღების აუცილებლობა ორგანიზაციებში; ფაქტორები, რომლებიც განსხვავებულს გვხდის და გვეხმარება ცვლილებების განხორციელების პროცესში; გაანალიზებულია კომუნიკაციის ფსიქოლოგიური ასპექტები და მათი მნიშვნელობა კომუნიკაციის დამყარების პროცესში; დადებითი განწყობის აუცილებლობა ეფექტური კომუნიკაციის დროს და ურთიერთობის ფსიქოლოგია, რაც გულისხმობს სწორ კომუნიკაციას, რომელსაც დადებითი გავლენების მოხდენა შეუძლია; ნაშრომში ასევე განხილულია ურთიერთობის კულტურა, ეფექტურად მომუშავე ხელმძღვანელების როლი ეფექტურ კომუნიკაციებში; მართვის ერთი მთლიანი სისტემა - რომელიც გულისხმობს ორგანიზაციათა მარტივ და მოქნილ ერთეულებად გარდაქმნას.

საკვანძო სიტყვები:
მართვის თანამედროვე მოდელი, კომუნიკაცია, კომუნიკაციის ხელოვნება, ეფექტური კომუნიკაცია, ადამიანის სოციალურ-ფსიქოლოგიური ფაქტორები, კომუნიკაციის ფსიქოლოგიური ასპექტები, ცვლილებები და მისი განხორციელების აუცილებლობა, ურთიერთობის კულტურა.

The Importance of Effective Communication in the Formation of a Management Modern Mode

Tamar Vanishvili
Doctor of Business Administration,
National Defence Academy of Georgia

Abstract

The present paper discusses the effective communication in the organization that is a necessary condition for the development and subsequent functioning of a modern management model where the socio-psychological factors of a person are taken into consideration. The paper also examines the individual and the importance of effective use of his/her resources as well as the changes and the urgent need to adopt them in the organizations. It considers the factors

that make us different and help us to make changes. The paper also analyzes the psychological aspects of communication and their importance in the process of establishing communication as well as the need for a positive attitude for effective communication and the psychology of relationship that involves the proper communication than can have a positive impact. In addition, the paper discusses the communication culture, the role of effective leaders in effective communications and a unified management system that implies the transformation of organizations into simple and flexible units.

Key words:
modern management model, communication, art of communication, effective communication, socio-psychological factors of a person, psychological aspects of communication, changes and necessity for their implementation, communication culture.

შესავალი

თანამედროვე ორგანიზაციები, მართვის მოძველებულ მეთოდს ფაქტობრივად აღარ იყენებენ. სულ უფრო ცხადი ხდება, რომ ის მიდგომები, რომელთა საშუალებითაც ორგანიზაციებს მართავენ, დღითიდღე იცვლება, ფორმირდება და თანამედროვეობისათვის მისაღებ სახეს ღებულობს.

ჩვენ ვცხოვრობთ სწრაფად ცვალებად და დინამიკურ სამყაროში, სადაც, ცვლილებებს თუ არ აუწყვე ნაბიჯები - ვერ განვითარდები ანუ ჩამორჩები.

ორგანიზაციები იძულებულნი არიან, რაღაც ძალიან სიღრმისეულად შეცვალონ, რათა იყვნენ ნოვატორები და მოქნილები, ახალი საბაზრო რეალობების საპასუხოდ. რამდენადაც მნიშვნელოვანია, სიახლეების და ახალ-ახალი, საინტერესო, ორიგინალური იდეების არსებობა ორგანიზაციისთვის, მით უფრო საჭიროა არსებითი, ძირეული ცვლილებების განხორციელება ორგანიზაციის მართვის ტრადიციულ მეთოდში. ხვალ და ზეგ ყველა კომპანია იძულებული გახდება შეცვალოს მართვის მოდელი, თუნდაც იმიტომ, რომ არ ჩამორჩეს დროის მოთხოვნებს.

დღეს, აქტუალურია კითხვა: როგორ შევცვალოთ ბიუროკრატიული, მკაფიოდ გამიჯნული სტრუქტურა (სადაც ადამიანები კი არ ეხმარებიან, არამედ ეჯიბრებიან ერთმანეთს) თავისუფალი, ჰორიზონტალური, ურთიერთმხარდაჭერაზე ორიენტირებული ორგანიზაციული სტრუქტურით? ფაქტორი ბევრია, რომლის გათვალისწინების შედეგადაც მიიღება ახალი, თანამედროვე, გახსნილი ორგანიზაციული სტრუქტურა.

სწორედ ამ ძირითად ფაქტორებზე აქცენტის გაკეთება მიგვიყვანს იმ შედეგამდე, რომ ორგანიზაცია, წარმოდგენილი იქნება მართვის თანამედროვე მოდელით, სადაც გათვალისწინებულია არა მხოლოდ მმართველი რგოლის ინტერესები, არამედ გუნდი განიხილება, როგორც სისტემის მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც ქმნის ისეთ გარემოს, სადაც ადამიანებს მოსწონთ მუშაობა, არ არიან შეზღუდულები და დაძაბულები, მინიმუმამდეა დაყვანილი კონფლიქტური სიტუაციები: მენეჯერი მუდმივად ზრუნავს სტრესული მდგომარეობის თავიდან აცილებაზე, ხოლო არსებობის შემთხვევაში, მის აღმოფხვრაზე. ადამიანები ასეთ გარემოში თავს ერთი მთლიანი გუნდის წევრებად აღიქვამენ, რომლებიც ერთად წყვეტენ და იაზრებენ ორგანიზაციის სტრატეგიას და გამოკვეთავენ პრიორიტეტულ მიმართულებებს, რომლებიც უმნიშვნელოვანესია საბოლოო შედეგის მისაღწევად და განსაკუთრებულ ძალისხმევას და ყურადღებას მოითხოვს[1].

ძირითადი ნაწილი

თანამედროვე ორგანიზაციები მნიშვნელოვნად განსხვავდება ძველი სტილის ორგანიზაციებისაგან. ასეთ ორგანიზაციებში, ცვლილებების განხორციელება მეტად მოქნილად დ მსუბუქად ხდება, იდეები უფრო ორიგინალურია, გადაწყვეტილების მიღებისა და აღსრულების პროცესი გამოხატულია რაციონალურობით, ფაქტორები, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ ორგანიზაციის განვითარებაზე და სრულყოფაზე მუდმივი გადახედვის და გადახალისებს პროცესშია. ეს კი, დამეთანხმებით თანამედროვე, მოქნილი, სტრატეგიული ორგანიზაციის ჩამოყალიბების საწინდარია.

კოკო შანელის შეხედულებით -,,იმისათვის, რომ შეუცვლელი იყო, უნდა განსხვავდებოდე სხვებისაგან". განსხვავებული მიდგომა სხვებისაგან გამორჩეულს გვხდის და ხშირად წარმატებაც მოაქვს, თუმცა, სიახლის შემოტანა და დანერგვა, ხშირად, შიშთან ასოცირდება. **აღიარე და მიიღე ცვლილებები!** - ჩვენ გვიჭირს

1 ვანიშვილი თ. ა. მართვის თანამედროვე მოდელის ფორმირება და ორგანიზაციული ქცევის რეგულირების პრინციპები. მონოგრაფია. თბ., 2016, საგამომცემლო სახლი ,,ტექნიკური უნივერსიტეტი".

ცვლილებების მიღება. პირველ რიგში უნდა ვაღიაროთ, რათა - მივიღოთ. აღიარებას კი, ამ ცვლილებების თანამდევი და შემადგენელი ფაქტორების შესწავლა, გაანალიზება ჭირდება. ეს საკმაოდ რთულია, თუმცა - შესაძლებელი.

ფაქტორები, რომლებიც სხვებისაგან გამორჩეულს გვხდის:

- საკუთარი თავის რწმენა და თავდაჯერებულობა;
- დაბრკოლებებში დადებითი მხერეების დანახვა და ჩვენს სასარგებლოდ გამოყენების უნარი;
- წარსული გამოცდილების აღიარება, მიღება და გათვალისწინება;
- მიზანდასახულობა და სწრაფვა დამოუკიდებლობისაკენ;
- საკუთარი საქმისადმი ერთგულება და სიყვარული;
- მტკიცე ხასიათი, ინოვაციურობა, ოპტიმიზმი;
- საკუთარი მიზნის რეალიზებისთვის შიშის უარყოფა, საჭიროების შემთხვევაში, მიზნისაკენ სავალი გზის ცვლა და საკუთარი მიზნის ერთგულება.

რა თქმა უნდა ეს არაა ფაქტორების სრული ჩამონათვალი, თუმცა მათი გათვალისწინება და გამოყენება მართლაც, რომ ერთეულებს შეუძლიათ.

მეცნიერულ-თეორიული კვლევები ადასტურებს, რომ **მართვის თანამედროვე მოდელის ფორმირებაში** უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება **ადამიანის სოციალურ-ფსიქოლოგიური ფაქტორების** და **კომუნიკაციის,** როგორც პროცესის ეფექტურად წარმართვას. ორგანიზაცია, როგორც სოციალური, ასევე, ფსიქოლოგიური გაერთიანებაა, სადაც მნიშვნელოვანია თითოეული დეტალის გათვალისწინება, რომელიც აერთიანებს ადამიანებს და ჰარმონიულს ხდის მათ ურთიერთქმედებას. ყოველივე ეს კი, ორგანიზაციის მთლიან გუნდს, გარდაქმნის ერთიან, მოქნილ სისტემად.

მცდარია წარმოდგენა იმაზე, რომ საწარმოს მუშაობაში, შესაძლებელია მაქსიმალური შედეგების მიღწევა, როდესაც მხოლოდ ცალ-ცალკე, ინდივიდუალურად უდგები თითოეულ მუშაკს და აიძულებ მას, სათანადოდ იმუშაოს. სისტემას აქვს არა ნაწილები, არამედ ფუნქციურად ერთმანეთთან დაკავშირებული ელემენტები. ამიტომ, ერთის ცვლილება გავლენას ახდენს მეორეზე, ხოლო სხვების და მთელი სისტემის პირობების ცვლილება აისახება თითოეულზე. **მართვაში** არ არის ფსიქოლოგიური ანალიზის არავითარი ,,უჯრედები'', არავითარი ,,ერთეულები'', რომელიც შეიძლება იყოს ამოგდებული მართვის სისტემიდან და არ იყოს სრულყოფილი. მისი წარმატებისთვის საჭიროა, რომ მთელი პერსონალი მუშაობდეს ორგანიზებულად და მეგობრულად, რაც ქმნის თითოეული მუშაკისათვის სასურველ პირობებს. **ინდივიდის ფსიქოლოგია** განიხილება არა ცალკე, არამედ საწამოს პერსონალის საერთო შრომით სისტემასთან კავშირში.

ცნობილია, რომ ადამიანები აღწევენ უფრო მეტს, როდესაც წყვეტენ ამოცანებს არა ძალდატანებით, არა დასჯის შიშით, არამედ საკუთარი სურვილით, მოვალეობის გრძნობითა და პასუხისმგებლობის შეგნებით. ყველაზე მარტივი და იოლია აიძულო, ამისათვის არაა საჭირო მმართველობითი ოსტატობა. ეს რა თქმა უნდა, არ გამორიცხვას აუცილებლობას, რომ გარკვეულ პირობებში მენეჯერმა გამოამჟღავნოს სიმტკიცე, ნებისყოფა, კატეგორიული მოთხოვნა. არ შეიძლება გატაცება ადმინისტრირებით, კეთილსინდისიერი სამუშაოს მიმართ განწყობის შექმნა, რომლებიც ფსიქოლოგიურად უფრო თავაზიანი საშუალებებითაა შესაძლებელი. "ფსიქოლოგიის პოზიციიდან, **ორგანიზაციაში,** მენეჯმენტის ძირითადი ამოცანაა, ისეთი პირობების შექმნა, რომლის დროსაც თითოეულ მუშაკს ექნება კეთილსინდისიერი მუშაობისა და თავისი თავის მართვის სურვილი, სურვილი განახორციელოს თვითკონტროლი, საკუთარი თავის მიმართ მომთხოვნელობა, შესასრულებელი სამუშაოს სრულყოფის გზების მოძიება"[2].

ამერიკელი ბიზნეს-კონსულტანტი, პუბლიცისტი **გ. ემერსონი** ამის შესახებ ჯერ კიდევ მე-20-ე საუკუნეში წერდა: ,,ფიზიკური ძალის სტიმულირება შეიძლება მოახდინო

2 ვანიშვილი თ. ა. მართვის თანამედროვე მოდელის ფორმირება და ორგანიზაციული ქცევის რეგულირების პრინციპები. მონოგრაფია. თბ., 2016, საგამომცემლო სახლი ,,ტექნიკური უნივერსიტეტი''.

ჯოხით, მაგრამ შეგნებული ქცევა, შემოქმედება, ჯოხით გარეკო, წარმოუდგენელია. კუნთების დაჭიმვის დრო, ჯოხის დრო, სამუდამოდ წარსულს ჩაბარდა და მასთან ერთად ძველი მორალიც. ყველაზე მაღლა მდგომ ხელმძღვანელსაც კი, არ შეუძლია მოითხოვოს უაზრო დამორჩილება მოსწავლე-შავი მუშისაგან"[3].

ადამიანის ფსიქოლოგია და ადამიანთა ქცევა სხვადასხვაგვარია. ადამიანები, ორგანიზაციის ძირითადი ძალა, მისი განვითარებისა და აყვავების ძირითადი რესურსია. ორგანიზაციის ნებისმიერი წარმატება იქ მომუშავე ადამიანთა დამსახურებაცაა, მათი შესაძლებლობებისა და გონიერების შედეგია. პიროვნების შესწავლა და მისი რესურსის ეფექტურად გამოყენება, ნებისმიერი საწარმოს მიზანს წამოადგენს, როდესაც უპირატესობა ენიჭება ცოდნას, გამოცდილებას, ინიციატივას, მიღწეულია ბალანსი, გამოცდილებასა და ახალი იდეების განხორციელებას შორის - უკეთესი საბოლოო შედეგების მისაღწევად. **თანამედროვე მიდგომა გულისხმობს დამძიმებულ სტრუქტურათა გადახედვას და დიდ ორგანიზაციათა მარტივ და მოქნილ ერთეულებად გარდაქმნას.** მართვისადმი ახლებური მიდგომები, მოითხოვენ ადამიანურ შესაძლებლობათა რადიკალურ მობილიზაციას. მართვა უნდა ხორციელდებოდეს მაღალი საზოგადოებრივი იდეების რეალიზებით, დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ხალხს, რომლებიც არიან განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებულები, განსხვავებულები სხვებისაგან ტალანტით, აქვთ იდეები, იღებენ პროგრესულ გადაწყვეტილებებს - ყოველდღიურ ცხოვრებაში.

თანამედროვეობაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ასევე, **ურთიერთობების ფსიქოლოგიას,** ურთიერთობებს ადამიანებს შორის. **„ურთიერთობის პროცესი არის ურთიერთზეგავლენა და ურთიერთობის შედეგი კი ის ემოცია, რასაც ჩვენ ერთმანეთზე ვტოვებთ. ადამიანმა, რომელსაც ურთიერთობისას არ შეუძლია გარკვეული ტიპის ემოცია დატოვოს, ჩათვალეთ, რომ ტყუილად ილაპარაკა"[4].** თუკი ჩვენ, რასაც ვიხსენებთ, იქიდან 99% ურთიერთობებს ეხება, გამოდის, რომ ეს პროცესი უმნიშვნელოვანესია თითოეული ადამიანისთვის. ,,ურთიერთობას'' და ,,კომუნიკაციას'' ბევრი საერთო აქვთ. კომუნიკაცია პროცესია, რომელიც განპირობებულია ადამიანის სოციალური არსით. მას დიდი მნიშვნელობა აქვს პირად, პროფესიონალურ და ორგანიზებულ სფეროში. "**კომუნიკაცია** (ლათ. **Communico**-„საერთოს ვხდი") ფართო გაგებით - ინფორმაციის გაცვლა ინდივიდებს შორის სიმბოლოთა საერთო სისტემის საშუალებით"[5].

კომუნიკაციის პროცესი, ხშირად ადამიანებს დაკვირვების მიღმა რჩებათ. როდესაც ხდება მხოლოდ საკუთარი სურვილების გახმოვანება და სხვების უგულებელყოფა ამ დროს კომუნიკაცია, როგორც პროცესი, არ არის შედეგზე ორიენტირებული. თუკი ჩვენთვის მნიშვნელოვანია შედეგი, რომელიც პროცესისგან მიიღება, მაშინ ქმედებები ამ შედეგზეა ორიენტირებული. დადებითი განწყობა ეფექტური კომუნიკაციის დამყარების ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია. თუ შეგვიძლია მოსაუბრეს შევუქმნათ დადებითი განწყობა, ესე იგი ჩვენ, ზუსტად ვიცით, როგორ აღვძრათ ეს ემოციები, რომლებსაც დადებითი განწყობა მოაქვს. სწორ კომუნიკაციას-სწორი გავლენების მოხდენა შეუძლია. აქედან გამომდინარე, უდავოა რომ კომუნიკაციას ფსიქოლოგიური ასპექტებიც ახასიათებს.

ადამიანთა უმრავლესობა ფიქრობს, რომ კომუნიკაციის ხელოვნება თავისთავად არსებული მოვლენაა, მაგრამ ეს ასე არ არის, რადგან პროცესი, თვითონ რთულია და მოიცავს ურთიერთდაკავშირებულ ცვლადებს. კომუნიკაცია ეს არის ინფორმაციის გაცვლა, რომელსაც ერთი მხარე ,,სთავაზობს'', ხოლო მეორე-აღიქვამს. ყოველივე ეს სტრუქტურულად შეიძლება ასე ჩამოყალიბდეს: **კომუნიკაცია** (ინფორმაციის გაცვლა),

3 ერიაშვილი ნ. დ., სტოლიარენკო ა. მ. მენეჯმენტის ფსიქოლოგია. თბ., 2014.გვ.108.

4 https://azrovnebisakademia.ge/stsori-komunikatsia-skhvebthan-da-sakuthar-thavthan-phsiqologi-zura-mkheidze.

5 https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%A3%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90

პერცეფცია (ობიექტური სამყაროს, სინამდვილის ასახვა; გრძნობის ორგანოების საშუალებით აღქმა), **ინტერაქცია** (უკუკავშირის ზემოქმედების ორგანიზება; ორი ან მეტი ადამიანის ერთმანეთისადმი სხვა საგნების ან მესამე პირისადმი ყურადღების მიქცევა).

მნიშვნელოვანი და გასათვალისწინებელია მკვლევარების და მეცნიერების შეხედულება კომუნიკაციაზე, როგორც პროცესზე. კომუნიკაციის და მისი ფსიქოლოგიური ასპექტების კვლევა დღესაც აქტუალურია.

ა. მერაბიანი (Albert Mehrabian) მტკიცებულებით, ინფორმაციის **7 %** -გადაეცემა სიტყვებით, **55%** - გადაეცემა სახის გამომეტყველებით, **38 %** - ინტონაციით და ხმის მოდულაციით.[6] ნათლად ჩანს, რომ ჟესტიკულაციას, ხმის ტონს, ადამიანის ქცევას - უდიდესი დატვირთვა ენიჭება ეფექტურ კომუნიკაციაში.

ინფორმაციის გაცვლა ყველა დონის მენეჯერთა საქმიანობის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია. ისინი კომუნიკაციებზე ხარჯავენ თავიანთი სამუშაო დროის დაახლოებით 50-90%-ს. ამიტომ, **მენეჯერის მუშაობის ეფექტიანობა** მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია - მისი **კომუნიკაციების ეფექტიანობაზე,** საქმიანი ურთიერთობების ჩვევებსა და უნარზე. **ეფექტურად მომუშავე ხელმძღვანელები ისინი არიან ვინც ეფექტურია კომუნიკაციებში**[7]

იმისათვის, რომ სწორად გავუგოთ სხვა ადამიანებს და ეფექტიანად განვახორციელოთ მათთან ურთიერთობა, აუცილებელია კომუნიკაბელურობის ჩვევების შეძენა. მართვაში ეს უმთავრესია, რადგანაც ნებისმიერი ამოცანის გადაწყვეტა, დამოკიდებულია ადამიანებთან ურთიერთობაზე. ერთ-ერთი კომუნიკაბელური თვისება, რომელიც უნდა გააჩნდეს მენეჯერს, არის **ურთიერთობის კულტურა.** ეს კულტურა იძლევა შესაძლებლობას, კომპანიის შიგნით ვაწარმოოთ მიზანმიმართული საქმიანობა და დავამყაროთ ფირმის ნორმალური ურთიერთობა - გარე სამყაროსთან. ურთიერთობის კულტურა გულისხმობს, არა მარტო საკუთარი აზრის დასაბუთებას, არამედ, სხვისი აზრის მოსმენისა და გაზიარების შესაძლებლობას[8].

აქედან გამომდინარე კომუნიკაციის როლი მართვის პროცესში უმთავრესია, რადგან, თუ მენეჯერი ფლობს **ურთიერთობის კულტურას** და არის კომუნიკაბელური, ითვალისწინებს, ორგანიზაციის მართვის პროცესში, **კომუნიკაციის ფსიქოლოგიურ ფაქტორებს,** ეს ყოველივე **მართვის თანამედროვე მოდელის ფორმირების და შემდგომ მისი ფუნქციონირების აუცილებელი პირობაა.**

დასკვნა

ორგანიზაციებში მართვის თანამედროვე, სრულყოფილი, ეფექტური მოდელის ფორმირება და ფუნქციონირება შესაძლებელია, თუ გათვალისწინებული იქნება, ნაშრომში წარმოდგენილი რეკომენდაციები, კვლევების შედეგები და დასკვნები.

არსებული მოსაზრებების თუ შეხედულებების, როგორც მეცნიერული, ასევე თეორიული თუ პრაქტიკული ანალიზი, საშუალებას გვაძლევს ჩამოვაყალიბოთ შემდეგი:

- მართვის თანამედროვე მოდელის ფორმირებისთვის აუცილებელია, ორგანიზაციაში **ეფექტური კომუნიკაცია,** რომელიც ყალიბდება ადამიანის **სოციალურ-ფსიქოლოგიური ფაქტორების გათვალისწინებით;**
- ეფექტური კომუნიკაციის პროცესი გულისხმობს, არა მხოლოდ საკუთარი სურვილების და ინტერესების გათვალისწინებას, არამედ ქმედებებს, რომელიც ორიენტირებულია დადებით შედეგზე;

---

6 Mehrabian A. Silent messages. – Belmont,CA:Wadsworth, 1971.p.43

7 შატაკიშვილი ლ., მიქაძე ზ., ბესტავაშვილი ბ. ეფექტური ბიზნეს-კომუნიკაცია. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბ., 2007.p.41.

8 შენგელია თ. ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები. თბ., 2008.p.227.

- **კომუნიკაციის ხელოვნება,** ეს არის პროცესი, რომელსაც ფსიქოლოგიურ ფაქტორებს მოიცავს და მასში გათვალისწინებულია - **ურთიერთობების ფსიქოლოგიაც;**
- ეფექტური კომუნიკაციის ხელისშემწყობი ფაქტორებია: ზრუნვა, აღიარება, მოსმენა, ნდობა, თანაგრძნობა, მიმღებლობა, პატივისცემა;
- კომუნიკაციას, უდიდესი როლი უკავია მართვის პროცესში. ყველა ადამიანი განსხვავებული ინდივიდია, ამიტომ, ადამიანებთან კომუნიკაციის დამყარება, ზოგჯერ, არც თუ ისე მარტივი პროცესია, რადგან შესატყვის უნარებს და ასევე **ფსიქოლოგიური ფაქტორების** გათვალისწინებას საჭიროებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ვანიშვილი თ. ა. მართვის თანამედროვე მოდელის ფორმირება და ორგანიზაციული ქცევის რეგულირების პრინციპები. მონოგრაფია. თბ., 2016, საგამომცემლო სახლი ,,ტექნიკური უნივერსიტეტი''. 210 გვ.
- ერიაშვილი ნ. დ., სტოლიარენკო ა. მ. მენეჯმენტის ფსიქოლოგია. თბ., 2014.
- ჟურნალ სტრატეგია და ორგანიზაციის საუკეთესო სტატიების კრებული. თანამედროვე ორგანიზაციების მართვა. თბ., 2012.
- ახალაშვილი ნ. ფსიქოლოგიის საფუძვლები. თბ., 2012.
- შატაკიშვილი ლ., მიქაძე ზ., ბესტავაშვილი ბ. ეფექტური ბიზნეს-კომუნიკაცია. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბ., 2007.182 გვ.
- ვანიშვილი თ. პიროვნების სოციალურ-ფსიქოლოგიური ფაქტორების გათვალისწინება ორგანიზაციულ კულტურასა და მენეჯმენტში. ჟურნალი ,,ეკონომიკა'' № 7-9. თბ., 2015, გვ. 145.
- ვანიშვილი თ. კომუნიკაცია-ორგანიზაციული ქცევის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი. ჟურნალი,,ეკონომიკა'' № 7-9. თბ., 2014, გვ. 91.
- შენგელია თ. ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები. თბ., 2008.
- Mehrabian A. Silent messages. – Belmont,CA:Wadsworth, 1971.
- https://azrovnebisakademia.ge/stsori-komunikatsia-skhvebthan-da-sakuthar-thavthan-ph-siqologi-zura-mkheidze/

დისტანციური სწავლების დიდაქტიკური პრინციპები

ქეთევან კვესელავა
ინფორმატიკის აკადემიური დოქტორი,
ეროვნული თავდაცვის აკადემია,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

თეა ბიძინაშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

აბსტრაქტი

ნაშრომში ავტორებს გამოკვეთილი აქვთ დისტანციური სწავლების დიდაქტიკური პრინციპები. ავტორები აღნიშნავენ, რომ დისტანციური სწავლების სისტემა თუ ადეკვატურად და დროულად არ უპასუხებს ფსიქოლოგიის, დიდაქტიკისა და სწავლების მეთოდებში რაიმე პროგრესულ მოძრაობას, ის აუცილებლად დანაკარგში იქნება სპეციალისტის მომზადებისათვის ნებისმიერი ხარჯის გაწევისას, კომპიუტერული პროგრამებისა და ტექნიკური მხარდაჭერითი საშუალებისათვის. ნაშრომში ასევე აღნისშულია, რომ დისტანციური სწავლების სისტემის ორგანიზების პროცესში შეიძლება გამოყენებულ იქნას ისეთი მოდელები, რომლებიც ხელმისაწვდომი არ არის ტრადიციული დისციპლინური სწავლების ტიპებში, ასევე შეიძლება გამოჩნდეს დისტანციური სწავლების ახალი მოდელები, როგორიცაა ობიექტზე ორიენტირებული ან საპროექტო-ინფორმაციული მოდელები.

ნაშრომში ავტირებს გამოტანილი აქვთ დისტანციური სწავლების დიდაქტიკური მხარდაჭერის კომპლექსის სამი ბლოკი. ამ ბლოკების ამოცანაა, ტექნიკური და ჰუმანიტარული ციკლები. ავტორები აღნიშნავენ, რომ პრაქტიკიდან გამომდინარე, ამოცანების შერჩევისას, აუცილებელია, აკადემიური დისციპლინების სპეციფიკის გათვალისწინება.

საკვანძო სიტყვები:
დისტანციური სწავლება, დიდაქტიკური პრინციპები, სწავლების მეთოდები, კომპიუტერული და საკომუნიკაციო ტექნოლოგები.

Didactic principles of distance learning

Ketevan Kveselava
Academic Doctor of Informatics,
Professor of Georgian Technical University,
National Defence Academy of Georgia

Thea Bidzinashvili
Associate Professor of Georgian Technical University

Abstract

In the work, the authors have highlighted the didactic principles of distance learning process. The authors underline the point that if the distance learning system does not adequately and timely respond to any progress in psychology, didactics and teaching methods, later on it will definitely be at a loss as well as will have to pay additional expenses on specialist training, computer programs and technical support. The authors also note that in the process of organizing a distance learning system, there can be used the models that are not available in traditional types of disciplinary learning process. There may also appear new models including object-oriented or project-based models.

In the article, the authors have presented three blocks of the didactic support complex for distance learning process. The tasks of these blocks are both technical and humanitarian cycles. The authors note that, based on practice, while selecting tasks, it is necessary to take into consideration the specifics of academic disciplines.

Key words:
distance learning, didactic principles, teaching methods, computer and communication technologists.

შესავალი

დისტანციურ სწავლებაში დამოუკიდებელად ეფექტური სწავლისთვის საჭიროა მაღალი ხარისხის სერტიფიცირებული დიდაქტიკური მხარდაჭერა. მასში იგულისხმება, როგორც ურთიერთდაკავშირებული დიდაქტიკური მიზნებისა და სხვადასხვა სახის განათლებისა და აღზრდის მნიშვნელოვანი ამოცანების სასწავლო ინფორმაციის კომპლექსი. იგი თავმოყრილია სხვადასხვა ინფორმაციის მატარებლებზე, რომელიც შემუშავებულია ფსიქოლოგიის, პედაგოგიკის, ვალეოლოგიის[1], კომპიუტერული მეცნიერების და სხვა მეცნიერებების გათვალისწინებით და გამოიყენება დისტანციური განათლებისთვის.

დიდაქტიკური მხარდაჭერა დისტანციურ სწავლებაში ასრულებს შემდეგ ფუნქციებს: ორგანიზაციული, სასწავლო, საკონტროლო, მაკორექტირებელი, კომუნიკაციური, ამსახვე¬ლი და პროგნოზირებადი. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ დისტანციური სწავლების განხორციელების ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა ქსელის განვითარების შემუშავება შერჩევის თვალსაზრისით, ინფორმაციის მატარებლების სტრუქტურირება და პროგრამის დონეზე მისი პრეზენტაციის სტანდარტების განსაზღვრა[2].

ძირითადი ნაწილი

დღესდღეობით დისტანციური სწავლება განათლების განვითარების რეალურ ელემენტად იქცა. მაგრამ, როგორც ახალი პედაგოგიური ტექნოლოგია, ის მაინც ემორჩილება პედაგოგიკის ძირითად კანონებს, თუმცა გარდაქმნის მათ ახალი სასწავლო პირობების შესაბამისად და საჭიროებს გადახედვას საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

უმაღლეს სასწავლებლებში სწავლების დიდაქტიკური პრინციპები ჩვეულებრივ მოიხსენება, როგორც დებულებები, რომლებიც გამოხატავენ კავშირს უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტების მომზადების მიზნებსა და კანონზომიერებებს, რომლებიც წარმართავენ უნივერსიტეტში დისტანციური სწავლების პრაქტიკას. ცნობილი დიდაქტიკური პრინციპების ნაკრები შეიძლება დაიყოს სამ ჯგუფად.

1. ზოგადი, მათ შორის განათლების, მეცნიერების, თანამიმდევრულობის, განვითარების ჰუმანიზაციის პრინციპები;
2. განათლების მიზნებთან და შინაარსთან დაკავშირებული პრინციპები (განათლების მიზნებისა და შინაარსის შესაბამისობა სახელმწიფო საგანმანათლებლო სტანდარტებთან, განზოგადება, ისტორიულობა, მთლიანობა და სისრულე);
3. დიდაქტიკური პროცესის და მის ადეკვატური პედაგოგიური სისტემის ელემენტებით მოცული პრინციპები (დიდაქტიკური პროცესის შესაბამისობა სწავლების კანონებთან; თეორიული ცოდნის წამყვანი როლი; სწავლის აღმზრდელობითი და განმავითარებელი ფუნქციების ერთიანობა; სტიმულირება. და მოსწავლეთა სწავლისადმი პოზიტიური დამოკიდებულების მოტივაცია; პრობლემატურობა; კოლექტიური საგანმანათლებლო სამუშაოს დაკავშირება სწავლებაში ინდივიდუალურ მიდგომასთან; აბსტრაქტული აზროვნების კომბინაცია სწავლებაში ხილვადობასთან; მოსწავლეთა ცნობიერება, აქტივობა და დამოუკიდებლობა მასწავლებლის წამყვანი როლით. სწავლების თანამიმდევრულობა; ხელმისაწვდომობა; ტრენინგის შინაარსის დაუფლების ძალა);

---

1 ვალეოლოგია (ლათინურიდან "valeo" - "ჯანმრთელობა") - ახალგაზრდა ინტეგრაციული მეცნიერება, რომელიც აცნობიერებს თითოეული ადამიანის ჯანმრთელობის ფორმირების, აღდგენისა და განმტკიცების მიზნებს და საშუალებებს, სხვადასხვა სამკურნალო მეთოდებისა და ტექნოლოგიების გამოყენებით.

2 „თანამედროვე დისტანციური განათლება 21-ე საუკუნეში“. ყოველკვარტალური რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო ჟურნალი „განათლება“№3(34), 2021 წ.

განათლების ტრადიციული დიდაქტიკური პრინციპები, რა თქმა უნდა, არის დისტანციური სწავლების საფუძველი, მაგრამ ამავე დროს ისინი უნდა გარდაიქმნას, დაემატოს და მოერგოს ახალ სასწავლო გარემოს. დისტანციური სწავლების გამოყენებისას, მიმდინარე პროცესების ანალიზი აჩვენებს, რომ ეს კარგად სტრუქტურირებული და დასაბუთებული პრინციპები საკმარისი არ არის. შიდა და უცხოური დისტანციური განათლების ემპირიულმა გამოცდილებამ და დისტანციური სწავლების საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმიანობის სტრუქტურისა და განათლების შინაარსის შესახებ ჩატარებულმა კვლევამ შესაძლებელი გახადა დისტანციური სწავლების დიდაქტიკური (პედაგოგიური) სისტემის თანდაყოლილი კონკრეტული პრინციპების ჩამოყალიბება. ისინი ქმნიან დისტანციური განათლების კონცეპტუალურ საფუძველს. დისტანციური განათლების სისტემის შემუშავებისთვის, შეგვიძლია, გამოვყოთ შემდეგი ძირითადი პრინციპები:

1. **დისტანციური სწავლების სისტემაში საგანმანათლებლო პროცესის შემუშავებაში პედაგოგიური მიდგომის პრიორიტეტის პრინციპი.** ამ პრინციპის არსი იმაში მდგომარეობს, რომ დისტანციური სწავლების სისტემის შემუშავება უნდა დაიწყოს თეორიული კონცეფციების შემუშავებით, იმ ფენომენების დიდაქტიკური მოდელების შექმნით, რომლებიც უნდა განხორციელდეს. საიდუმლო არ არის, რომ სკოლებისა და უნივერსიტეტების მასწავლებლების მიერ შემუშავებული კომპიუტერული პროგრამების უმეტესი ნაწილი ხასიათდება მცირე თემებით და მათი მუშაობის შედეგები საშუალებას იძლევა გადაჭრას საკმაოდ შეზღუდული დიდაქტიკური და მეთოდოლოგიური პრობლემები, ხშირად სხვა პრობლემების გადაჭრის საზიანოდ.

კომპიუტერიზაციის დაგროვილი გამოცდილება გვაძლევს იმის მტკიცების საშუალებას, რომ, როდესაც პედაგოგიური მხარე პრიორიტეტულია, სისტემა უფრო ეფექტური აღმოჩნდება, თუმცა ტექნიკური მხარდაჭერის დონეს, რა თქმა უნდა, დიდი მნიშვნელობა აქვს. მაგრამ თავად მაღალტექნოლოგიური ინსტრუმენტი, პირველ რიგში, ტექნიკური მოწყობილობაა, რომელიც აუმჯობესებს სწავლების ორგანიზების პირობებს. ფრაზაში „დისტანციური სწავლება“ საკვანძო სიტყვაა „სწავლა“ და სწორედ სწავლის პროცესებისა და სწავლის შედეგების დიდაქტიკური მოთხოვნები, განსაზღვრავს დისტანციური განათლების მიზანშეწონილობას და ეფექტურობას. ამიტომ, თუ დისტანციური განათლების სისტემა ადეკვატურად და დროულად არ უპასუხებს ფსიქოლოგიის, დიდაქტიკისა და სწავლების მეთოდებში რაიმე პროგრესულ მოძრაობას, ის აუცილებლად დანაკარგში იქნება სპეციალისტის მომზადებისათვის ნებისმიერი ხარჯის გაწევისას კომპიუტერული პროგრამებისა და ტექნიკური მხარდაჭერითი საშუალებისათვის. მაგალითად, სწავლისადმი ინ-დივიდუალური მიდგომის პრინციპი ყოველთვის ითვალისწინებდა მოსწავლის უნარს, მიაღწიოს უფრო სწრაფ ტემპს ან გადავიდეს სწავლების უფრო რთულ ვარიანტებზე. სწავლის შედეგების მიხედვით ხორციელდება მსმენელთა დაყოფა. ბოლო წლებში ამ პრინციპმა, სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლებაზე გადასვლის გამო, მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა თანამედროვე პედაგოგიკის რეორიენტაციაში. სტუდენტზე ორიენტირებული მიდგომის ფუნდამენტური განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ მასში მსმენელთა დიფერენცირება ხდება იმ მიზეზთა თანახმად, რომლებიც ამ შედეგების შემცირებას ან ზრდას იწვევს (იგულისხმება მსმენელთა ინდივიდუალურ მახასიათებლებთან და კოგნიტურ შესაძლებლობებთან დაკავშირებული მიზეზები).

2. **მოქნილობისა და დინამიზმის პრინციპი** განსაზღვრავს მსმენელთა შესაძლებლობებს ამ სისტემაში, ანუ არ დაესწრონ ისეთ რეგულარულ გაკვეთილებს, როგორიცაა: ლექციები და სემინარები; ისწავლონ მათთვის მოსახერხებელ დროსა და ადგილზე. ეს ფუნდამენტურად მნიშვნელოვანია მათთვის, ვისაც არ შეუძლია ან არ სურს შეცვალოს ჩვეული ცხოვრების წესი ან სწავლა სამუშაოს გარეშე. ამ პრინციპის განხორციელება მნიშვნელოვან როლს ასრულებს როგორც მასწავლებლისთვის (ნებისმიერი კონტიგენტი, ნებისმიერი პირობა და ა.შ.), ასევე მოსწავლისთვის

(ნებისმიერი ადგილი, ნებისმიერ დროს, ნებისმიერ ასაკში და ა.შ.).

მოსწავლის თვალსაზრისით ეს პრინციპი მას აძლევს განათლების მიღებისა თუ უნარებისა და შესაძლებლობების შეძენის ინდივიდუალური ტრაექტორიის არჩევანის, შექმნისა და განხორციელების საშუალებას. ტრადიციულად ითვლება, რომ საგანმანათლებლო პროცესის ხარისხი და ეფექტურობა დიდწილად დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ მოარგებს მასწავლებელი სასწავლო მასალას სასწავლო პროცესის სპეციფიკურ პირობებს. მათ შორისაა სასწავლო მასალის ხარისხი, მოსწავლეთა შემეცნებითი შესაძლებლობები და ა.შ.

მოქნილობის პრინციპი გამოიხატება მასალების სტრუქტურირებასა და ორგანიზებაში, ჯგუფების დაკომპლექტებაში, სწავლის შედეგების მოთხოვნების დონეში სხვადასხვა მოსწავლისთვის და ა.შ. სწავლის მოქნილობა ხშირად გა-ნიხილება დისტანციური განათლების ცენტრების საქმიანობის ორგანიზებასთან დაკავშირებით. ასეთ მოქნილობას უზრუნველყოფს ამ ცენტრებში მრავალი განსხვავებული სასწავლო მასალების არსებობა, რომელიც წარმოდგენილია როგორც ტრადიციული ფორმით (წიგნები, კონსულტაციები), ასევე დისტანციური ფორმით, რომელიც დაფუძნებულია ახალ კომპიუტერულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე.

ამ მიდგომის კომპონენტად ზოგიერთი ავტორი სწავლის მობილურობის პრინციპს ასახელებს. ეს პრინციპი მოიცავს: საინფორმაციო ქსელების, მონაცემთა და ცოდნის ბაზების შექმნას დისტანციური განათლებისთვის, რაც სტუდენტს თავისი საგანმანათლებლო პროგრამის საჭირო მიმართულებით კორექტირების ან შევსების საშუალებას აძლევს. ამასთან, აუცილებელია შენარჩუნდეს ინფორმაციული ინვარიანტული განათლება, რომელიც განათლების სხვა სფეროებზე გადასვლის შესაძლებლობას იძლევა.

3. ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების პედაგოგიური მიზანშეწონილობის პრინციპი მოითხოვს დისტანციური სწავლების პროექტირებისა და შექმნის სისტემის თითოეული ეტაპის ეფექტურობის პედაგოგიურ შეფასებას. ეს მნიშვნელოვანია იმ მხრივ, რომ ახლად შესრულებული გამოგონებები და ინოვაციები არ იქცეს მოდურ ტენდენციად ან არ მოხდეს სასწავლო პროცესის პრიმიტიული მორგება შეძენილ ტექნოლოგიებზე. წინა პლანზე უნდა დადგეს არა ტექნოლოგიების დანერგვა, არამედ სასწავლო კურსებისა და საგანმანათლებლო სერვისების შესაბამისი შინაარსი.

4. განათლების საწყისი დონის გათვალისწინების პრინციპი. დისტანციური განათლების სისტემაში ეფექტური სწავლა მოითხოვს საბაზისო საგნობრივი ცოდნის, უნარებისა და შესაძლებლობების გარკვეულ კომპლექტს, რომელსაც ყველა ახლად მიღებული სტუდენტი არ ფლობს. გარდა ამისა, პროდუქტიული სწავლისთვის სწავლის კანდიდატი უნდა იცნობდეს დამოუკიდებელი სასწავლო სამუშაოს სამეცნიერო საფუძვლებს, ჰქონდეს გარკვეული კომპიუტერული უნარ-ჩვევები და ა.შ. ამიტომ, წინასწარ უნდა იყოს გათვა-ლისწინებული „საწყისი საფეხურები“, სხვადასხვა დონის წინასაუნივერსიტეტო მოსამზადებელი სტუდენტებისათვის.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, დისტანციური განათლება, რომელიც მოქნილია სწავლების ხანგრძლივობისა და სპეციალური მოსამზადებელი კომპიუტერული პროგრამების თვალსაზრისით, სხვადასხვა დონის მომზადების მქონე სტუდენტების სწავლების პრობლემის გადაჭრის საშუალებას იძლევა. ამავდროულად, სტუდენტები, იძულებულნი არიან შეივსონ და აღიდგინონ სკოლაში მიუღებელი ან სხვადასხვა მიზეზის გამო დაკარგული ცოდნა (ჯარში სამსახური, წარმოებაში მუშაობა არა სპეციალობაში და ა.შ.), შეიძლება სტუდენტმა ეს ჩავარდნა დროთა განმავლობაში მაღალი შემეცნებითი პოტენციალის ან მონდომების შედეგად შეავსოს.

5. მასწავლებლის მიერ გამოყენებული სასწავლო ტექნოლოგიების შესაბამისობის პრინციპი დისტანციური განათლების შერჩეულ მოდელებთან და სახეებთან, მასწავლებლის ან საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გამოყენებადი მონაცემებით. სწავლების ტექნოლოგიები ადეკვატური უნდა იყოს დისტანციური

განათლების მოდელებთან. სწავლების ორგანიზებისათვის გამოიყენება შემდეგი ფორმები: ლექციები, სემინარები და პრაქტიკული მეცადინეობები, სიმულაციური ან საქმიანი თამაშები, ლაბორატორიული გაკვეთილები, დამოუკიდებელი სამუშაოები, სამრეწველო პრაქტიკა, საკურსო ნაშრომები და თეზისები, ცოდნის შეძენის კონტროლი. დისტანციური განათლების სისტემის ორგანიზების პროცესში შეიძლება გამოყენებულ იქნას მოდელები, რომლებიც ხელმისაწვდომი არ არის ტრადიციული დისციპლინური განათლების ტიპებში, ასევე შეიძლება გამოჩნდეს დისტანციური განათლების ახალი მოდელები, როგორიცაა ობიექტზე ორიენტირებული ან საპროექტო-ინფორმაციული მოდელები.

6. სტუდენტებისთვის განათლების შინაარსის არჩევის თავისუფლების პრინციპი. ამ პრინციპის განხორციელებისას უნდა იხელმძღვანელონ იმით, რომ დისტანციური განათლების სისტემის სასწავლო კურსებისა და დისციპლინების შინაარსი უნდა შეესაბამებოდეს განათლების სტანდარტებს მარეგულირებელ მოთხოვნებს.

7. დისტანციური სწავლების სისტემაში მოძრავი ინფორმაციის უსაფრთხოების უზრუნველყოფის პრინციპი. საჭირო ინფორმაციის უსაფრთხო და კონფიდენციალური შენახვის, გადაცემისა და გამოყენებისათვის აუცილებელია ორგანიზაციული და ტექნიკური მეთოდების უზრუნველყოფა. გაგზავნილი დისკების დეფექტმა ან დეფორმაციამ, კომპიუტერულმა ვირუსებმა, ელექტრული სქემების გაუმართაობამ შეიძლება გაანადგუროს სტუდენტისთვის გაგზავნილი ინფორმაცია ან მისი მუშაობის შედეგები, თუ არ არის გათვალისწინებული და რეალიზებული ადეკვატური დაცვის ზომები.

8. დისტანციური სწავლების ანტაგონიზმის[3] პრინციპი განათლების არსებულ ფორმებთან. დისტანციური სწავლების სისტემა შეძლებს საჭირო სოციალური და ეკონომიკური ეფექტის მიცემას, იმ პირობით, რომ შექმნილი და დანერგილი საინფორმაციო ტექნოლოგიები არ გახდება უცხო ელემენტი პროფესიული განათლების ტრადიციულ სისტემაში, არამედ ბუნებრივად იქნება ინტეგრირებული მასში.

9. მოდულაროობის პრინციპი. დისტანციური სწავლების პროგრამები ეფუძნება მოდულურ პრინციპს. მოდული არის სამიზნე ფუნქციური ერთეული, რომელიც მის დასაუფლებლად საგანმანათლებლო შინაარსს და ტექნოლოგიას აერთიანებს. მოდულების ფორმირების საფუძველია დისციპლინის სამუშაო პროგრამა. თითოეული ინდივიდუალური მოდული კონკრეტულ საგანზე ჰოლისტიკურ ხედვას ქმნის. ეს დამოუკიდებელი კურს-მოდულების ნაკრებიდან სასწავლო გეგმის შექმნის საშუალებას იძლევა. სასწავლო გეგმების შემუშავებისას არჩევენ კურს-მოდულებს, რომლებიც ერთად შესაძლებელს ხდის დაკმაყოფილდეს როგორც სტუდენტის მოთხოვნები მიღებულ ცოდნაზე, ასევე ზოგადი მოთხოვნები შინაარსობრივი და სასწავლო პროცესის მიმართ[4].

დისტანციური სწავლების დიდაქტიკური მხარდაჭერის კომპლექსის სამი ბლოკი

დისტანციური სწავლების დიდაქტიკური მხარდაჭერის კომპლექსი შეიძლება წარმოდგენილი იყოს სამი ბლოკის სახით:

- საინფორმაციო შინაარსი;
- კონტროლი და კომუნიკაცია;
- მაკორექტირებელ-განმაზოგადებელი.
- ინფორმაციის შინაარსის ბლოკი შედგება ორი ქვებლოკისგან:
- საინფორმაციო;
- შინაარსიანი.

პირველი ქვებლოკი მოიცავს:

---

3 (ბერძნ. antagonisma ბრძოლა, მეტოქეობა) – საპირისპირო, საწინააღმდეგო მოქმედება.

4 ქ. კვესელავა, ი. ბოჭორიშვილი, თ. ბიძინაშვილი, რა. ჩიჩუა„„დისტანციური საგანმანათლებლო რესურსების შემუშავება და განვითარება“, თბ.2022 წ.

- ზოგადი ინფორმაცია შესასწავლი კურსის შესახებ;
- ამ კურსის სწავლის პირობები;
- მოცემული აკადემიური დისციპლინის გავლის განრიგი, თემები და სექციები;
- ანგარიშგების ფორმები და დრო;
- პრაქტიკული და სემინარის გაკვეთილების განრიგი თანამედროვე საინფორმაციო საშუალებების გამოყენებით (ელ. ფოსტა, 1P-ტელეფონია და ა.შ.)
- • კონსულტაციების განრიგი.

მეორე ქვებლოკი მოიცავს:

- სასწავლო გეგმები და სასწავლო გეგმები;
- სახელმძღვანელოები, პრობლემების კრებულები, სასწავლო საშუალებები, საცნობარო წიგნები, ენციკლოპედიები;
- სემინარის გეგმები;
- დამატებითი ლიტერატურის ჩამონათვალი (სხვა დოკუმენტების ბმულები);
- მოცემული ცოდნის სფეროს რეფერატების, კურსების და თეზისების ჩამონათვალი;
- კითხვარების ნაკრები სტუდენტთან თავდაპირველი გაცნობისთვის;
- რეკომენდაციები (Guidelines) ლაბორატორიული მუშაობისთვის;
- სახელმძღვანელოები მასწავლებლებისთვის გაკვეთი-ლების ორგანიზების შესახებ;
- რეკომენდაციები (Guidelines) მომხმარებლებისთვის ინტეგრირებულ კომპიუტერიზებულ კურსებთან (CC) და კომპიუტერულ ქსელებთან მუშაობის შესახებ, მათ შორის ინტერნეტთან.

საინფორმაციო-სარჩევი ბლოკი უზრუნველყოფს ორგანიზაციული და სასწავლო ფუნქციების შესრულებას. ამ ბლოკში მოცემული ინფორმაცია (ინდივიდუალური კომპიუტერული პროგრამები, სრული QC, ელექტრონული სახელმძღვანელოები, სასწავლო საშუალებები და ა.შ.) შეიძლება წარმოდგენილი იყოს როგორც მაგნიტურ, ისე ქაღალდის მატარებლებზე. ამასთან, გამოიყენება თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიები (მაგალითად, მულტიმედია, ჰიპერმედია და ა.შ.).

საკონტროლო და საკომუნიკაციო ბლოკი შედგება ორი ქვებლოკისგან:

- კონტროლი;
- კომუნიკაბელური.
- პირველი ქვებლოკი მოიცავს სხვადასხვა ტიპის ტესტებს:
- მოსწავლის მომზადების საწყისი (საწყისი) დონის განსაზღვრა;
- შუალედური და საბოლოო კონტროლისთვის;
- სხვა თემაზე გადასვლის მზადყოფნის შემოწმება;
- შესწავლილი მასალის გაგების სიღრმის გამოვლენა; კითხვები თვითკონტროლისთვის (ზოგადი, დეტალური);
- კითხვები ტესტებისა და გამოცდებისთვის;
- შეფასების კრიტერიუმები;
- ამ კურსის მიმდინარე პროგრესის მონიტორინგის განრიგი;
- ტესტის შედეგების კოდირებისა და დეკოდირების პროგრამის საბოლოო სერტიფიცირების გრაფიკი და ფორმები.

მეორე ქვებლოკი მოიცავს:

- კომუნიკაციის თანამედროვე საშუალებების გამოყენებით მიმდინარე კონსულტაციების განრიგი და სახეები;
- ცოდნის სხვადასხვა დარგში მასწავლებლ-კურატორებთან და პედაგოგ-კოორდინატორებთან პირადი შეხვედრების განრიგი.

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ამოცანების შერჩევისას, აუცილებელია, აკადემიური დისციპლინების სპეციფიკის გათვალისწინება.

ბლოკების ამოცანაა, მათემატიკური და ჰუმანიტარული ციკლები.

მათემატიკის შესწავლისას, მაგალითად, საკონტროლო-საკომუნიკაციო ბლოკში შეიძლება შევიდეს შემდეგი სახის ამოცანები: თეორიული შესავლის ძიება, ნაცნობი ამოცანები, განზოგადებული ასოციაციები, რომლებიც დაკავშირებულია ამ ამოცანასთან; დამატებითი ამოცანის (პრობლემა-მინიშნებები) გაცნობა და გადაწყვეტა; დავალების მოდიფიკაცია განზოგადების, სპეციალიზაციის, ანალოგიის გამოყენებით; ამოცანის ხელახალი ჩამოყალიბება ამოცანის ელემენტების განმარტებებისა და თვისებების გათვალისწინების საფუძველზე; ამოცანის ცალკეული ელემენტების ცვალებადობა და ამ უკანასკნელის განხილვა სხვადასხვა კომბინაციებში; პრობლემის პირობების ნაწილის დაკმაყოფილების შესაძლებლობის განხილვა; ყველა მონაცემის აღრიცხვა, მათი ანალიზი თანმიმდევრულობისა და სისრულისთვის; სხვადასხვა დონის სირთულის ამოცანები და ა.შ.

ჰუმანიტარული ციკლის საგნების შესწავლისას საკონტროლო და საკომუნიკაციო ბლოკი შეიძლება მოიცავდეს დავალებებს, როგორიცაა ესსე; საგანმანათლებლო და კვლევითი რეფერატები; ანოტაცია ახალი წიგნისთვის; ამ ნაწილის (თემის) ძირითად დებულებებზე შენიშვნების ამოცანები; დავალებები დასამტკიცებლად, არგუმენტირებულად და გადამოწმებისთვის; დავალებები აბსტრაქციის, კონკრეტიზაციისა და განზოგადებისთვის; ინტროსპექციის შედეგების აღწერა; სიტუაციური ამოცანები; სხვადასხვა ტესტები და ა.შ.

საკონტროლო ამოცანების შემუშავებისას გამოიყენება შემდეგი პედაგოგიური ხერხები: მოცემულ განმარტებაში გამოტოვებული სიტყვის (ტერმინის) დადგენა, წერტილების ნაცვლად განმარტებაში გამოტოვებული სიტყვის ჩასმა; მოცემული საკვანძო სიტყვებიდან განმარტების შედგენა; სწორი პასუხების ხაზგასმა; არასწორი პასუხების გადაკვეთა; შემოთავაზებულიდან სწორი პასუხის არჩევა; ძირითადი ზოგადი ცნებების ტერმინების განმარტებებში ხაზგასმა; განცხადებების თვითშერჩევის შესაძლებლობა; თემის ან თემების ჯგუფის ბოლოს სტრუქტურულ-ლოგიკური დიაგრამის შედგენა; სწორი პასუხის აგება; ორიგინალური სიტყვის (ეტიმონის) მითითება, საიდანაც მომდინარეობს მოცემული ტერმინი; შესასწავლი ტერმინის მეცნიერული მნიშვნელობის გამჟღავნება და ა.შ.

საკონტროლო-კომუნიკაციური ბლოკი უზრუნველყოფს სწავლების, მაკონტროლებელ, კომუნიკაციურ, ორგანიზაციულ, ამსახველ ფუნქციებს. გარდა ამისა, ის საშუალებას გაძლევთ დაამყაროთ ოპტიმალური უკუკავშირი დისტანციური საწავლების მონაწილეებს შორის. საკონტროლო და საკომუნიკაციო ბლოკში შინაარსობრივი საგანმანათლებლო ინფორმაცია წარმოდგენილია სამი ფორმით: თეორიული, საკლასო-პრაქტიკული, განსაზღვრულია დამოუკიდებელი მუშაობისთვის. ამ ბლოკში შემავალი საგანმანათლებლო ინფორმაცია უნდა უზრუნველყოფდეს რამდენიმე სახის კონტროლს: წინასწარი, მიმდინარე, სასაზღვრო და საბოლოო. მოსწავლეთა საგანმანათლებლო საქმიანობის კონტროლი ხელს უწყობს ისეთი თვისებების განვითარებას და ჩამოყალიბებას, როგორიცაა: თვითკონტროლი, მოქნილობა და ა.შ.

მაკორექტირებელ-განმაზოგადებელი ბლოკი (ასიმილაციის დონის პედაგოგიური მონიტორინგის შედეგები) მოიცავს: მოსწავლის სასწავლო მუშაობის საბოლოო შედეგებს; საგანმანათლებლო და შემეცნებითი საქმიანობის დიაგნოს¬ტიკას; სხვადასხვა სახის კონტროლის შედეგების ანალიზს. ამ მონაცემებიდან საგანმანათლებლო დაწესებულებაში (დისტანციური სწავლების ცენტრი) ყალიბდება მონაცემთა ბაზა თითოეული მოსწავლისთვის. მასზე წვდომის უფლება აქვთ საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციას და შესაბამისი აკადემიური დისციპლინების წამყვან მასწავლებლებს. ეს ბლოკი უზრუნველყოფს შემდეგ ფუნქციებს: ორგანიზაციული, მაკორექტირებელი, კომუნიკაციური, ამსახველი, პროგნოზირებადი.

გარდა ამისა, მონიტორინგი შესაძლებელს ხდის სტუდენტების განვითარების

პროგნოზირებას, მათი დახმარებით გააუმჯობესოს საკონტროლო-კომუნიკაციის შინაარსი, სტრუქტურა და სასწავლო სტრატეგია, დაგეგმოს დისტანციური სწავლების განვითარების პერსპექტივები მიზნობრივი საკონტროლო კომუნიკაციისათვის. დისტანციური სწავლების პროექტირებისათვის და აგებისათვის გამოიყენება სხვადასხვა მიდგომები, მაგალითად:

- დისტანციური სწავლების განვითარება ცოდნის სხვადასხვა დარგში სხვადასხვა შემოქმედებითი ჯგუფების მიერ;
- დისტანციური სწავლების განვითარება ცოდნის სხვადასხვა სფეროში შემოქმედებითი გუნდის მიერ, რომელიც შედგება სხვადასხვა სპეციალისტებისგან და შექმნილია ცენტრის ბაზაზე ამ საგანმანათლებლო და¬წესებულების დისტანციური სწავლების ლაბორატორიების მიერ;
- მზა სერტიფიცირებული დისტანციური სწავლების შეძენა და მისი ადაპტაცია საგანმანათლებლო დაწესებულების საჭიროებებთან; სატელეკომუნიკაციო ქსელებში სხვადასხვა დონეზე, მათ შორის ინტერნეტში არსებული სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო ინფორმაციის გამოყენება.

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ დისტანციური სწავლების პროექტირებისა და აგების პირველი მიდგომა, თუმცა ყველაზე ძვირი, მაგრამ უფრო რაციონალურია, რადგან ის ყველა მონაწილეს აძლევს დისტანციური სწავლების პროცესში მზა პროდუქციის გამოყენების საშუალებას დამატებითი მეთოდოლოგიური მომზადების გარეშე. მიზნობრივი საკონტროლო-კომუნიკაცია შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც მოდელი დისტანციური სწავლების დისტანციურ სწავლებაში. ისინი წარმოადგენენ საგანმანათლებლო კომპიუტერულ ტექნოლოგიას ნებისმიერი აკადემიური დისციპლინისთვის, რომელიც ორიენტირებულია განათლებისა და აღზრდის პროცესში დასახული დიდაქტიკური ამოცანების მიღწევაზე. ამ კურსების საინფორმაციო და საგნობრივი გარემო მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:

- კურსის შესახებ ზოგადი ინფორმაციის ბლოკს (მიზანი, მიზნები, ამოცანები, შინაარსი, სტრუქტურა, საგანმანათლებლო და შემეცნებითი საქმიანობის პირობები, შეფასების კრიტერიუმები, საბოლოო დოკუმენტები);
- კითხვარების ბლოკს სტუდენტთან პირველადი გაცნობისთვის;
- ტესტების ბლოკს ცოდნის ამ სფეროში სტუდენტების მომზადების საწყისი დონის დასადგენად;
- თეორიულ და საცნობარო მასალებს მოცემულ ცოდნის სფეროზე (სტრუქტურირებული სასწავლო და საცნობარო მასალები);
- პრობლემური სიტუაციების ბლოკს (ტექსტები-დავალებები გაგების სიღრმის დასადგენად);
- ტესტების ბლოკს ცოდნის კონტროლისთვის (დავალებების სისტემა კურსის საგნის შინაარსის დაუფლების დონის შესამოწმებლად);
- ფსიქოლოგიური ტესტების ბლოკს (მოსწავლის პიროვნების ზოგიერთი კოგნიტური პროცესის ფორმირების დონის და ინდივიდუალური ტიპოლოგიური მახასიათებლების შესწავლის ამოცანები);
- მოსწავლეთა დამოუკიდებელი საგანმანათლებლო მუშაობის შედეგების პედაგოგიური მონიტორინგის ბლოკს[5].

დასკვნა

ამრიგად, ზემოთ ჩამოთვლილი ბლოკები არ არის იზოლირებული პროგრამის ელემენტები, მაგრამ სპეციალურად შექმნილი და შენახულია ობიექტზე ორიენტირებული პროგრამის გარსით. საინფორმაციო-საგნობრივი გარემოს

5 ქ. კვესელავა, ი. ბოჭორიშვილი, თ. ბიძინაშვილი, რ. ჩიჩუა, „დისტანციური საგანმანათლებლო რესურსების შემუშავება და განვითარება“,თბ. 2022 წ.

შექმნის პარალელურად იქმნება მეთოდოლოგიური კომპლექსი, რომელიც შეიცავს რეკომენდაციებს მასწავლებლისთვის გაკვეთილების ორგანიზებისა და ჩატარების შესახებ, ასევე ინსტრუქციებს სტუდენტისთვის საკონტროლო-კომუნიკაციის მუშაობის შესახებ, სახელმძღვანელოებს, სასწავლო გეგმებს, სამუშაო პროგრამებს მოცემულ დისციპლინაში და ა.შ.

კონკრეტული დისციპლინების საკონტროლო-კომუნიკაციური მიზნებისათვის გამოიყენება ჰიპერტექსტის ტექნოლოგია, რომელიც იძლევა ინფორმაციის ნახვის საშუალებას ნებისმიერი სფეროს შესახებ.

გამოყენებული ლიტერატურა:

- „თანამედროვე დისტანციური განათლება 21-ე საუკუნეში“. ყოველკვარტალური რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო ჟურნალი „განათლება“№3(34), 2021 წ.
- http://iswd.ge/uploads//Flipped%20Classroom%20Teacher%20Handbook.pdf
- Garrison R. Theoretical challenges for distance education in the 21st century: A shift from structural to transactional issues. International Review of Research in Open and Distance Learning. 2000. № 1 (1). P. 3–15.
- Peters O. Distance teaching and industrial production: a comparative interpretation in outline, in D. Sewart, D. Keegan y B. Holmberg (eds.), Distance Education: International Perspectives. London Croom Helm, 1983.
- Овсянников В. И., Густырь А. В. Введение в дистанционное образование. М.: РИЦ «Альфа» МГ ОПУ им. М. А. Шолохова,2000. 326 с.
- Holmberg B. Guided didactic conversation in distance education, in D. Sewart & B. Holmberg (eds.), Distance Education: International Perspectives. London: Croom Helm, 1983.
- Keegan D. Reintegration of the teaching acts. In Keegan, D. (Ed.). Theoretical principles of distance education. L.; N. Y.: Routledge. 1993. P. 113–134.
- Moore M. Toward a theory of independent learning and teaching. Journal of Higher Education. 1973. № 44 (12). P. 661–679.
- Sewart D. Mass Higher Education: Where are We Going? Ortner G. E., Graff K. and Wilmersdoerfer H. Distance Education as two-way communication. Essays in Honour of Borje Holmberg, Frankfurtam Main, Berlin, Berne, New York, Paris, Vienna, 1987.
- 1Saba F. Distance education theory, methodology, and epistemology: A pragmatic paradigm. In Moore, M. Handbook of distance education: New Jersey: Lawrence Erlbaum Associate Publishers,
- 1Baath, J.A. (1982). Distance Students' Learning--Empirical Findings and Theoretical Deliberations. Distance Education, 3(1), 6-27. Retrieved January 26, 2022 from https://www.learntechlib.org/p/164263/.
- https://www.britannica.com/topic/distance-learning
- https://unevoc.unesco.org/home/distance+learning&context=
- www.simplypsychology.org/left-brain-vs-right-brain.html
- ქ.კვესელავა, ი. ბოჭორიშვილი, თ. ბიძინაშვილი, რ. ჩიჩუა, „დისტანციური საგანმანათლებლო რესურსების შემუშავება და განვითარება“, თბ.2022 წ.

აშშ-საქართველოს ურთიერთობები ჯორჯ უოლკერ ბუშისა და ბარაკ ობამას მმართველობის პერიოდში

ანი კობახიძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი
მეცნიერ- ხელმძღვანელი: ფილოსოფიის დოქტორი,
პროფესორი **სალომე ხიზანიშვილი**

აბსტრაქტი

წინამდებარე სტატია იკვლევს ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკის პარადოქსებს საქართველოსთან დამოკიდებულებაში; ამ მიმართულებით წარმოჩენილი მაქვს ჯორჯ უოლკერ ბუშისა და ბარაკ ობამას მიერ გადადგმული ნაბიჯები და მათი ქმედებების შედეგებს შორის არსებული დისპროპორციები; აშშ-სა და რუსეთის ინტერესები 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომსა და შემდგომ განვითარებულ პროცესებში და ჩამოყალიბებული მაქვს ჩემი მიდგომები და ხედვები აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით.

დღევანდელ რეალობაში ამერიკის შეერთებული შტატები საქართველოს ყველაზე მნიშვნელოვანი პარტნიორია. დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე საქართველოსთვის გაწეული კოლოსალური საერთაშორისო დახმარებების უდიდესი ნაწილი, სწორედ აშშ-ს ანგარიშზე მოდის. თუმცა, საქართველო კვლავ რჩება რუსეთის მხრიდან ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული პრეტენზიების სამიზნედ და კვლავ არსებობს რეალური საფრთხე სუვერენიტეტის ხელყოფის ჭრილში.

სტატია მიზნად ისახავს პასუხი გასცეს ისეთ ძირითად კითხვებს, როგორებიცაა: არსებობს თუ არა ომის განმეორების რეალური საფრთხე? როგორ უნდა აიცილოს ქვეყანამ ე.წ. მცოცავი ოკუპაციის პირობებში შესაძლო კონფლიქტი და განაგრძოს სვლა ევროინტეგრაციის გზაზე?

მკითხველი ნათლად დაინახავს, რომ სამომავლო საფრთხეების ანალიზის, პროგნოზირებისა და დამცავი პრევენციული ზომების გათვლისათვისა და საქართველოს პოლიტიკის სწორად წარმართვისათვის საჭიროა აშშ-რუსეთის ურთიერთობების დინამიკისა და პერსპექტივების უფრო სკრუპულოზური შესწავლა და კვლევა.

საკვანძო სიტყვები:
მმართველობა, საქართველო, რუსეთი, ამერიკის შეერთებული შტატები, ეროვნული ინტერესები, პარტნიორობა, თანამშრომლობა, მცოცავი ოკუპაცია, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომი, სამომავლო საფრთხეები, კომუნიკაცია, კონფლიქტი, ევროინტეგრაცია.

United States Relations with Georgia under the Presidency of George W. Bush and Barack Obama

Ani Kobakhidze
Phd Student of Georgian Technical University,
Supervisor: Doctor of Philosophy, Professor **Salome Khizanishvili**

Abstract

The article studies the paradoxes of US politics in relation to Georgia. In this direction, I have presented the political actions of George W. Bush and Barack Obama administrations and the disproportions between these political actions and their results; U.S. and Russia's interests in 2008 Russo-Georgian War and in the processes developed after the war. I have developed my approaches and views in connection with the above-mentioned matters.

Nowadays, the USA is Goergia's most important partner. From independence till today colossal international aid provided to Georgia comes from the USA. Though, Georgia still remains the target of Russia's serious claims. Moreover, there still exists the real threat of encroaching on the sovereignty of Georgia.

The article aims at answering the following research questions: Is there a real danger of repeating the Russo-Georgian war? How can Georgia avoid a conflict under creeping occupation conditions and continue moving on the path of European integration?

The reader discovers that we should study the dynamics and perspectives of US-Russian relations scrupulously in order to analyse and predict future threats.

Key words:
Presidency, Georgia, Russia, The USA, national relations, partnership, cooperation, creeping occupation, 2008 Russo-Georgian War, future threats, communication, conflict, European integration.

შესავალი

დღესდღეობით, ამერიკის შეერთებული შტატები საქართველოს ყველაზე მნიშვნელოვანი პარტნიორია. რუსეთის აგრესიისაგან საქართველოს უპირველესად ამერიკა იცავს და „რუსეთის ჯარების გაყვანა საქართველოდან სრულიად დასავლეთის, პირველ რიგში კი, ამერიკის შეერთებული შტატების დამსახურებაა" [1]

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, საქართველოსათვის გამოყოფილ უდიდეს საერთაშორისო დახმარებათა უმეტესი ნაწილი, ამერიკის შეერთებული შტატებიდან მოდის. დროის ამ მონაკვეთში, აშშ-მ ასეულობით მილიონი დოლარის ინვესტიცია განახორციელა საქართველოში დემოკრატიის განვითარების კუთხით. აშშ-ს წვლილი ძალიან დიდია იმაში, რომ დღეს საქართველოს საკმაოდ განვითარებული და წარმატებული დემოკრატიული ინსტიტუტები აქვს. ეს ფაქტი მეტად მნიშვნელოვანია ქართული პოლიტიკის თანამედროვე კონტექსტში, როცა საქართველო კვლავ რჩება რუსეთის მხრიდან ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული პრეტენზიების სამიზნედ.

საქართველო ნელი ნაბიჯებით, თუმცა მაინც განაგრძობს სვლას ევროინტეგრაციის გზაზე, რაშიც დიდი წვლილი მიუძღვის ამერიკის შეერთებულ შტატებს. თუმცა, კვლავ არსებობს რეალური საფრთხე რუსეთის მხრიდან სუვერენიტეტის ხელყოფის ჭრილში განსაკუთრებით, უკრაინის, სირიისა და ყარაბაღის მოვლენების შემდეგ.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ასეულობით მილიონი დოლარი ჩადო საქართველოს განვითარებაში. თუმცა, უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ეს ძალისხმევა იმ გეოპოლიტიკური ინტერესების ნაწილია, რომელიც ამერიკას ევრაზიის მიმართ ამოძრავებს. როგორც ზბიგნევ ბჟეზინსკის წიგნში „დიდი საჭადრაკო დაფა", აღწერილია, „ევრაზია „საჭადრაკო დაფაა", რომელზეც გრძელდება ბრძოლა მსოფლიო ბატონობისათვის. ასეთი ბრძოლა ეხება გეოსტრატეგიას - გეოპოლიტიკური ინტერესებით სტრატეგიულ მართვას".[2]

განმეორდება თუ არა რუსეთ-საქართველოს ომი? როგორ უნდა მოახერხოს ქვეყანამ შესაძლო კონფლიქტის თავიდან აცილება ე.წ. მცოცავი ოკუპაციის პირობებში და განაგრძოს სვლა ევროინტეგრაციის გზაზე? ამ კითხვებზე მეტ-ნაკლებად სრული პასუხის გასაცემად, საქართველოში არსებული სხვა დილემებისა თუ საფრთხეების ანალიზის, პროგნოზირებისა და დამცავი პრევენციული ზომების გათვლისათვის, საჭიროდ მივიჩნევ განვიხილო ორი გლობალური მოთამაშის - ამერიკის შეერთებული შტატებისა და რუსეთის ფედერაციის ინტერესები საქართველოში.

როგორც ამერიკას, ისე რუსეთის ფედერაციას გააჩნია ეკონომიკური ინტერესები საქართველოს მიმართ. ნათელია, რომ აზერბაიჯანი, რომელიც ესაზღვრება რუსეთსა და ირანს და გააჩნია გაზისა და ნავთობის დიდი მარაგი, წარმოადგენს საკმაოდ ანგარიშგასაწევ სახელმწიფოს დასავლეთისათვის. საქართველოს კი შეუძლია სატრანზიტო ფუნქციის შესრულება, რაც ზრდის მის როლს გეოპოლიტიკური თვალსაზრისით".[3]

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომამდე, ქართული ხელისუფლების მხრიდან გარკვეული შეცდომები იქნა დაშვებული. საქართველოს ხელისუფლებას თავი არ უნდა შეეკავებინა კოსოვოს დამოუკიდებლობის საკითხთან დაკავშირებით თავისი უარყოფითი დამოკიდებულების გამოხატვისაგან. წარმოუდგენელია, დასავლეთის მხრიდან კრიტიკული რეაქცია მოჰყოლოდა საქართველოს უარყოფით პოზიციას, მაგრამ საქართველოს თავშეკავებულმა და პასიურმა პოლიტიკამ რუსეთის ფედერაციას მანევრირების მეტი თავისუფლება მისცა განეხორციელებინა დესტრუქციული ქმედება აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში.

ასევე აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ქართული ხელისუფლება უნდა ყოფილიყო

---

1 ვლადიმერ სანაძე.ჟურნ., რეზონანსი, თბ., 17/05/2013

2 ბჟეზინსკი ზბიგნევ, „დიდი საჭადრაკო დაფა"; 2013. გვ.84-102.

3 US engagement in the Caucasus: Changing gears, Svante Cornell; 2005. Pp. 113-117.

უფრო ადეკვატური ამერიკის 43-ე პრეზიდენტის- ჯორჯ უოლკერ ბუშის (უმცროსის) პოლიტიკის ანალიზისას. ჯორჯ ბუში უმცროსი ერთმნიშვნელოვნად გამოხატავდა საქართველოსადმი ამერიკის მხარდაჭერას (2005 წელს იგი საქართველოშიც ჩამოვიდა); აგვისტოს ომის შემდეგ ამერიკამ 116, 3 მილიონი დოლარი გამოყო ქვეყნის რეაბილიტაციისა და აღმშენებლობისათვის, ხოლო 2009 წლის 9 იანვარს ბუშის ადმინისტრაციამ გააფორმა აშშ-საქართველოს ქარტია სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ, რომელშიც ასახულია ყველა ის მნიშვნელოვანი მიმართულება, რომლის ჩარჩოშიც დღესაც წარმატებით მიმდინარეობს ურთიერთობები. მიუხედავად ამისა, პრაქტიკულად, ბუქარესტის სამიტზე მისი თანადგომის შედეგად მიღებულმა გადაწყვეტილებამ დიდად შეუწყო ხელი 2008 წლის აგვისტოს ტრაგედიას. მისი დოქტრინის მიხედვით, ამერიკას მაშინაც შეეძლო გაეტარებინ თავისი პოლიტიკა, როდესაც საერთაშორისო ორგანიზაციები და ტრადიციული მოკავშირეები მხარს არ დაუჭერდნენ. მისი ხისტი პოლიტიკის შედეგად მას დარჩა 2 დაუმთავრებელი ომი ერაყსა და ავღანეთში და წარუმატებელი რევოლუციები სპარსეთის ყურის ქვეყნებში. ამ რევოლუციების მარცხის ფონზე, საქართველო ერთადერთ წარმატებულ ისტორიად განიხილებოდა. ამიტომაც, 2008 წლის ნატო-ს ბუქარესტის სამიტზე იგი თავგამოდებით იბრძოდა საქართველოსთვის მაპის მინიჭებისათვის. შედეგად, სამიტმა მიიღო გადაწყვეტილება, რომელიც რონალდ დ. ასმუსმა თავის წიგნში: „მცირე ომი, რომელმაც მსოფლიო შეძრა“ ომის ხელშემწყობ უმთავრეს პირობად დაასახელა. მისი აზრით, ამერიკისა და ევროპის შეცდომა იყო „ის, რომ სათანადოდ ვერ შეაფასეს და მზად არ აღმოჩნდნენ გაეთვალისწინებინათ ის ფაქტი თუ როგორ გამოიყენებდა მოსკოვი ამ ვითარებას სათავისოდ, რადგანაც 2008 წლის დეკემბერში მაპ-ის მიღების ალბათობა აშკარად ნაკლები და არაპროპორციული იყო იმ რისკისა, რასაც ეს პერსპექტივა უქადდა საქართველოს რუსეთის საფრთხის სახით.“[4]

ამავე აზრს იზიარებს ცნობილი საერთაშორისო ექსპერტი, ბრიტანეთის ყოველკვირეული „ეკონომისტის“ მიმომხილველი და ავტორი გახმაურებული წიგნისა: „ახალი ცივი ომი“ - ედვარდ ლუკასი. მისი აზრით, „საქართველოს მიმართ ამერიკის პოლიტიკა არასწორი იყო, განსაკუთრებით ომის წინა თვეებსა და ნატო-ს ბუქარესტის სამიტის (2008 წ. აპრილი) შემდგომ პერიოდში.“[5]

რა თქმა უნდა სურვილი და იდეა, რომ განსაკუთრებით დიდ უთანხმოებას არ იწვევდა, რომ საქართველო ნატო-ში გაწევრიანების გრძელვადიანი კანდიდატი იყო, და ძალიან კარგი იქნებოდა დასავლეთის პოლიტიკის ყურადღების ცენტრში მისი ასევე დატოვება. შეერთებულმა შტატებმა კი დიდი შეცდომა დაუშვა, როდესაც ამ პროცესის დააჩქარა გადაწყვიტა და დაისახა „გაწევრიანების სამოქმედო გეგმა“.

ბუქარესტში, ნატო-ს სამიტზე მიღწეულ იქნა კატასტროფული კომპრომისი. ერთის მხრივ, საქართველოს ლიდერებმა ნატო-ში გაწევრიანების დაპირება უსაფრთხოების გარანტიის ნიშნად მიიღეს, მეორეს მხრივ კი, რუსეთის ფედერაციისათვის ეს იყო სიგნალი, რომ მის სტრატეგიულ ინტერესებს საფრთხე ემუქრებოდა, რაც ომის პროვოცირების უმთავრესი მიზეზი გახდა.

სამწუხაროდ, საქართველოს ხელისუფლების მხრიდან არ გაკეთდა კომპეტენტური ანალიზი და არ გადაიდგა ნაბიჯები ნატოსთან დაკავშირებით ალტერნატიული ვარიანტების საძიებლად. კერძოდ, განხილვის საკითხი შეიძლება ყოფილიყო საკანონმდებლო აქტის მიღება იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველო თავის ტერიტორიაზე არ განალაგებდა სხვა ქვეყნების სამხედრო ინფრასტრუქტურას (მაგალითად, ნატო-ში საფრანგეთის წევრობის მოდელი), რაც რუსეთისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

4 A Little War That Shook the World (Georgia, Russia, and the Future of the West). 2010. Pp.23-45.

5 Regions. Roundtable: Causes And Effects Of The Russia-Georgia War. 2009. https://www.rferl.org/a/Roundtable_Causes_And_Effects_Of_The_Russia_Georgia_War/1795469.html

აღსანიშნავია, რომ მაპ-ის მიღება არ იძლევა უსაფრთხოების გარანტიებს, ამიტომაც, ზედმეტად გაზვიადებული იყო საზოგადოებისთვის ამ თემის „პანაცეის“ სახით წარმოდგენა.

2008 წლის ომის შემდგომ პერიოდში მერიკის 43-ე პრეზიდენტის პოლიტიკის საპირისპიროდ, შემდგომმა პრეზიდენტმა ბარაკ ჰუსეინ ობამამ რადიკალურად შეცვალა წინამორბედის ხისტი პოლიტიკა და დაიწყო გადატვირთვა რუსეთთან და ჩინეთთან, შესაბამისად, გაუფუჭდა ურთიერთობა საქართველოს ხელისუფლებასთან.

სააკაშვილი ობამამ მიიღო მხოლოდ 2011 წელს, მას შემდეგ, რაც საქართველოს პრეზიდენტი დათანხმდა, ამერიკის მოთხოვნით, რუსეთის გაწევრიანებას მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში. საქართველო პოლიტიკური კონიუქტურიდანაც ამოვარდნილი აღმოჩნდა, რადგან სააკაშვილის ცალსახა კონფრონტაციული პოლიტიკა რუსეთთან მთლიანად დისბალანსში მოვიდა ამერიკის პრეზიდენტის რუსეთთან „გადატვირთვის“ პოლიტიკასთან. შედეგად, 2009 წელს, მოსკოვში ყოფნისას, ობამამ განაცხადა: „ნებისმიერი ქვეყანა, რომელსაც ნატო-ს წევრობა სურს, უნდა დაემორჩილოს და მიიღოს ნატო-ს რეფორმები; მათ წვლილი უნდა შეიტანონ ალიანსის მისიის შესრულებაში. უფრო კონკრეტულად კი: კონფრონტაციის სანაცვლოდ, ნატო-მ უნდა მოძებნოს საერთო ენა და ითანამშრომლოს რუსეთის ფედერაციასთან.“[6]

აღსანიშნავია, რომ პრეზიდენტ სააკაშვილთან საუბრისას პრეზიდენტმა ობამამ საქართველო რუსეთად მოიხსენია: „ერთ-ერთი უპირველესი და უმთავრესი საკითხი, რაც ალღვნიშნე, იყო მადლიერება იმ ინსტიტუციონალური მშენებლობისათვის, რასაც ადგილი აქვს რუსეთში - საქართველოში; ასევე, უმცირესობათა პატივისცემის მნიშვნელოვნება, პოლიციისა და კანონის უზენაესობის დაცვის მნიშვნელობა.“[7] - შეცდომის დაუყოვნებლივ გამოსწორების მიუხედავად, შესაძლოა, მის ნათქვამს გარკვეული იმპლიკაცია ედო ქვეტექსტად, რაც მოიაზრებდა საქართველოს, როგორც რუსეთის ნაწილს და მიანიშნებდა იმაზე, რომ ობამას ადმინისტრაციას საქართველოს გამო რუსეთთან უთანხმოება არ ექნებოდა.

ყირიმის ანექსიის დღეებშიც, როდესაც კონგრესში დაიწყეს საქართველოს ნატო-ში გაწევრიანების სამოქმედო გეგმის შესახებ საკითხის განხილვა, ობამამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ არც საქართველო და არც უკრაინა არ იდგნენ ნატოსკენ მიმავალ გზაზე და, შესაბამისად, არც მათთვის მაპის მიღება არ იდგა დღის წესრიგში. ბრიუსელში, ნატოს სამიტზე, 26 მარტს ობამამ განაცხადა:

„არ არსებობს „ნატოს დაუყოვნებლივი გაფართოების გეგმა“, რომელიც გულისხმობს საქართველოსა და უკრაინის ნატო-ში გაწევრიანებას. ვიცი, რომ რუსეთის ფედერაციამ კონფლიქტის უმთავრეს მიზეზად ნატოს პოტენციური წევრობა დაასახელა. თუმცა, ვაცხადებ, რომ არც უკრაინა და არც საქართველო ნატოსკენ მიმავალ ბილიკზე არ დგას“.[8]

ობამამ საჯაროდ უარი განაცხადა უკრაინისათვის ნებისმიერი სახის სამხედრო დახმარებაზე. რადარების, ღამის ხედვის ხელსაწყოთა მიწოდებისა და უკრაინელ სამხედროთა წვრთნების გარდა. მიუხედავად დიდი წინააღმდეგობისა სენატორების მხრიდან, (მაკ კეინის მეთაურობით), რომლებიც მოითხოვდნენ უკრაინისათვის ლეტალური იარაღის მიწოდებას, ობამა მტკიცედ იდგა იგივე პოზიციაზე და აცხადებდა, რომ „სამხედრო დახმარება უკრაინისათვის რუსეთის წინააღმდეგ გამორიცხული იყო.“

ვფიქრობ, რუსეთთან დაკავშირებით დიდ გამოცდილებაზე დაყრდნობითა და რუსეთის ძალების გათვალისწინებით, ობამამ თავი შეიკავა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლისაგან, რადგან დარწმუნებული იყო, რომ რუსეთის ფედერაცია უკან არ დაიხევდა და თავის ეროვნულ ინტერესებზე უარს არავითარ შემთხვევაში არ

6 The New York Times, Text: Obama's Speech at the New Economic School. 2009.

7 The White House, President Obama Meets with Georgian President Mikheil Saakashvili, 2012. https://obamawhitehouse.archives.gov/blog/2012/02/03/president-obama-meets-georgian-president-mikheil-saakashvili

8 Civil.ge. Obama: Georgia, Ukraine 'Not on Path to NATO Membership' https://old.civil.ge/eng/article.php?id=27079

იტყოდა. რაც შეეხება ობამას დამოკიდებულებას საქართველოსთან მიმართებით, ჩემი აზრით, ობამამ თავისი მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულებით საქართველოს ევროატლანტიკური პოლიტიკისადმი გადაარჩინა საქართველო უდიდეს კრიზისს, რადგანაც პუტინის ადმინისტრაციის განცხადებით, მაპი-ს მინიჭების შემთხვევაში, რუსეთი მკვეთრ ზომებს მიიღებდა. მართალია, უელსისა და ვარშავის სამიტების შემდეგ საქართველოსთვის მაპი-ს მიცემის საკითხი არ განხილულა, მაგრამ გადაწყდა, რომ საქართველო ჩაერთვებოდა ნატო-ს სხვადასხვა ღონისძიებებში. კერძოდ, საქართველო ჩაერთო ნატო-ს შავი ზღვის უსაფრთხოების სტრატეგიაში და გამოთქვა მზაობა ნატო-ს მიერ გამოყენებული ყოფილიყო საქართველოს სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო ინფრასტრუქტურა; გაიხსნა ნატო-საქართველოს ერთობლივი სასწავლო - მოსამზადებელი ცენტრი; საქართველო ასევე მიუერთდა ნატო-ს სწრაფი რეაგირების ძალებს, რისთვისაც გამოიყო 130 სამხედროსგან შემდგარი რაზმი.

სამხედრო წვრთნებთან ერთად, ყოველწლიურად დაიწყო საქართველო-ამერიკის ორმხრივი სამხედრო წვრთნების „Noble Partner"-ის ჩატარება. საპასუხოდ, პუტინის ბრძანებით, სამხრეთ ოსეთის სამხედრო ძალები შევიდა რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში; სამხრეთ ოსეთის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსის პირველ მოადგილედ კი რუსეთის გმირი, გენერალ-ლეიტენანტი მიხაილ ტეპლინსკი დაინიშნა. ასევე, გუდაუთის გზაზე ჩაიყვანეს S-300 ტიპის სარაკეტო დანადგარები.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს თითოეულ ნაბიჯს ევროინტეგრაციის გზაზე აუცილებლად მოჰყვება უკუავშირი რუსეთის ფედერაციის მხრიდან. საქართველო, უკრაინის მსგავსად, კვლავ რჩება რუსეთის მხრიდან ერთ-ერთ ყველაზე სერიოზულ პრეტენზიების სამიზნედ; კვლავ არსებობს საფრთხე სუვერენიტეტის ხელყოფის ჭრილში, ამიტომაც, აუცილებელია, მუდვიმად ვადევნოთ თვალყური თანამედროვე გლობალური პოლიტიკის საერთაშორისო წესრიგის ძირითად მოთამაშეთა - ამერიკის შეერთებული შტატებისა და რუსეთის ფედერაციის ურთიერთობების ტენდენციებს და შესაბამისად, ვიყოთ ადეკვატურები თანამედროვე ქართული პოლიტიკური წესრიგის კორექტირების დროს.

სამომავლო საფრთხეების ანალიზის, პროგნოზირებისა და დამცავი პრევენციული ზომების გათვლისა და ქართული პოლიტიკის სწორად წარმართვისათვის აუცილებელია აშშ-რუსეთის ურთიერთობების დინამიკისა და პერსპექტივების უფრო სკრუპულოზური შესწავლა და კვლევა.

ქართულმა დიპლომატიამ უნდა შეძლოს ისეთი სამომავლო რეალობის უზრუნველყოფა, სადაც საქართველო რუსეთთან ომში არ ჩაებმება მოვლენათა მოსალოდნელი თუ მოულოდნელი სცენარების განვითარების შემთხვევაშიც კი. რადგან რუსეთთან ომის შემთხვევაში, აშშ ვერ შეძლებს წესრიგის გარანტორის როლის შესრულებას სამართლებრივ სივრცეში და საქართველო რუსეთთან პირისპირ აღმოჩნდება. ასევე მნიშვნელოვანია ევროკავშირის პოზიციაც რუსეთის მიმართ - თუ რამდენად შეძლებს იგი პოლიტიკური დაქსაქსულობის დაძლევასა და ეკონომიკურ დისტანცირებას რუსეთისგან. ომს კი კატასტროფული შედეგები მოჰყვება საქართველოსთვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ვლადიმერ სანაძე.ჟურნ., რეზონანსი, თბ., 17/05/2013.
- ბჟეზინსკი ზბიგნევ, „დიდი საჭადრაკო დაფა"; 2013. გვ.84-102.
- US engagement in the Caucasus: Changing gears, Svante Cornell; 2005. Pp. 113-117.
- A Little War That Shook the World (Georgia, Russia, and the Future of the West). 2010.

Pp.23-45.

- Regions. Roundtable: Causes And Effects Of The Russia-Georgia War. 2009. https://www.rferl.org/a/Roundtable_Causes_And_Effects_Of_The_Russia_Georgia_War/1795469.html
- The New York Times, Text: Obama's Speech at the New Economic School. 2009. https://www.nytimes.com/2009/07/07/world/europe/07prexy.text.html
- The White House, President Obama Meets with Georgian President Mikheil Saakashvili, 2012.https://obamawhitehouse.archives.gov/blog/2012/02/03/president-obama-meets-georgian-president-mikheil-saakashvili
- Civil.ge. Obama: Georgia, Ukraine 'Not on Path to NATO Membership' https://old.civil.ge/eng/article.php?id=27079

ფსიქოკონსულტირების ტექნიკების როლი მართვის პროცესში

თინათინ კროპაძე
სოციალურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი,
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია

აბსტრაქტი

ნაშრომში მიმოხილულია კომუნიკაციის, როგორც ადამიანთა შორის ინფორმაციის გაცვლის, არსი და მნიშვნელობა. შევეხებით კომუნიკაციის პროცესის შემადგენელ ელემენტებს და ეფექტური კომუნიკაციის ძირითად მახასიათებლებს. ამასთან, განვიხილავთ ინტერპერსონალურ კომუნიკაციაზე გარკვეული ფაქტორების ზეგავლენას.

აღსანიშნავია, რომ კომუნიკაციის უნარი თანდაყოლილი არ არის. მისი შეძენა და განვითარება მთელი სიცოცხლის მანძილზე შეიძლება. ამას ადასტურებს ემპირიული კვლევებიც, რომელთა შედეგებზე დაყრდნობით, შესაძლოა ითქვას, რომ სწორ კომუნიკაციას განსაზღვრავს გარკვეული ტექნიკები, პრაქტიკული რეკომენდაციები და რჩევები. აღნიშნული მექანიზმები ნებისმიერ პიროვნებას მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს სხვადასხვა ტიპის ადამიანებთან ურთიერთობებისა და კომუნიკაციის უნარების გავარჯიშებაში. ამ დასკვნის გაკეთების საფუძველს აძლიერებს ის პრაქტიკა და დაკვირვების პროცესი, რომელსაც ადგილი აქვს აკადემიაში იუნკერებთან მუშაობის დროს. აკადემიის მმართველ რგოლს, ხელმძღვანელ პირებს, ოფიცრებსა და სეჟანტებს იუნკერის მხრიდან მოსალოდნელი ქცევების შესახებ, გარკვეული მოლოდინები გააჩნიათ. იუნკერებთან უშაულო შემხებლობაში ქცევის მართვის საკითხებში სერჟანტები არიან. მათ მიერ ქცევათა ნაწილი კლასიფიცირდება როგორც „სასურველი“, „მისაღები“, ნაწილი კი - როგორც „არასასურველი“ ან „მიუღებელი“. ქცევათა სპექტრს არეგულირებს დადგენილი წესები და ნორმები.

ხელმძღვანელი პირების მიერ იუნკრებთან წარმოებული კომუნიკაციის პროცესი განსაზღვრავს მომავალში მათგან სასურველი ქცევის შენარჩუნებას და „არასასურველის“ თავიდან აცილებას. ამ მიზნით, სეჟანტებისა და იუნკერებისათვის კომუნიკაციის პროცესის დახვეწა და კომუნიკაციური უნარების პრაქტიკაში სწორად გამოყენება ძალზე მნიშვნელოვანია.

წარმოდგენილ ნაშრომში სწორედ ისეთ საკითხებზე გვინდა გავამახვილოთ ყურადღება, როგორიცაა: თუ როგორ უნდა მივაღწიოთ სასურველ შედეგს დაქვემდებარებულებთან(და არა მარტო) ურთიერთობის პროცესში, ურთიერთობის რა ფორმა უფრო ეფექტურია და რა არის ის მიგნებები, გასათვალისწინებელი გარემო ფაქტორები ან ტექნიკები, რომლებიც სწორად წარმართავს კომუნიკაციას მართვის პროცესში.

საკვანძო სიტყვები:
კომუნიკაცია, ეფექტური კომუნიკაცია, მართვა, სერჟანტი, იუნკერი, კონსულტირება, დამოკიდებულებები.

The Role of Psychological Counseling Techniques in the Management Process

Tinatin Kropadze
Academic Doctor of Social Sciences,
National Defence Academy of Georgia

Abstract

The article discusses the essence and importance of communication as a way of information exchange between human beings. The issue is about the constituent elements of the communication process and the main features of effective communication. In addition, the impact of certain factors on interpersonal communication is discussed.

It is worth to notice that the skill of communication is not innate. It can be learned and developed throughout the entire life. This is also confirmed by empirical studies according to which we can say that certain techniques, practical recommendations and pieces of advice determine proper communication. The mentioned mechanisms will provide significant help to any individual to practice the skills to communicate with different kinds of people. This logical conclusion is strengthened by the practice and observation process that takes place while working with the Junkers at the Academy. The chain of command, leadership, officers and NCOs of the Academy have certain expectations about the behaviors of the Junkers. NCOs are the ones who are in direct contact with the Junkers and are responsible for their behavioral management. Junkers' behaviors are classified as "desirable", "acceptable", "undesirable" or "unacceptable"; these behaviors are regulated by established rules and norms.

The communication the leaders have with the Junkers leads to the maintenance of the Junkers' desirable behaviors and the avoidance of "undesirable" ones for the future. For this purpose, it is very important for the NCOs and Junkers to improve the communication process and to correctly apply communication skills in practice.

The present article is focused on such issues as: how to achieve the desired result while communicating with subordinates (and not only), what form of communication is more effective and what are the findings, environmental factors or techniques that will correctly lead communication in the management process.

Key words:
communication, effective communication, management, NCO, Junker, counseling, attitudes.

შესავალი

კომუნიკაცია ორმხრივი აქტიური პროცესია და არ არის მხოლოდ ინფორმაციის გაცვლა, გაგზავნა ან მიღება. ამიტომ, ის მოითხოვს როგორც ლაპარაკს და მოსმენას, ასევე(და, შესაძლოა, უფრო მნიშვნელოვანს) გადაცემული და მიღებული ინფორმაციის საერთო გაგების შეთანხმებას. ამიტომ არაფერია პასიური კომუნიკაციაში, არც ერთი მიმართულებით.

ინტერპერსონალური, იგივე პირისპირ კომუნიკაცია არის პროცესი, რომლითაც ადამიანები ცვლიან ინფორმაციას, გრძნობებსა და აზრებს ვერბალური და არავერბალური შეტყობინებების საშუალებით. „ინტერპერსონალური კომუნიკაცია გულისხმობს კომუნიკაციას ერთმანეთზე დამოკიდებულ ადამიანებს შორის, ანუ კომუნიკაციას იმ ადამიანთა შორის, რომლებსაც ერთმანეთთან რაიმე აკავშირებთ. ხშირად ურთიერთობისას ერთი ადამიანი მეტადაა დამოკიდებული სხვებზე, ზოგ შემთხვევაში კი, ურთიერთობა უფრო თანასწორია“[1].

ეფექტური კომუნიკაცია საშუალებას იძლევა მაქსიმალურად გაიზარდოს ინფორმაციის გაცვლის ოპერატიულობა და პროდუქტიულობა პროფესიული საქმიანობის, სწავლების, და სხვა ფორმალური თუ არაფორმალური ურთიერთობების დროს.

ვინაიდან **მართვის მიზანი** ორგანიზაციის, სისტემის და შესაბამისად მმართველი რგოლის მხრიდან დაქვემდებარებულთა ქცევის ორგანიზებაში მდგომარეობს, ის “გუნდურ პრინციპს წარმოადგენს და მასში მენეჯმენტის ყველა დონე არის ჩართული, სწორი და ეფექტური კომუნიკაცია მნიშვნელოვანია ორგანიზაციული სტრუქტურის ყველა დონეზე, რაც პირდაპირ კავშირშია საწარმოს ეფექტურობასთან”[2].

ფსიქოკონსულტირება არის ფსიქოთერაპიის ერთ-ერთი დარგი, შედარებით ახალი დისციპლინა. ფსიქოთერაპიის ეს დარგი წარმოიქმნა იმ პიროვნებების ფსიქოლოგიური დახმარებისთვის, რომელთაც აქვთ პრობლემები ფსიქოპათოლოგიური დარღვევების გარეშე და რომელთაც ესაჭიროებათ ფსიქოთერაპიული ჩარევა. ამ პრობლემების სპექტრი მოიცავს როგორც სამსახურის პრობლემებს(სამსახურით/საქმიანობით უკმაყოფილებლობა, თანამშრომლებთან/ თანატოლებთან კონფლიქტი, ქცევის მართვის პრობლემები და ა.შ.), ასევე პირადი ცხოვრების მოუწესრიგებლობას(ოჯახური კონფლიქტი, საკუთარ თავში დაურწმუნებლობა, ურთიერთობის პრობლემები...) და ა.შ. რადგანაც ეს სპექტრი ძალიან დიდია, ამიტომ ფსიქოკონსულტირებას მკვეთრად განსაზღვრული ჩარჩოები არ აქვს, თუმცა მისი შედეგი განისაზღვრება სწორად წარმართული კომუნიკაციით.

ძირითადი ნაწილი

ადამიანები ურთიერთობების პროცესში გამუდმებით იყენებენ კომუნიკაციის შემდეგ სახეობებს: ვერბალური, არავერბალური, წერილობითი კომუნიკაცია. მოსაუბრის ძირითადი მიზანია *ინფორმაციის გაცემა* ცნობის და დამოკიდებულების გათვალისწინებით, რომელიც გარკვეულ *ფსიქოლოგიურ განწყობას* ბადებს. ინფორმაციის გადაცემა ძირითადად ვერბალური და არავერბალური ფორმებით ხორციელდება.

ორგანიზაციის შიგნით ინფორმაციის გაცვლა წარმოებს კომუნიკაციის სხვადასხვა ფორმის დახმარებით, თუმცა **ვერტიკალური კომუნიკაცია** - ხელმძღვანელის კომუნიკაციის ძირითადი ფორმაა - „როდესაც ინფორმაცია მოედინება ქვემოთ, ანუ

---

1 სუმბაძე ნ., მახარაძე თ., ინტერპერსონალური კომუნიკაცია(მომსახურების სფერო), ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი, 2010, გვ.2;

2 მეგრელიშვილი კ., „ეფექტური კომუნიკაციის მნიშვნელობა ცვლილებათა მართვის პროცესში - თანამედროვე მართვის პრობლემები“, ბათუმი, 2012, გვ.44.

ზედა საფეხურებიდან ქვედა საფეხურებზე. ასეთი გზით დაქვემდებარებული დონეები ღებულობენ ინფორმაციას ამოცანების, დავალებების, პრიორიტეტების სახით, ან ნებისმიერ სხვა შეტყობინებას ორგანიზაციული ცვლილებისა და სიახლის შესახებ“[3]. კომუნიკაციის ამ ფორმის გარდა, ორგანიზაციებში გამოიყენება **აღმავალი კომუნიკაცია** - ინფორმაციის გადაცემა ქვედა მართვის დონეებიდან უმაღლესზე, რომელიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს საწარმოო პროცესში. კომუნიკაციის ამ ფორმის მეშვეობით, ორგანიზაციის ხელმძღვანელობა იღებს ინფორმაციას ქვედა დონეებზე მიმდინარე პროცესების შესახებ. მმართველ ჯგუფს ამ გზით შეუძლია გაიგოს არსებული პრობლემების შესახებ და დროულად მიიღოს შესაბამისი ზომები.

ხშირ შემთხვევაში მართვის წარუმატებლობას სწორედ ვერტიკალური და აღმავალი კომუნიკაციის პროცესებში ბარიერების არსებობა განსაზღვრავს. კერძოდ, კომუნიკაციის პროცესში მნიშვნელოვნად არის გასათვალისწინებელი, რომ ეს პროცესი ინფორმაციის მაქსიმალური შენარჩუნებით ხორციელდებოდეს. თუმცა, პრაქტიკაში თითოეული ადამიანის ცხოვრებაშიც ნათლად ვხედავთ, რომ რაც უფრო დიდ გზას გადის ინფორმაცია ანუ ბევრ ადამიანს უწევს ინფორმაციის გადაცემა, მით უფრო მეტად „მახინჯდება“ ის და კარგავს პირვანდელ სახეს.

ინფორმაციის დამახინჯებას იწვევს ის გამაშუალებელი ფაქტორები, რომელსაც ადგილი აქვს პროცესში, ე.წ. „ბარიერების“ სახით. მსმენელი ინფორმაციას იღებს სმენითი და მხედველობითი არხებით, რაც თავის მხრივ, სუბიექტურ განწყობას ქმნის. ხდება ინფორმაციის გადამუშავება ცნობის და დამოკიდებულების სახით. წარმატებულ შემთხვევაში, სახეზე გვაქვს გაგების პროცესი. „კომუნიკაცია ითვლება წარმატებულად, თუ ინფორმაციის მიმღები ღებულობს (გებულობს) მის შინაარსს ადეკვატურად იმ შინაარსისა, რომელსაც მასში დებს გამგზავნი. წინააღმდეგ შემთხვევაში, კომუნიკაცია არაწარმატებული ანუ არაეფექტურია“[4]. ამ საკითხში მნიშვნელოვან როლს თამაშობს კომუნიკაციის ბარიერები, რომელთა შორის განიხილება: ფიზიკური, სოციალური, ფსიქოლოგიური, ისტორიული და კულტურული ბარიერები. მათ შორის მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ფსიქოლოგიური ბარიერების შესწავლა, კერძოდ, **მხარეთა შორის ერთმანეთისადმი დამოკიდებულება.** მაგალითისთვის შეგვიძლია მოვიყვანოთ ეროვნული თავდაცვის აკადემიაში 2018 წლის მარტში სერჟანტებთან სატრენინგო მუშაობა, სადაც მნიშვნელოვნად მივიჩნიეთ სერჟანტების მხრიდან იუნკერთა კლასიფიცირება (ე.წ.„იუნკერთა ტიპები“) მათთვის მნიშვნელოვანი კრიტერიუმებით *(იხ. დანართი 1)*. კონკრეტულად კი, ვიკვლიეთ სერჟანტების დამოკიდებულება იუნკერის ქცევის მიმართ და მოვისმინეთ მათივე აზრი პრობლემის გადაჭრის შესაძლო გზების შესახებ; სერჟანტებისათვის შევქმენით ე.წ.„იდეალური იუნკერის“ ფსიქოლოგიური პორტრეტი(*იხ.დანართი 2*).

არსებული მახასიათებლების და „სასურველის“ განსხვავება მნიშვნელოვნად არის დაკავშირებული სერჟანტების დამოკიდებულებების საკითხთან, იუნკერების მოსალოდნელი ქცევის შესახებ. კერძოდ, საუბარია „ადამიანურ ფაქტორებზე,“ რომელიც კონსულტირების პროცესში პრობლემაზე საუბარს და კომუნიკაციის წარმართვას გულისხმობს.

მხარეების მიერ საკუთარი პასუხისმგებლობის და არსებული განწყობების გააზრება სეჟანტების მიერ იუნკერების მართვის პროცესში, მოიაზრებს იმ ხარვეზების გააზრებას კონსულტირების დროს, რაც მათი მხრიდან ფიქსირდება და კიდევ უფრო ნათლად აჩენს კომუნიკაციური უნარების დახვეწის და იმ ძირითად პრინციპების შესწავლის აუცილებლობას, რასაც ეფექტური კომუნიკაცია ჰქვია.

უფრო გასაგები რომ გავხადოთ, იმისათვის, რომ ჩვენ მიერთუ თქვენ ხართ ინფორმაციის „გამგზავნი“, ეს ნიშნავს, რომ დაიწყოთ მისი მკაფიო კომუნიკაცია

---

3 მეგრელიშვილი კ., „ეფექტური კომუნიკაციის მნიშვნელობა ცვლილებათა მართვის პროცესში - თანამედროვე მართვის პრობლემები“, ბათუმი, 2012, გვ.66.

4 იქვე, გვ.68.

(წერილობით თუ პირისპირ), შემდეგ კითხვების დასმა მსმენელთა გაგების შესამოწმებლად; ასევე უნდა მოუსმინოთ მათ პასუხებს და, საჭიროების შემთხვევაში, დააზუსტოთ.

თუ თქვენ ხართ მიმღები, ეს ნიშნავს ინფორმაციის ყურადღებით მოსმენას, შემდეგ შემოწმებას, რომ გაიგეთ, ასახვით, ან კითხვების დასმით, რათა დარწმუნდეთ, რომ ორივეს ერთნაირი გაგება გაქვთ სიტუაციის შესახებ.

კომუნიკაციის პროცესში, რომელსაც ჩვენს შემთხვევაში „სასურველი“ ქცევა უნდა მოყვეს, განსაკუთრებული როლი ენიჭება დამოკიდებულებას. ეფექტური კომუნიკაციისას მნიშვნელოვანია, მთხრობელის დამოკიდებულება მოსაუბრის მიმართ ემთხვეოდეს მის მიერ გამოთქმულ აზრსა და ,,სხეულის ენას'', ანუ ჟესტებს მიმკასა და სხეულის პოზებს, რომელსაც ადამიანი იყენებს საუბრისას თავისი აზრის გამოთქმისას. იმისდა მიხედვით, თუ როგორია დამოკიდებულება თანამოსაუბრეთა შორის, იცვლება ინფორმაციის გადაცემის და მიღების ეფექტურობა, პროდუქტიულობა:

- დადებითი დამოკიდებულებისას ინფორმაცია შეუფერხებლად გაივლის;
- ნეიტრალური დამოკიდებულებისას ინფორმაცია მეტ-ნაკლებად უპრობლემოდ გაივლის;
- უარყოფითი დამოკიდებულების დროს ინფორმაციის გადაცემა-მიღების პროცესი შეფერხდება.

მოსაუბრეს შეუძლია შეცვალოს თავისი ქცევა, ,,სხეულის ენა'', გრძნობები და დამოკიდებულება, აგრეთვე აგრესიისა და ემოციების გამოხატვის გზები.

კომუნიკაციისას ძირითადი მიზანია პარტნიორისათვის გარკვეული ინფორმაციის (შეტყობინების) გადაცემა და მისგან საპასუხოს მიღება. ამ დროს შესაძლებელია აღმოცენდეს გაუგებრობა და პრობლემები, რომლის ძირითადი მიზეზი არასწორი საუბარი ან არასწორი მოსმენაა. როდესაც პიროვნება, მაგ: ლექტორი, ინსტრუქტორი და ა.შ., გადასცემს ინფორმაციას მსმენელებს, მან უნდა გაითვალისწინოს, რომ მსმენელს უჭირს ინფორმაციის აღქმა და დამახსოვრება, როდესაც დაძაბულია; მნიშვნელოვანია დაძაბულობის მოხსნა მაგ: იუმორით.

ძირითადი ბარიერები ეფექტური კომუნიკაციის მიღწევისას არის:

- **ჟარგონები,** უცხო სიტყვები ან სხვადასხვა დატვირის მქონე მანიშნებლები;
- **ემოციური ბარიერები და ტაბუ -** საკუთარ ემოციებზე საუბრის გართულება ან ტაბუირებულ თემებზე საუბრიდან თავის არიდება;
- **ყურადღების, ინტერესის ან აქტუალობის** დეფიციტი მსმენელის მხრიდან;
- **აღქმის და თვალსაზრისის განსხვავებულობა.**

აღსანიშნავია **აქტიური მოსმენის** როლი ეფექტური კომუნიკაციის პროცესში, რაც გულისხმობს:

- **მოსმენის განწყობას და შესაბამისი "სხეულის ენას"** – როდესაც ხელმძღვანელს სურს გამოხატოს დაინტერესება მისი ხელქვეითის მიერ გამოთქმული მოსაზრებით, მან უნდა ეცადოს კრიტიკის გარეშე მიიღოს და გაუგოს თანამოსაუბრეს, თითქოს თავად აქვს პრობლემა, რომელზეც ხელქვეითი ელაპარაკება. ამ დროს არაეფექტურია გადაჯვარედინებული ხელები, თითქოსდა „შეკრული“ პოზა. ეს პოზა მიუთითებს ურთიერთობის სურვილის არქონაზე. კრიტიკა გაცილებით ეფექტურია უფრო გახსნილი პოზები, ასევე თანამოსაუბრის სხეულის პოზის გამეორება, რაც თანასწორობისა და მის საუბარში დაინტერესებულობის გამოხატულებაა.
- **არარეფლექსური მოსმენა** – ნიშნავს, რომ მსმენელი ყოველგვარი კრიტიკისა და შესწორებების გარეშე უსმენს მოსაუბრეს, რათა მან ბოლომდე გამოთქვას თავისი სათქმელი. მსმენელი ყურადღებით უნდა უსმენდეს, საუბრის თემით დაინტერესების გამოსახატავად მსმენელს შეუძლია გამოიყენოს შემდეგი მოკლე ფრაზები; "მესმის", "გავიგე", "დიახ";
- **გარკვევა და დაზუსტება** – დამატებითი კითხვების დასმით, ჩაძიებით მსმენელს

შეუძლია გაარკვიოს ყოველგვარი გაუგებრობა, რათა თავადაც ფლობდეს ზუსტ ინფორმაციას და მოსაუბრეც მეტად გაერკვეს თავის სათქმელში. დამაზუსტებელი შეკითხვების დასმა უნდა მოხდეს ზომიერების ფარგლებში.

- **რეფრაზირება** - რეფრაზირების ეტაპზე მსმენელი მოსაუბრის ნათქვამს იმეორებს, მაგრამ სხვა სიტყვებით ამბობს იგივე სათქმელს. ამით მთხრობელი რწმუნდება იმაში, რომ მას ყურადღებით უსმენენ.
- **შეჯამება** - შეჯამების დროს, მსმენელი აჯამებს მოსაუბრის მიერ გამოთქმული მოსაზრებას და ზოგად დასკვნებს აკეთებს, ოღონდ ეს დასკვნა არ უნდა იყოს სუბიექტური.
- **გრძნობათა არეკვლა** – ეს ნიშნავს იმას, რომ მსმენელმა შეჯამებისას უნდა შეძლოს დაახლოებით იგივე ემოციების გამოხატვა, მანიფესტაცია, როგორი ემოციური ფონითაც მოუთხრობდა მოსაუბრე. ეს ემოციური სინქრონიზაცია ეფექტური ურთიერთგაგების წინაპირობაა.

ეფექტური კომუნიკაციის აუცილებელი კომპონენტია **უკუკავშირი** - „ინფორმაციის მიწოდება მეორე ადამიანისა თუ ჯგუფისთვის იმის შესახებ, თუ რა გავლენას ახდენს და როგორ აღიქმება მისი ან მათი ქცევა სხვების მიერ. უკუკავშირი ეხმარება ადამიანს საკუთარი თავის სწორად შეფასებაში, არასასურველი ქცევის ან კომუნიკაციის სტილის შეცვლასა და შესაბამისად, მიზნის მიღწევაში“[5]. უკუკავშირი მარტივად, კითხვების დასმის ტექნიკის ცონდაა. კითხვები შეიძლება დაიყოს სამ ძირითად სახეობად;

- **დახურული კითხვები (“დიახ” ან “არა”)** მაგ: თუ გქონდათ ასეთი შემთხვევა წარსულში?
- **ღია კითხვები:** “როდის მოხდა ეს?”
- **რიტორიკული კითხვები,** როდესაც პასუხი თვითონ კითხვაშია მოცემული, მაგ; ,,ნუთუ თქვენ თვლით, რომ ზედმეტი რისკი და უსაფუძვლო აგრესია სიმამაცის გამოხატულებაა?!’’

ინტერვიუს დროს უფრო ხშირად გამოიყენება ღია კითხვები; ღია კითხვები თავისი ბუნებით შეიძლება იყოს პოზიტიური და ნეგატიური. მაგ: ისეთი კითხვები, რომლებიც იწყება სიტყვით “რატომ?”, ღიაა, მაგრამ ნეგატიური რადგან თავის თავში მოიცავს ბრალდებას, ჩაძიებას.

კითხვების დასმისას აუცილებელია ტაქტისა და დიპლომატიურობის გამოვლენა, ასევე შეკითხვების შესაბამისობა კონტექსტთან და სიტუაციასთან, ყოველივე ეს კომუნიკაციას უფრო ეფექტურს ხდის.

რეკომენდაციები კონსულტირების პროცესში კითხვების დასმისას:

- ღია კითხვები დაიწყეთ პოზიტიურად, გამოხატეთ დაინტერესება მოსაუბრისადმი; მაგ: “თქვენი აზრით, რა შეიძლება იყოს ამის მიზეზი?” ან “საინტერესო იქნებოდა თქვენი მოსაზრების გაგება”;
- კითხვების დასმის დროს გამოიყენეთ აქტიური მოსმენის ტექნიკა;
- იყავით ასერტიული;
- ჩამოაყალიბეთ კითხვა რაც შეიძლება ნათლად და კონკრეტულად, არ გამოიყენოთ “ბევრი” სიტყვები;
- მოერიდეთ ბრალდების წაყენებას (ვერბალური თუ არავერბალური გზით) ეს შედეგს არ მოიტანს.

ეფექტური კომუნიკაციაში არსებობს **როლების შეცვლის ტექნიკა,** რაც გულისხმობს მოსაუბრის როლიდან მსმენელის როლში გადასვლას. მსმენელის როლში გადასვლისას მოსაუბრეს უკეთ ესმის თანამოსაუბრის პოზიცია, მისი გრძნობები, თავდაცვა, მიზეზები. ამან შეიძლება გამოიწვიოს ცვლილებები დაპირისპირებული მხარეების ურთერთგაგებაში – თუ ადრე მათ ერთმანეთის ქცევები და მოსაზრებები მიუღებელი ეჩვენებოდათ, როლების გაცვლის შემდეგ შეიძლება მისაღები გახდეს. ასევე ეს ტექნიკა

5 ნ.გოცაძე, ეფექტური კომუნიკაცია და გუნდური მუშაობა პრაქტიკული სახელმძღვანელო საჯარო მოხელებისთვის, 2019,გვ.14.

ხელს უწყობს მოსაუბრის ემოციური რეაქციის შესუსტებას.

მოსაუბრის ქცევის არასწორი ინტერპრეტაციის თავიდან ასაცილებლად მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ **პირველი შთაბეჭდილების ეფექტი,** უგულვებელყოთ არაშეთანხმებული ნიშნები და მრავალჯერადად გადავამოწმოთ ხელთარსებული ინფორმაცია.

ასევე გასათვალისწინებელია, რომ:

- ვინც ვერ აცნობიერებს საკუთარი სხეულის ენას, გაუჭირდება სხვისი ქცევის ანალიზი;
- სხეულის ენა მუდმივ კავშირშია მეტყველებასთან, თუმცა ეს მათ მუდმივ თანხვედრას არ გულისხმობს;
- მხოლოდ ერთი სხეულებრივი ნიშანი არ არის საკმარისი დასკვნის გამოტანისათვის.

დასკვნა

შეჯამების სახით შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ ადამიანის ქცევის მართვა პირველ რიგში სწორი კომუნიკაციით მიიღწევა, რადგან ამ პროცესში სწორედ ადამიანები არიან ჩართული. იმისათვის, რომ კომუნიკაციის მხარემ გააცნობიეროს საკუთარი ქცევის შედეგები და გაამყაროს ე.წ. „სასურველი“ ქცევა ან პირიქით, შეცვალოს „არასასურველი“ ქცევა, ხელმძღვანელ პირებს უწევთ ფსიქოკონსულტირების (არაერთჯერადი) პროცესის გაძღოლა. ფსიქოკონსულტირებით ეფექტური კომუნიკაციის დამყარება კი გარკვეული უნარების შეძენა/გამომუშავებას გულისხმობს. კერძოდ, კომუნიკაცია ეფექტურია იმ შემთხვევაში, თუ გამოცდილი კომუნიკატორი იცნობს ხელშემშლელ ფაქტორებს და ცდილობს მინიმუმამდე დაიყვანოს კომუნიკაციის პროცესში ჩართული „ბარიერები“. ამასთან, პროცესი ემყარება **აქტიური მოსმენის პროცესს** (რასაც კომუნიკაციაში ყველაზე რთულ ეტაპად თვლიან), **გაგების მუდმივ გადამოწმებას** და სწორად მიცემულ **უკუკავშირს.**

ნაშრომში საუბარია იმ ფსიქოლოგიურ ბარიერებზე, რომლებსაც ადგილი აქვს თავდაცვის აკადემიის მოქმედი სერჟანტების პრაქტიკაში(თვისებრივი კვლევა ჩატარდა სერჟანტზე) და იმ სასურველ ტექნიკებზე, რომლებიც კომუნიკაციის მხარეთა შეთანხმებულ ქმედებაში და მათთვის მიჩნეული „სწორი“ ქცევის განხორციელებაში დაეხმარება იუნკერს.

დანართი 1.

„იუნკერის ტიპები“

დადებითი	***უარყოფითი***
• ენაკვიმატი • თვითდაჯერებული • ღირსეული ადამიანი • პატრიოტი • მოწესრიგებული, პუნქტუალური • მოტივირებული, აქტიური • დისციპლინირებული • მაღალი ღირებულების მქონე • ფიზიკურად აქტიური • სამაგალითო • მიზანდასახული • თავის საქმის მოყვარული • განათლებული • ლიდერი • კომუნიკაბელური • კრეატიული • ბეჯითი • შეგნებული • ალტრუისტი • მორწმუნე	• ინტრიგანი • ტლიკინა • ეგოისტი • ჩამოუყალიბებელი, ნაკლები თავდაჯერების მქონე • ზედმეტად თავდაჯერებული • ზარმაცი • მორცხვი • მატყუარა • დამყოლი • პასიური, ინერტული • არაკომუნიკაბელური, ჩაკეტილი, გარიყული • დამრღვევი • მატერიალისტი • პუბლიკაზე მოთამაშე (ვაზელინი) • ზედმეტად ამბიციური • შეშინებული (დამფრთხალი) • ნარცისი • „რუპორი“, გამოჩენა სურს • აგრესიული • უკმაყოფილო • ცინიკოსი • „მოძღვარი“, „ფილოსოფოსი“ • „რუხი კარდინალი“ • „უმოტივაციო იუნკერი“, ხელით სათრევი

დანართი 2

„იდეალური იუნკერის“ ფსიქოპორტრეტი

სამაგალითო იუნკერი ეს არის ლიდერი ადამიანი, რომელსაც აქვს უნარი მიიღოს გადაწყვეტილება, დაიმორჩილოს პირადი შემადგენლობა ყველაზე რთულ ვითარებაში, პირად შემადგენლობასთან სარგებლობს ავტორიტეტით; აღზრდილი ადამიანი, რომელსაც ზუსტად აქვს გათავისებული ზრდილობა, ოჯახი, სამშობლო; მორწმუნე ადამიანი, რომელსაც აქვს ღმერთის, საკუთარი თავის, სამშობლოს, საკუთარი საქმიანობის რწმენა. განათლებული ადამიანი, რომელმაც იცის რისთვის უნდა იბრძოლოს, აფასებს თავის წარსულს, აწმყოს და მომავალს.

„იდეალური იუნკერი“ უნდა იყოს ემოციურად მდგრადი, ფიზიკურად ჯანმრთელი, უნდა იყოს ღირებულებების მქონე და სურდეს მისი დაცვა. იყოს სამაგალითო, შეეძლოს ბრძანების ზუსტად და გაანალიზებულად შესრულება, მუდმივად მუშობდეს საკუთარ თავზე და ეხმარებოდეს სხვებს განვითარებაში; მოწესრიგებული, იცავდეს სუბორდინაციას როგორც ზემდგომებთან, ისევე ქვემდგომებთან; უნდა იყოს შეგნებული, მონდომებული, დისციპლინირებული, გააჩნდეს მიზანი, უნდა ახასიათებდეს მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობა, შეეძლოს გუნდური მუშაობა.

იუნკერს უნდა გააჩნდეს ანალიზის და ვითარებაში გარკვევის უნარი, იყოს სამართლიანი, მდგრადი, კომუნიკაბელური და მეგობრული თანატოლებში, სარგებლობდეს ავტორიტეტით, ჰქონდეს აკადემიური კარგი მოსწრება და ფლობს უცხო ენებს, მუდმივად ზრუნავს საკუთარი თავის განვითარებაზე. აქვს იდეები, აყალიბებს გარკვევით; ერგება მაქსიმალურად არსებულ სიტუაციას, ახდენს დადებით გავლენას სხვა იუნკერებზე, აქვს იუმორის გრძნობა, პატივს სცემს სამხედრო ფორმას, ღირებულებებს, იცის იუნკერების ისტორია და უფრთხილდება ოფიცრის, იუნკერის სახელს. შეუძლია სიახლეების გაანალიზება, უნდა ენდობოდეს მეთაურებს, უნდა შეეძლოს სირთულეების დაძლევა, შეეძლოს საკუთარი თავის სამართლიანი კრიტიკა, იყოს დარწმუნებული თავის გადაწყვეტილების მიღებაში, უნდა შეეძლოს დებატებში შესვლა და საკუთარი აზრის სამართლებრივად დაცვა, იღებდეს მითითებებს და შეეძლოს მისი შესრულება.

როგორც მომავალი მეთაურის ჩამოყალიბებაში, უნდა იყოს უდაოდ კეთილსინდისიერი და პატიოსანი, დღის განრიგს ასრულებდეს ზედმიწევნით. უნდა იყოს მორჩილი, ათვიცნობიერებდეს, რომ ყოველი მისი კარგი ქცევა და მოტივაცია ჩვენი ქვეყნის საწინდარია.

გამოყენებული ლიტერატურა:

- გოცაძე ნ., ეფექტური კომუნიკაცია და გუნდური მუშაობა. პრაქტიკული სახელმძღვანელო საჯარო მოხელეებისთვის, 2019, გვ.56.
- სუმბაძე ნ., მახარაძე თ., ინტერპერსონალური კომუნიკაცია(მომსახურების სფერო), ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი, 2010;
- გერიგი, ზიმბარდო (2009). ფსიქოლოგია და ცხოვრება, მე-16 გამოცემა. თსუ, თბილისი, 2010;
- მეგრელიშვილი კ., „ეფექტური კომუნიკაციის მნიშვნელობა ცვლილებათა მართვის პროცესში - თანამედროვე მართვის პრობლემები“, ბათუმი, 2012;
- კროპაძე თ., გელაშვილი გ., იუნკერის წარმატებულ მეთაურად ჩამოყალიბების პროცესზე მოქმედი ფსიქო-სოციალური მახასიათებლები(საქართველოს თავდაცვის ძალების მაგალითზე), თბ.2019;
- Careers Skills Library: Communication Skills, Second Edition, 2004,145 გვ.;
- http://dictionary.css.ge/content/client-centered-therapy
- https://www.skillsyouneed.com/ips/communication-skills.html

მართვის ხელოვნება გენდერულ ჭრილში (ესქილედან არისტოფანემდე)

თათია მარდალეიშვილი
კლასიკური ფილოლოგიის პროგრამის დოქტორანტი,
ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი **ნინო ჩიხლაძე**

აბსტრაქტი

თანამედროვე მართვის ხელოვნება ითვალისწინებს ისეთ ლიდერს, რომელიც დადებით გავლენას ახდენს გარშემომყოფებზე, ახალისებს მათ შესაძლებლობათა მაქსიმალურ რეალიზაციას მიზნის მისაღწევად, უსმენს და იზიარებს სხვების მოსაზრებებს, არის მზრუნველი, ყურადღებიანი და პასუხისმგებლიანი, რაც მთავარია, იგი არასდროს ექცევა დამკვიდრებული შეხედულებების და დამოკიდებულებების, მაგალითად, გენდერული სტერეოპტიპების გავლენის ქვეშ და იღებს ისეთ გადაწყვეტილებებს, რომლებიც ითვალისწინებს ცალკეულ ინდივიდს და არა ცალკეულ როგორც რაიმე სოციალური ჯგუფის წევრს, მაგალითად, ქალები/კაცები.

მოხსენებაში ბერძენი დრამატურგების - ესქილეს, სოფოკლეს, ევრიპიდეს და არისტოფანეს შემოქმედების მაგალითზე ვაჩვენებთ, რომ მართვა ძველ საბერძნეთში ხელოვნებამდე აყვანილი ოსტატობა იყო, რომელიც განმუხტავდა კრიზისულ სიტუაციებს, თავიდან იცილებდა მოსალოდნელ საფრთხეებს, სწორად განსაზღვრავდა რისკებს მათი სწორად შეფასების ერთიანი, უწყვეტი და განვითარებად პროცესით, რაც მთავარია, აქცენტს გავაკეთებთ იმაზე, რომ ამ პროცესებს ერთნაირი წარმატებით მართავდნენ როგორც ქალები, ისე მამაკაცები.

მოხსენებაში შევეხებით მამაკაც და ქალ ლიდერებს დრამებიდან: ესქილეს „მავედრებელი ქალები“, „შვიდთა ლაშქრობა თებეს წინააღმდეგ“, „ორესტეა“, სოფოკლეს „ოიდიპოს მეფე“, „ანტიგონე“ ევრიპიდეს „მედეა“, „ჰეკაბე“,არისტოფანეს „ლისიტრატე“, „თესმოფორიაძუსები“ და „ქალები სახალხო კრებაზე“.

დასკვნის სახით აღვნიშნავთ, რომ ძველბერძნულ დრამატურგიაში ქალები, ისევე როგორც მამაკაცები, კრიზისული სიტუაციების მართვის დროს გადიან შემდეგ ფაზებს:

1. ემზადებიან კრიზისის თავიდან ასაცილებლად, ანუ ახდენენ მის პრევენციას;
2. ემზადებიან კრიზისისათვის, ანუ იმუშავებენ გარკვეულ სტრატეგიას და ადგენენ გეგმას;
3. რეაგირებენ კრიზისზე, ანუ მართვის პროცესი ხდება ვერტიკალური და მთავარ გადაწყვეტილებას იღებს ერთი ადამიანი, სხვების სწორი მართვით და პანიკის და გაურკვევლობის მინიმუმამდე დაყვანით;
4. კონტროლს უწევენ კრიზისის შემდგომ მოქმედებებს.

საკვანძო სიტყვები:
მართვის ხელოვნება, კრიზისული სიტუაციები, კრიზის–მენეჯერები, გენდერი.

The Art of Management in a Gender Context (From Aeschylus to Aristophanes)

Tatia Mardaleishvili
Akaki Tsereteli State University
PhD student in Classical Philology
Supervisor - Professor **Nino Chikhladze**

Abstract

The art of modern management considers a leader who has a positive influence on those around him/her, encourages them to realize their full potential to achieve the goal, listens to and shares other people's opinions, is considerate, attentive and responsible, and most importantly, he / she is never influenced by established beliefs and attitudes, such as gender stereotypes, and makes decisions that take into consideration the individual and not the one as a member of any social group, such as women / men.

The report will discuss the works of the Greek playwrights - Aeschylus, Sophocles, Euripides and Aristophanes – and show that management in ancient Greece was the thing of art that neutralized crisis situations, avoided anticipated threats, and correctly identified the risks using the unified, continuous and evolving process of proper assessment. Most importantly, we will emphasize the fact that both women and men managed these processes with equal success.

In the report we will talk about male and female leaders from the following dramas: „The Suppliants", „Seven against Thebes" and "The Oresteia" by Aeschylus; "Antigone" and "Oedipus the King" by Sophocles; "Medea" and "Hecuba" by Euripides; "Lysistrata", "Women at the Thesmophoria" and "The Assembly Women" by Aristophanes.

In conclusion, we would like to point out that in ancient Greek drama, women, like men, go through the following stages when managing crisis situations:

1. Prepare to prevent the crisis that means they prevent it;
2. Prepare for the crisis, i.e. they develop a certain strategy and make a plan;
3. Respond to the crisis that means that the management process becomes vertical and the main decision is made by one person by properly managing others and minimizing panic and uncertainty;
4. Control post-crisis operations.

Key Words:
The art of management, crisis situations, crisis managers, gender.

კრიზისული სიტუაციების სწორად შერჩეული მართვის ხელოვნებით განმუხტვის მექანიზმების შესწავლა განაპირობებს ჩვენი **ნაშრომის აქტუალობას.** ჩვენი **კვლევის საგანია** ის ქმედებები, რომლებსაც ანტიკური ლიტერატურის პერსონაჟები, ქალები და მამაკაცები, გეგმავენ შექმნილ კრიტიკულ სიტუაციებში და მაქსიმალურ ეფექტს აღწევენ კრიზისული სიტუაციების მართვის თვალსაზრისით. **საკვლევ მასალად** შევარჩიეთ ანტიკური ეპოქის ბერძენ ტრაგიკოსთა და კომედიოგრაფოსთა ნაწარმოებების პერსონაჟები, რომლებსაც ჩვენ პირობითად დავარქვით „კრიზის–მენეჯერები“. წარმოგიდგენთ რამდენიმე მათგანს. დავიწყოთ მამაკაცები-პერსონაჟებით.

ესქილეს ტრაგედიაში **„მავედრებელნი“** მთავარ კრიზის-მენეჯერად გვევლინება არგოსელთა ქვეყნის მმართველი პელაზგოსი. ტრაგედიაში კრიზისული ვითარება იქმნება მაშინ, როდესაც დანაიდები მიაღწევენ არგოსელთა მიწას– ელადას და შიშით უცდიან დადევნებულ ეგვიპტიდთა გამოჩენას. პელაზგოსი, ერთის მხრივ, შეწუხდება დანაიდების გაჭირვებით, მეორეს მხრივ, მან, როგორც ქვეყნის მმართველმა კარგად იცის, რომ ქალებისათვის თავშესაფრის მიცემა სხვა ქვეყნის საქმეებში ჩარევას და შესაბამისად, ეგვიპტიდებთან ომის დაწყებას მოასწავებს.

შექმნილ კრიზისულ ვითარებაში პელაზგოსს, რათქმაუნდა, არ სურს თანამოქალაქეების სისხლისმღვრელ ბრძოლებში ჩაბმა, თუმცა, მავედრებლებისთვის დახმარებაზე უარის თქმაც უჭირს. და პელაზგოსი იღებს ყველაზე სწორ გადაწყვეტილებას - ხალხს დაეთათბიროს, მიუხედავად იმისა, რომ ქორო ეუბნება – ქალაქიც თავად იყო და ხალხიც[1]. შექმნილ სიტუაციაში მართვის პელაზგოსისეული გეგმა ასეთია: 1. დანაოსს სთხოვს, სალოცავი რტოები მიმოჰფინოს ღვთაებების სალოცავებს, რომ მათი ჩამოსვლა ენიშნოთ მოქალაქეებს; 2. მავედრებელ ქალებს ამშვიდებს, რომ მამა მალე დაბრუნდება, რათა მათში ზედმეტი ვნებათა ღელვა არ გამოიწვიოს და საქმე დროზე ადრე არ გააფუჭოს; 3. ხალხს შეკრებს, შექმნილ სიტუაციას გააცნობს და რჩევას ეკითხება.

შედეგად, მართალია, ქალაქი ომში ჩართული მაინც აღმოჩნდა, მაგრამ ეს იყო

სამართლიანი ომი, რადგან მოქალაქეებმა გაიხსენეს, რომ დანაიდები მათი ნათესავებიიყვნენ და ქალაქი ვალდებული იყო, დაეცვა ისინი არა სხვა ქვეყნის საქმეებში ჩარევის, არამედ საკუთარი მოქალაქეების გადარჩენის მიზნით.

მართვის ხელოვნების თვალსაზრისით, ჩვენი ყურადღება ასევე მიიქცია ეტეოკლემ, ესქილეს ტრაგედიიდან **„შვიდნი თებესწინააღმდეგ“**. ტრაგედიაში კრიზისული ვითარება იქმნება მაშინ, როდესაც ქალაქის

წინააღმდეგ მოემართება არგოსელთა ჯარი. ეტეოკლეს, როგორც კრიზის-მენეჯერის, გეგმა ასეთია:1. ამხნევებს თავის მეომრებს, რომ არ მიატოვონ ჭიშკართა გამოსასვლელნი, მხნედ იყვნენ და არ შეუშინდნენ მომხვდურთა ჯარის სიმრავლეს; 2. ქოროს მოუწოდებს ჩუმად ყოფნისაკენ, რათა არ დაატყდეს ახლობელთ შიში და შემდეგი სიტყვებით მიმართავს მას: „ოდეს დაჭრილთა ან მომაკვდავთ ამბავს შეიტყობთ,ნუ ასტეხთ ვაი–უშველებელს;არესი წარმავალთა სისხლით საზრდოობს“ (ესქ. შვიდნი თებ.წინააღ. I ეპიზ.242–244); 3. ზუსტად არჩევს, თებეს რომელი კარიბჭისკენ რომელი მთავარსარდალი მოემართება, რომ შესაბამისი მეთაური დაახვედროს თებეს დამცველად. ასე სახელდახელოდ შეარჩია მან ოპოზიციური წყვილები:1. ბრძოლის მწყურვალე ტიდევსი/ აუგ საქმეთა ზარმაცი და სპარტელ მამართა ღირსეული მკვიდრი – მელანთიპოსი; 2. ახოვანი, ქედმაღალი და გიგანტად მიჩნეული კაპანევსი/ ბრძოლის ჟინით ანთებული შმაგი პოლიფონტი; 3. არესისაგანაც კი დაუმარცხებელი ეტეკლე/უშიშარი მეგარევსი, რომელიც არასდროს დაიხევს უკან; 4. არსესისაგან გაცოფებული, სახით საზარი შლეგი ჰიპომედონტი /ახოვანი, უდრეკი ჰიპერბიოსი; 5. გულმამაციარკადიელი, რომელიც ჭიშკრებს დალეწვით ემუქრება/სიტყვა საქმიანი აქტორის ძმა, ვინც ამგვარ ენით დამაშვრალს ნებას არ მისცემს დაარღვევინოს მათი ბჭენი; 6. ბრძენთა უბრძენესი, ქველობით ქებული და ძალ–მხნე მისანი ამფირაესი/

1 ესქ. მავედრ.ეპიზ. პირველი . 370-75

ლომგული, გონებით მოხუცი, ტანად ჭაბუკილასთენე; 7. ტახტის მაძიებელი პოლინიკე/ ტახტის და ქალაქის დამცველი საკუთარი თავი.

როგორც ჩანს, ეტეოკლე კარგად იცნობდა ორივე მხარის ბელადებს და შემთხვევითი არჩევის პრინციპით კი არ დაუპირისპირა წყვილები ერთმანეთს, არამედ კარგი მენეჯერული უნარი გამოიჩინა და სწორად მართა კრიზისული სიტუაცია. ასეთ შემთხვევაში, ისმის კითხვა - რატომ ვერ აიცილია მან თავიდან ძმათა მკვლელობა? მიზეზი შეიძლება იყოს შემდეგი: 1. რადგან მისი პრინციპი იყო მსგავის მსგავსს დაპირისპირებოდა - „მთავარს მთავარი, ძმას ძმა, მტერს მტერი“ (ესქ. შვიდ. თებეს წინააღმ. ეპიზოდი მეორე – 674), შესაბამისად, ძმას - ძმა; 2. ბედისწერის წინააღმდეგ საუკეთესო კრიზის-მენეჯერებიც კი უძლურნი არიან: „თუკი უბედურება ღმერთებმა მოგცეს, მას ვეღარ გაექცევი“ (ესქ . შვიდნი თებეს წინააღმ. ეპიზოდი მეორე, 686) .

საუკეთესო მასალა ჩვენთვის საინტერესო საკითხის კვლევისას მოგვცა, რა თქმა უნდა, სოფოკლეს ორმა მამაკაცმა გმირმა. ესენი არიან: ოიდიპოს მეფე და კრეონი.

თებეში შექმნილი კრიზისული სიტუაციის განმუხტვას ოიდიპოსი ცდილობს ორი მიმართულებით: ერთი მხრივ, იგი ინტერესდება დელფოს სამისნოსა და მისან ტირესიასის წინასწარმეტყველებით, მეორე მხრივ, მუშაობს ადამიანებზე და ადამიანებთან -მან, როგორც ჭკვიანმა მენეჯერმა, შედეგის სწრაფად მისაღებად და დამნაშავის აღმოსაჩენად: 1. თანამოქალაქეებში სპეციალურად ხმა გაავრცელა, თუკი ლაიოსის მკვლელი თავად აღიარებს დანაშაულს, მაშინ მას უვნებლად გაუშვებენ ქალაქიდან, ხოლო თუკი ვინმე შეეცდება სიმართლის დაფარვას, მას სასტიკი წყევლა აუხდება; 2. დაკითხამსახური, რომელიც გადარჩენილა ლაიოსის ამალიდან მეფის მოკვლის შემდეგ. შედეგი მიღებულია, გამოძიება დასრულებული, დამნაშავე - ნაპოვნი და დასჯილი. ოიდიპოსმა ოსტატურად შეასრულა დამნაშავის მოძებნის და ქალაქის ხსნის საქმე. ტირესიასის დასკვნაც ასეთია: „მაგ ოსტატობამ დაგამხო და დაგღუპა სწორედ“ (სოფ.ოიდ.I. ეპიზ. 442). აქ მთავარი მაინც ქალაქის ხსნაა. და ეს ფუნქცია მან, როგორც კარგმა კრიზის-მენეჯერმა, საუკეთესოდ შეასრულა. ჩვენთვის სწორედ ეს იყო საინტერესო.

რაც შეეხება კრეონს, სოფოკლეს ტრაგედიაში „ანტიგონე“. იგი, კრიზისული სიტუაციიდან გამოსასვლელად: 1. იღებს გადაწყვეტილებას, მოღალატე პოლინიკე სამაგალითოდ დაისაჯოს და არ დაიმარხოს, რომ არასდროს არავის გაუჩნდეს ღალატის სურვილი, რადგან „მტერი მოყვარე არასდროს არის, თუნდაც მოკვდეს“ (სოფ. ანტ. II. ეპიზ.522); 2. ამის საპირიპიროდ, იმავე მიზეზით, ასევე სამაგალითოდ, პატივით კრძალავს ეტეოკლეს, როგორც ქალაქის ღირსეულ დამცველს; 3. საკუთარი ნების წინააღმდეგ, სამაგალითოდ სჯის მის საყვარელ ანტიგონეს, რომ აღარასდროს დაარღვიოს ვინმემ კანონი; 4. ოჯახის ინტერესებზე მაღლა აყენებს სახელმწიფოს ინტერესებს, რადგან პასუხისმგებელია არა მხოლოდ ოჯახზე, არამედ, სახელმწიფოზეც.

რა თქმა უნდა, ჩვენც ვეთანხმებით ლიტერატურის კრიტიკოსთა აზრს კრეონის ტირანული ბუნების შესახებ, მაგრამ ეს უკვე სხვა ამბიდან არის.

როგორც არ უნდა დაუჯერებლად ჟღერდეს, საბერძნეთში, ქვეყანაში, სადაც ქალი საკმაოდ უუფლებო იყო - არ ჰქონდა ხმის უფლება, არ მონაწილეობდა თეატრში. მგონი, ბავშვების არზრდასაც ბოლომდე არ ანდობდნენ, და სხვა, მართვის ხელოვნების თვალსაზრისით, ბერძნულ დრამაში ესქილედან არსიტოფანამდე სწორედ ქალმა პერსონაჟებმა მიიქციეს ჩვენი ყურადღება. ასე მაგალითად:

ესქილეს ტრილოგიიდან **„ორესტეა“** მართვის ხელოვნების თვალსაზისით გამოვყოფდით კლიტემნესტრას. მნიშვნელოვანია, რომ ტრაგედიაში, რომელსაც ჰქვია „აგამემნონი“, თავად აგამემნონი, რომელიც ჰომეროსის „ილიადაში“ ერთ-ერთი მთავარი კრიზის-მენეჯერია, ესქილესთან არა თუ რაიმეს გეგმავს და წარმართავს, საკუთარ სიცოცხლესაც კი ვერ იცავს. „ცხვრის“ როლს ასრულებს კლიტემნესტრას მიერ წინასწარ მოფიქრებულ შურისძიების გეგმაში. რაში მდგომარეობს კლიტემნესტრას შურისძიების გეგმა? იგი: 1. თამაშობს ქმრის დაბრუნებით ბედნიერი ქალის როლს; 2. აგამემნონს

ეტლიდან ჩამოსვლისას მიწაზე ფეხს არ ადგმევინებს და სთხოვს, მეწამულ ფარდაგებზე გაიაროს. აგამემნონის წინააღმდეგობაზე კლიტემნესტრას პასუხია: „დამმორჩილდი და გაიმარჯვებ მეტის ღირსებით“(ესქ.აგამემნ.941); 3. სიტყვის თქმის, ხალხთან, შვილებთან მისალმების საშუალებასაც კი არ აძლევს ტროადან დაბრუნებულ გმირს. აგამემნონი მთელი გზა დუმს, რადგან მთელი გზა გაუჩერებლად ლაპარაკობს კლიტემნესტრა; თუ აგამემნონს ხალხთან ურთიერთობის საშუალება მიეცემოდა, ნაკლებად სავარაუდო იყო უკვე მისი გეგმის რეალიზება. 4. და ბოლოს, ეგისთოსთან ერთად მიკენის, სამართავად ემზადება კლიტემნესტრა და ეუბნება საყვარელს:„დავსხდეთ მე და შენ და ვიმეფოთ, როგორც გვენებოს“ (ესქ.აგამემნ.1673).

მედეაზე ბევრი რამ თქმულა, ეხლა კი შევეცდები დაგანახოთ, როგორი კრიზის-მენეჯერია მედეა **(ევრიპიდეს „მედეა“).** იგი, როგორც კი ხვდება, რომ გულწრფელობა არ ჭრის, იწყებს საკუთარი გეგმის რეალიზებას: 1. კრეონს გამოსტყუებს ერთ დღეს, რომელიც, მისივე სიტყვებით, საკმარისია იმისათვის, რომ შური იძიოს იასონზე, კრეონზე და მთელს მის სასახლეზე; 2. იასონთან ტოვებს მონანიე ქალის შთაბეჭდილებას და „უწონებს“ საქციელს, რათა მისი ყურადღებაც მოადუნოს და ხელი არ შეუშალოს განზრახვის სისრულეში მოსაყვანად; 3. თავშესაფარს გამოსტყუებს ათენის მეფე პელასგოსს, გასაქცევი რომ ჰქონოდა – ესეც კი წინასწარ გათვალა.

შექმნილ კრიზისულ ვითარებაში გადაწყვეტილებების დამგეგმავად და შურისძიების აღმსრულებლად გვევლინება,ასევე,მეფე პრიამოსის მეუღლე – **ჰეკაბე** ევრიპიდეს ამავე სახელწოდების ტრაგედიაში.შურისგებისათვის ჰეკაბეს გეგმა ასეთია: 1. აგამემნონს სთხოვს, ხელი არ შეუშალოს შურისგების განხორციელებაში და ჩამოართმევს კიდეც აგამემნონს ამის პირობას; 2. მოიხმობს თრაკიის მეფეს შვილებითურთ; 3. თავს აჩვენებს, რომ არაფერი იცის თავისი ვაჟის თაობაზე და თრაკიის მეფეს ესაუბრება, როგორც კეთილისმყოფელს; 4.საკუთარი გეგმის ნაწილად აქცევს ტროელ ქალებს; 5. პოლიმესტორს შეიტყუებს კარავში შვილებითურთ. გეგმა შესსრულებულია, იქ რაც ტრაგედია დატრიალდება, ყველამ ვიცით. მართვის ხელოვნების თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდნენ სწორედ ქალი პერსონაჟები არისტოფანეს დრამატურგიაში. არისტოფანეს კომედიები, როგორც წესი, მრავალი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა.

ანალიზისათვის შევარჩიეთ არისტოფანეს სამი კომედია. **„თესმოფორიაძუსები ანუ ქალები თესმოფორიას დღესასწაულზე“.** ამ კომედიაში ქალთათვის კრიზისული ვითარება იქმნება მაშინ, როდესაც ევრიპიდე მოევლინება მათ ქალთა ღირსებების შემლახველად, რადგან ტრაგიკოსმა „ჭუჭყში ამოსვარა ქალის სახელი, დაამცირა და შეურაცხჰყო იგი. სადაც კი გუნდი, პოეტი და მაყურებელი ნახა, ყველგან ქალის ლანძღვას მიჰყო ხელი“ (არისტოფ. თესმ. 386–389); მისი ტრაგედიების ნახვის შემდეგ შინ დაბრუნებული მამაკაცები კი შურს თავიანთ ქალებზე იძიებენ.

გამოსავალს ქალები იმაში ხედავენ, რომ ევრიპიდეზე შური იძიონ და სიკვდილით დასაჯონ, რადგან მათთვის ევრიპიდეს ქალებისადმი მტრობა ბერძენ-სპარსელთა მტრობის რანგში იყო აყვანილი და სასწრაფოდ მოსაგვარებელ პრობლემებს განეკუთვნებოდა[2].

კრიზისული სიტუაციიდან გამოსასვლელად ქალები ეტაპობრივად მოქმედებენ: 1. ორგანიზებას უწევენ თესმოფორიას დღესასწაულისაკენ მასობრივ მსვლელობას; 2. იწვევენ კრებას, რომელზეც არათუ ხმის მიცემის, დასწრების უფლებაც კი არ გააჩნიათ მამაკაცებს. 3. ამ საქმეებს გასაიდუმლოებულად აგვარებენ და საიდუმლოს გარკვეულ დრომდე მკაცრად იცავენ; 4. ევრიპიდეს ერთადერთ დამცველს, ქალურად გადაცმულ მნესილოქოსს, ევრიპიდეს სიმამრს, სვეტზე მიაბამენ და მეთვალყურეს მიუჩენენ. 5. მოჰყავთ არგუმენტები მნესილოქოსის არგუმენტების გასაბათილებლად;6. ორმხრივ შეთანხმებას ადებინებენ ევრიპიდეს. ქალებმა გაიმარჯვეს - მართალია, ევრიპიდე გადარჩა ცოცხალი, მაგრამ პირობა დადო, რომ აღარასოდეს აღარ მოისმენდნენ ქალები

2 შდრ. მაკდაუელი 1995:101. *Macdowell D.M. Aristophanes and Athens. Oxford 1995.*

მისგან ავად თქმულს.

კომედიის ფინალში ქალებსა და ევრიპიდეს შორის ორმხრივი შეთანხმების დადება, რასაკვირველია, კრიზისული სიტუაციის სწორად მართვასა და წარმატებით გამოსავლის პოვნაზე მიანიშნებს.

კომედიაში „ლისისტრატე“ ქალების მთავარ პრობლემას წარმოადგენს ისეთი არსებითი საკითხი, როგორიცაა ომი და მშვიდობა[3].

„ლისისტრატე“.კომედიაში წარმოდგენილია ომის მიმართ ორგვარ დამოკიდებულებას შორის დაპირისპირება – მამაკაცების, რომლებიც მიელტვიან სისხლიან ომებს და ქალების, რომლებიც მშვიდობიან ცხოვრებას ესწრაფვიან, რაც იწვევს კიდეც კრიზისულ სიტუაციას.

ქალებს ძალიან კარგად აქვთ გაცნობიერებული, რომ არსებობს ოჯახურ საქმეებზე უფრო მნიშვნელოვანი - ქვეყნის ხსნის საქმე. ამ საქმეს კი ქალები თავიანთ თავზე იღებენ, რადგან ნახეს, რომ კაცები ამ მისიას ვერ ასრულებენ თავიანთი უჭკუო გადაწყვეტილებებისა და ფულისათვის განუწყვეტელი ბრძოლის გამო: „ჩვენ გადაგარჩენთ თქვენ“ (არისტოფ.ლისისტრ. 500) - ხმამაღლა განუცხადეს ქალებმა კაცებს, რომელთაც ეგონათ, რომ ომი მხოლოდ მამაკაცების საქმე იყო. აღმოჩნდა, რომ, პირველ რიგში, ომით თავად ქალები იტანჯებიან, რადგანაც ისინი შვილებს უმამოდ ზრდიან, დედები დავაჟკაცებულ მოდგმას ბრძოლის ველზე აგზავნიან, ქალებს სძინავთ სულ მარტო, ახალგაზრდები ბერდებიან ალერსის გარეშე. ქმრებს კი შეუძლიათ სიბერეშიც ახალგაზრდა ცოლები მოიყვანონ (არისტოფ. ლისისტრ. 100;110; 525;595). ქალები გადაწყვეტენ, აუკრძალონ მამაკაცებს იარაღით სიარული და ერთი ბრძოლიდან მეორეში გაქცევ–გამოქცევის სულელური წესი. ამ მიზნის შესასრულებლად, იკავებენ აკროპოლისს და საკუთარ პირობებს წაუყენებენ მამაკაცებს: „თუ ფული დაგჭირდებათ სახლისათვის, ხორცისათვის მოგცემთ, ომისათვის – არა ‘’(არისტოფ. ლისისტრ. 1065).

არისტოფანეს პერსონაჟი ქალები მზად არიან, იარაღს მოჰკიდონ ხელი, ესროლონ ყველაფერი, ოღონდ არ დანებდნენ, მაგრამ, ამავდროულად, ქალები არ კარგავენ ქალურობას (ტაფი 1993:60).მათი დევიზებია: „პრანჭვა გადაგვარჩენს“ და „მიზნის მიღწევამდე თავი შევიკავოთ მამაკაცებთან ურთიერთობისაგან“ (არისტოფ. ლისისტრ. 120); „სწორედ ეს დაადებინებს კაცებს ხმალს, ფარს ხელს აღარ ახლებენ“ (არისტ. ლისისტრ.50). კრიზისულ ვითარებაში ქალები გრძნობენ საკუთარი ნების გაერთიანების აუცილებლობას მამაკაცთა წინააღმდეგ.

მთავარი კრიზის-მენეჯერი ლისისტრატეა, რომელიც ამბობს: „ჩვენ მათზე გავიმარჯვრებთ, თუ ერთმანეთში არ ვიჩხუბებთ’’ (არისტოფ. ლისისტრ. 767); როცა ქალები მოვლენ აქ ბეოტიიდან, პელოპონესიდან, კორინთოდან, ჩვენ მაშინ ყველანი ერთად გადავარჩენთ ელადას’’(არისტოფ.ლისისტრ. 40).

მამაკაცებმა როცა ნახეს, რომ ყველა ქალმა ერთხმად მიატოვა საძინებელი ოთახები და ქალთა გაფიცვა იყო მტკიცე და ერთსულოვანი,აღიარეს ქალთა მოთხოვნის გონივრულობა და გადაწყვეტენ რომ დაჰყვნენ ქალთა ნებას და ელჩობა გაუგზავნონ ლისისტრატეს, საერთო საქმეც სწორედ მას – ქალს ჩააბარეს და სპარტელებისა და ათენელების მორიგებაც სთხოვეს. ამ კომედიაში, ქალებიახერხებენ კრიზისული ვითარების ნეიტრალიზაციას. შედეგად, მშვიდობა მყარდება ათენელებსა და სპარტელებს შორის.

ქალები, როგორც კარგი კრიზის მენეჯერები, გვხვდებიან ასევე არისტოფანეს კომედიაში „ქალთა სახალხო კრება“, რომელშიც კრიზისული ვითარება იქმნება მაშინ, როცა კაცები თავიანთი უგუნურობით საზოგადოებას მიიყვანენ ეკონომიკურ და მორალურ კრიზისამდე.

„ქალთა სახალხო კრება“. არისტოფანეს ამ კომედიაში ქალთა კრიზისული სიტუაცია მიმართულია ზოგადად მამაკაცების მიერ შექმნილ პოლიტიკურ სისტემისაკენ,

3 შდრ. ტაფი 1993:60 *Taaffe L. k. Aristophanes and Athens. Oxford 1995.*

რომელშიც მანამდე ქალები არ მონაწილეობდნენ. მაშინ, როცა ქალი თავისუფალი იყო, მას არ ჰქონდა მოქალაქის ყველა უფლება და მისი საქმიანობა მხოლოდ და მხოლოდ ოჯახური საქმიანობით შემოიფარგლებოდა[4]. მათთვის დაკეტილი იყო პოლიტიკური ცხოვრების ყველა სფეროდა არ შეეძლოთ მონაწილეობა მიეღოთ სახელმწიფო საქმეების გადაწყვეტაში. სახალხო კრებაზე, რომელზეც მნიშვნელოვანი საკითხები წყდებოდა, ქალს არ ჰქონდა ხმის უფლება. სწორედ ამ უსამართლობით არის განპირობებული კრიზისული ვითარების შექმნა არისტოფანეს კომედიაში, რომელშიც ქალებს სურთ ქვეყანაში ქალთა ძალაუფლება დამყარდეს შემდეგი მიზეზების გამო: 1. ქალაქს უსინდისონი მართავენ და სახელმწიფო მათ გამო ნგრევის პირასაა მისული; 2. ქალები, მამაკაცებთან შედარებით, უფრო ჭკვიანები და საქმიანები არიან, მათ არ ახასიათებთ ზედმეტი ლაყბობა და ენის მიტან–მოტანა. 3. ათენში დიდ პატივად ითვლება სიახლეებზე გამოდევნება, ძველის სიძულვილი, არსებულის დაცინვა, მხოლოდ ქალთა მმართველობა არ გამოუცდია ათენს, დაე, ესეც ვსინჯოთ, ხომ ვანდობთ ქალებს ფულს, სახლსა და მეურნეობას. 4. ქალებმა იციან, რომ ძალა ერთობაშია და ერთმანეთს მოუწოდებენ: „ერთ მუჭად შევიკრათ, ფხიზლად ვიყოთ, რომ მოულოდნელმა უბედურებამ არ დაღუპოს ჩვენი საერთო საქმე ქვეყნის ხსნისა“(არისტოფ. ქალ.სახალხ. კრ. 483–99).

კომედიის ცენტრალურ პერსონაჟს წარმოადგენს პრაქსაგორა, რომელიც გეგმავს გამოსავალს შექმნილი კრიზისული ვითარებიდან. პრაქსაგორა დილით ადრე შეკრებს მამაკაცურად გადაცმულ ათენელ ქალებს, რათა მათი სახალხო კრებაზე მოპოვებული რიცხობრივი უპირატესობით მიაღწიონ პოლისში ძალაუფლების ქალებისათვის გადაცემას.იგი ცდილობს აჩვენოს ქალთა მმართველობის ისეთი უპირატესობები, როგორიცაა უსამართლობების მოსპობა, სიღარიბე, ცრუმორწმუნეობა, საერთო ქონების შექმნა, რომელშიც წილი ყველას ექნება. ის თავისი არგუმენტირებული მოსაზრებებით ახერხებს საკუთარი პროგრამის დაცვას, მამაკაც ოპონენტთა დარწმუნებას, მათი მხარდაჭერის მოპოვებას და კრიზისული სიტუაციიდან გამოჰყავს ქვეყანა[5].

ქალები კომედიაში გვევლინებიან არამარტო უსამართლო პოლიტიკური სისტემის, არამედ, მთელი ფორმაციის შემცვლელებად. ისინი შექმნილი კრიზისული ვითარებიდან გამოსავალს ეტაპობრივად გეგმავენ და ანხორციელებენ: 1. ქალები მამაკაცის ფორმას იღებენ, გამოეწყობიან მათ ტანსაცმელში, დაიკრავენ წვერსა და ულვაშს, დაიბოხებენ ხმას და ცდილობენ, რომ ისაუბრონ მამაკაცურად – ღირსების გრძნობით; 2. ქალები სახალხო კრებაზე შექმნიან რიცხობრივ უპირატესობას და ხმას აძლევენ იმას, რომ ქვეყანაში დამყარდეს ქალთა ძალაუფლება.

დასკვნის სახით აღვნიშნავთ, რომ ძველბერძნულ დრამატურგიაში მართვა ხელოვნებამდე აყვანილი ოსტატობა იყო, რომელიც განმუხტავდა კრიზისულ სიტუაციებს, თავიდან იცილებდა მოსალოდნელ საფრთხეებს, სწორად განსაზღვრავდა რისკებს მათი სწორად შეფასების ერთიანი, უწყვეტი და განვითარებადი პროცესით. რაც მთავარია, ამ პროცესებს ერთნაირი წარმატებით მართავდნენ როგორც ქალები, ისე მამაკაცები.

გამოყენებული ლიტერატურა:

- გომი 1937: Gomme A. W. The Position of Women in Athens in the fifth and Fourth Centuries. Essays in Greek History and Literature. Oxford. 1937.
- ეჰრენბერგი 1962: Ehrenberg V. The People of Aristophanes. New York 1962.
- მაკდაუელი 1995: Macdowell D.M. Aristophanes and Athens. Oxford 1995.
- პარკი 1986: Parke H. W. Festivals of Athenians . London 1986.

4 მაკდაუელი 1995:10–15. *Macdowell D.M. Aristophanes and Athens. Oxford 1995.*

5 შო 1975:256. *Shaw M. "The Female Intruder: Women in the Fifth Century Drama". CPH 70. 1975.*

- რაიტი 1969: Wright F.A. Feminism in Greek Literature. Dort Washington. New York 1969.
- ტაფი 1995: Taaffe L. k. Aristophanes and Athens. Oxford 1995.
- ფოლი 1981: Foley H. P. The Conception of Women in Athenian Drama. Reflections of Women in Antiquity. New York 1981.
- შო 1975: Shaw M. “The Female Intruder: Women in the Fifth Century Drama”. CPH 70. 1975.
- ჩიხლაძე ნ. ამაძონობის მოტივი ანტიკურ ლიტერატურაში. თსუ გამომცემლობა „ლოგოსი“. თბილისი. 2003.
- ანტიკური ეპოქის ავტორები
- არისტოფანე. თესმოფორიაძუსები ანუ ქალები თესმოფორიას დღესასწაულზე. თარგმანი ეკუთვნის ლ.ბერძენიშვილს. გამომცემლობა “ლოგოს პრესი“. თბილისი.2011.
- არისტოფანე.ლისისტრატე. თარგმანი ეკუთვნის ლ.ბერძენიშვილს. გამომცემლობა“ლოგოს პრესი“. თბილისი.2011.
- Aristophanes, vol. IV, Frogs. Assemblywomen. Wealth. Edited and translated by Jeffery Henderson, 2002.
- ევრიპიდე. მედეა. თარგმანი ეკუთვნის ბ.ბრეგვაძეს. ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა.თბილისი.2013
- ევრიპიდე. ჰეკაბე. თარგმანი ეკუთვნის ნ.ტონიას. გამომცემლობა „ლოგოსი“. თბილისი.2017.
- ესქილე.მავედრებელნი. თარგმანი ეკუთვნის გ.სარიშვილს. გამომცემლობა შ.პ.ს. iBooks. თბილისი.2020
- ესქილე. ორესტეა. თარგმანი ეკუთვნის გ.სარიშვილს. ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა. თბილისი.2013.
- ესქილე. შვიდნი თებეს წინააღმდეგ. თარგმანი ეკუთვნის გ.სარიშვილს. გამომცემლობა „მერანი“. თბილისი.1978.
- სოფოკლე. ანტიგონე. თარგმანი ეკუთვნის გ.ხომერიკს გამომცემლობა “ლოგოსი. თბილისი. 2016.
- სოფოკლე. ოიდიპოს მეფე. თარგმანი ეკუთვნის გ.ხომერიკს. გამომცემლობა “ლოგოსი. თბილისი. 2016.

ფსიქიკური ჯანმრთელობის მნიშვნელობა მოზარდობის ასაკში

დავით ქათამაძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი,
ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ლია მეტრეველი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

აბსტრაქტი

საერთაშორისო კვლევების თანახმად, აშკარაა, რომ საშუალოდ ყოველ მეხუთე მოზარდს აქვს დიდი ალბათობა განიცადოს ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემა. მოზარდობის ასაკში პირველად შეიძლება გამოვლინდეს ფსიქიკური დაავადების ნიშნები. ნივთიერებების ბოროტად გამოყენებასა და საერთო ფსიქიკური აშლილობის ნახევარს აქვს საფუძველი და მისი ამოცნობა შესაძლებელია 14 წლის ასაკამდე. ეს რიცხვი 24 წლის ასაკში 3/4 აღწევს.

ნათქვამია, რომ ბიოლოგიური სიტუაციები მონაწილეობს მოზარდების ფსიქიკურ ჯანმრთელობაში. ბიჭებში უფრო მეტად ვლინდება ქცევითი და აუტიზმის სპექტრის დარღვევები, ყურადღების დეფიციტის და ჰიპერაქტივობის აშლილობით, ხოლო გოგონებში უფრო მეტად ავადდებიან კვების დარღვევებით და დეპრესიით.

მოზარდები მიდრეკილნი არიან განწყობის ცვალებადობისკენ, შფოთვის და ნერვიულობის შეგრძნებით. თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ისინი ავადდებიან საერთო ფსიქიკური აშლილობით. ყველა ეს მახასიათებელი ნორმალურია იმ ადამიანებში, რომლებიც იზრდებიან განსაკუთრებით მოზარდობის პერიოდში, რაც არის სწრაფი ფიზიკური, გონებრივი და სოციალური ზრდის ნიშანი. მოზარდებს შეუძლიათ უბრალოდ უყვარდეთ ან არ მოსწონდეთ რაიმე უმიზეზოდ და ხანდახან როდესაც მათ სტკივათ ან ვინმემ მათ შეურაცხყოფა მიაყენა, ისეთი შეგრძნება აქვთ, თითქოს მთელი სამყარო მათ წინააღმდეგ შემობრუნდა და, შესაბამისად, გარეგან ყურადღებას ითხოვენ და ეს ვლინდება გაღიზიანების, ზედმეტი მგრძნობელობის, ზედმეტი აზროვნების გამოვლენით, განწყობის ცვალებადობით.

მოზარდობა (10-19 წელი) არის უნიკალური პერიოდი ადამიანის პიროვნებად ჩამოყალიბების პროცესში. მრავალმა ფიზიკურმა, ემოციურმა და სოციალურმა ცვლილებამ, მათ შორის სიღარიბემ, ან ძალადობის ზემოქმედებამ, შეიძლება მოზარდები დაუცველი გახადოს ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მიმართ. ფსიქოლოგიური კეთილდღეობის ხელშეწყობა და მოზარდების დაცვა არასასურველი გამოცდილებისა და რისკ ფაქტორებისგან, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს მათ განვითარებაზე, უმნიშვნელოვანესია მოზარდობის პერიოდში მათი კეთილდღეობისთვის და ზრდასრულ ასაკში მათი ფიზიკური და გონებრივი ჯანმრთელობისთვის.

საკვანძო სიტყვები:
ფსიქიკური ჯანმრთელობა, მოზარდობის ასაკი, განწყობის ცვალებადობა, განვითარება.

The Importance of Mental Health in Adolescence

David Katamadze
PhD student,
BSU Visiting teacher of the Department of Psychology

Professor Lia Metreveli
Georgian Technical University
Department of Social Sciences

Abstract

According to international studies, it is found that on average every fifth teenager has a high probability of experiencing a mental health problem. Signs of mental illness may first appear in adolescence. Half of substance abuse and common mental disorders have an underlying cause and can be diagnosed before the age of 14. This number reaches 3/4 at the age of 24.

Biological circumstances are said to play a role in adolescent mental health. Behavioral and autism spectrum disorders, attention deficit and hyperactivity disorder are more common in boys, and eating disorders and depression are more common in girls.

Teenagers are prone to mood swings, feeling anxious and nervous. However, this does not necessarily mean that they suffer from a common mental disorder. All of these characteristics are normal in people who are growing up, especially during adolescence, which is a sign of rapid physical, mental, and social growth. Adolescents can just love or dislike something for no reason and sometimes when they are hurt or hurt by someone, they feel as if the whole world has turned against them and therefore demand external attention and this manifests itself in irritability, over-sensitivity, over-thinking, moodiness with variability.

Adolescence (10-19 years) is a unique period in the process of forming a human personality. Many physical, emotional and social changes, including poverty or exposure to violence, can make adolescents vulnerable to mental health problems. Promoting psychological well-being and protecting adolescents from adverse experiences and risk factors that may affect their development is critical to their well-being during adolescence and to their physical and mental health in adulthood.

Key words:
Mental health, Adolescence, Mood swings, Development.

შესავალი

მენტალური ჯანმრთელობა და ფსიქიკური დაავადება

1999 წლის ქირურგის მოხსენებაში ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ, ფსიქიკური ჯანმრთელობა განისაზღვრა, როგორც „გონებრივი ფუნქციის წარმატებული შესრულება, რაც იწვევს პროდუქტიულ საქმიანობას, სხვა ადამიანებთან ურთიერთობის სრულყოფილებას და უნარს, შეიცვალოს და გაუმკლავდეს სირთულეებს“.

ფსიქიკური დაავადება ეხება დიაგნოსტირებად ფსიქიკურ აშლილობებს, რომლებიც ხასიათდება აზროვნების, განწყობის ან ქცევის (ან მათი კომბინაციით) ცვლილებებით, რომლებიც დაკავშირებულია დისტრესთან და/ან ფუნქციონირების დაქვეითებასთან. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) 2004 წლის ანგარიში მოიცავს მსგავს განსხვავებას ფსიქიკურ ჯანმრთელობასა და ფსიქიკურ დაავადებას შორის. ბავშვებში ეს მოიცავს ემოციური და ქცევითი პრობლემების ფართო სპექტრს, რომლებიც, ზოგადად, არ შეიძლება ჩაითვალოს ფსიქიკურ ან ფსიქიატრიულ აშლილობად. აქ ტერმინები ემოციური, ქცევითი და ფსიქიკური აშლილობები გამოიყენება ურთიერთშენაცვლებით[1].

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია (ჯანმო), ჯანმრთელობას განმარტავს როგორც სრული ფიზიკური, ფსიქიკური და სოციალური კეთილდღეობის მდგომარეობას და – არა, როგორც ავადმყოფობისა და უძლურების არ არსებობას. ჯანმოს განმარტების შესაბამისად ემოციური, ფიზიკური და სოციალური კეთილდღეობის მდგომარეობაში მყოფი ადამიანები ასრულებენ ცხოვრებისეულ მოვალეობებს, ყოველდღიურად ეფექტურად მოქმედებენ და კმაყოფილები არიან თავისი ინტერპერსონალური ურთიერთობებით.

ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ფსიქიკური აშლილობის ზუსტი და ერთმნიშვნელოვანი განმარტება თანამედროვე ლიტერატურაში არ არსებობს. თუმცა მიღებულია, რომ პირი, რომლის ქცევა და სოციალური როლი შეესაბამება თანამედროვე საზოგადოებაში მიღებულ სოციალურ ნორმებსა და მოლოდინებს, ფსიქიკურად ჯანმრთელ ადამიანად ითვლება. შესაბამისად, ფსიქიკური აშლილობის მქონე ადამიანად ითვლება პირი, რომლის ქცევა და სოციალური როლი არ შეესაბამება თანამედროვე სოციუმის მიერ მიღებულ ნორმებს. იმის გამო, რომ კონკრეტული სოციუმის ნორმა მნიშვნელოვნად დამოკიდებულია საზოგადოების კულტურასა და ადათ-წესებზე, ფსიქიკური ჯანმრთელობის განმარტება, ხშირად ლოკალური კულტურული მახასიათებლების ზეგავლენის ქვეშაც ექცევა. ის, რაც ერთი კულტურისა და სოციუმის ადამიანთა ჯგუფისათვის მისაღები ქცევაა, შესაძლოა მიუღებელი იყოს სხვა ისტორიის, კულტურისა და ადათ-წესების მქონე საზოგადოებისთვის[2].

ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ფსიქიკური დაავადების განმსაზღვრელი ფაქტორები

ყოველი მეექვსე ზრდასრული ადამიანი განიცდის ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემას ნებისმიერ დროს. ზოგიერთისთვის ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები ხანმოკლე და მართვადია, თუმცა, ზოგიერთისთვის ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები გრძელდება მრავალი წლის განმავლობაში, განსაკუთრებით თუ სათანადო მკურნალობა არ ხდება.

სპექტრი და სიმძიმე, რომელიც მოიცავს ფსიქიკური ჯანმრთელობის აშლილობას, არის როგორც ფართო, ასევე რთული და მოიცავს:

---

1 David K nopf, M. Jane Park , & T. P. Mulye - The Mental Health of Adolescents: A National Profile. Published by: National Adolescent Health Information Center University of California, San Francisco, Division of Adolescent Medicine. 2008

2 ოკრიბელაშვილი ნ. - ფსიქიატრიული პაციენტის საექთნო მართვა. თბ. 2020

- საერთო ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები, როგორიცაა შფოთვა, დეპრესიული აშლილობები, დეპრესიული ეპიზოდები, ფობიები და პანიკური აშლილობა;
- ფსიქიკური ჯანმრთელობის მძიმე და გრძელვადიანი პრობლემები, როგორიცაა შიზოფრენია, შიზოტიპური და სხვა ბოდვითი აშლილობები, მანიაკალური ეპიზოდები, ბიპოლარულ-აფექტური აშლილობა და სხვა ემოციური აშლილობა ფსიქოზური სიმპტომებით.

კეთილდღეობა არის კომბინაცია:

- **თავს კარგად გრძნობს** - აერთიანებს არა მხოლოდ ბედნიერებისა და კმაყოფილების დადებით ემოციებს, არამედ ისეთ ემოციებს, როგორიცაა ინტერესი, ჩართულობა, თავდაჯერებულობა და სიყვარული;
- **ეფექტურად ფუნქციონირება (ფსიქოლოგიური გაგებით)** - საკუთარი პოტენციალის განვითარება, საკუთარი ცხოვრების გარკვეული კონტროლი, მიზნის განცდა (მაგალითად, ღირებული მიზნებისკენ მუშაობა) და პოზიტიური ურთიერთობების გამოცდილება.

ფსიქიკური აშლილობის განმსაზღვრელი ფაქტორები განსხვავდება ცხოვრების მანძილზე, თუმცა, არსებობს აბსოლუტური მტკიცებულება იმისა, რომ სიცოცხლის განმავლობაში ფსიქიკური აშლილობის უმეტესობა სრულწლოვანებამდე ჩნდება; ფსიქიკური აშლილობის დაწყების ასაკი რამდენიმე ათწლეულით უსწრებს ფიზიკურ დაავადებას. დადგენილია, რომ სიცოცხლის განმავლობაში ფსიქიკური აშლილობის 50% იწყება 14 წლის ასაკში; და ფსიქიკური აშლილობის 75% ჩნდება ოციანი წლების შუა ხანებში.

ბავშვობაში და მოზარდობის პერიოდში ფსიქიკური დაავადებების გაზრდილ რისკთან დაკავშირებული ფაქტორები მოიცავს:

- ორსულობის დროს დედის ჯანმრთელობა (მათ შორის ფსიქიკური ჯანმრთელობა, მოწევა, ნივთიერების ბოროტად გამოყენება, ალკოჰოლი);
- მცირე წონა და დღენაკლულობა;
- ოჯახის სტრუქტურა;
- ოჯახის შემოსავალი, თანამდებობა და კეთილდღეობაზე დამოკიდებულება;
- მშობლების უმუშევრობა;
- მშობლების განათლების დაბალი დონე;
- ეკრანთან გატარებული დრო ბავშვებში;

არასასურველი ბავშვობის გამოცდილება შეფასებულია ზრდასრულთა ფსიქიკური ჯანმრთელობის დაახლოებით 30%-ზე. სხვა ფაქტორები, რომლებიც დაკავშირებულია ზრდასრულ ასაკში ფსიქიკური დაავადებების გაზრდილ რისკთან, მოიცავს:

- დეპრივაცია;
- უმუშევრობა;
- ვალები;
- ძალადობა;
- სტრესული ცხოვრებისეული მოვლენები;
- უთანასწორობა;
- ცუდი საცხოვრებელი პირობები და სიღარიბე;

უთანასწორობა და **დეპრივაცია** არის ძირითადი ელემენტები კეთილდღეობისა და ფსიქიკური ავადმყოფობის რისკის ფაქტორების მთელი რიგისთვის, რაც შემდგომში კიდევ უფრო ზრდის უთანასწორობას.[3]

3 Joint Strategic Needs Assessment. Chapter 4 - The Determinants of Mental Health and Wellbeing. 2020 https://jsna.bradford.gov.uk/documents/The%20people%20of%20Bradford%20District%20have%20good%20mental%20wellbeing/3.1%20The%20Determinants%20of%20Mental%20Health%20and%20Wellbeing/The%20Determinants%20of%20Mental%20Health%20and%20Wellbeing.pdf

რისკ-ჯგუფი

მოსახლეობის გარკვეულ ჯგუფს აქვს ფსიქიკური აშლილობისა და დაბალი ფსიქიკური კეთილდღეობის უფრო მაღალი რისკი და, შესაბამისად, არაპროპორციულად სარგებლობს ინტერვენციებით (პროპორციული უნივერსალიზმი). პოპულაციის ჯგუფები, რომლებიც გამოვლენილია ლიტერატურიდან, როგორც ცუდი ფსიქიკური ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის მაღალი რისკის ქვეშ, მოიცავს:

- სწავლის უნარის დარღვევის მქონე ბავშვები
- ფიზიკური ავადმყოფობის მქონე ბავშვები
- ბავშვები ფსიქიკური აშლილობის მქონე მშობელთან
- პატიმრობაში მყოფი ახალგაზრდები
- უსახლკარო პირები
- გრძელვადიანი პირობების მქონე მოზრდილები
- ორსული და მშობიარობის შემდგომი ქალები
- სწავლის უნარის დარღვევის მქონე მოზარდები

ფსიქიკური ჯანმრთელობის მაჩვენებელი მოზარდობის ასაკში

მოზარდობა გადამწყვეტი პერიოდია ფსიქიკური კეთილდღეობისთვის მნძიშვნელოვანი სოციალური და ემოციური ჩვევების ჩამოყალიბებისა და შენარჩუნებისთვის. ეს მოიცავს:

- ჯანსაღი ძილის მოდელების მიღება;
- რეგულარული ვარჯიში;
- დაძლევის, პრობლემის გადაჭრის და ინტერპერსონალური უნარების განვითარება;
- ემოციების მართვა;
- ასევე მნიშვნელოვანია ოჯახში, სკოლაში და ფართო საზოგადოებაში ხელშემწყობი გარემო.
- მოზარდების დაახლოებით 10-20% გლობალურად განიცდის ფსიქიკურ ჯანმრთელობის პრობლემას, მაგრამ ეს რჩება არადიაგნოსტირებული და ხდება არასათანადო მკურნალობა ან საერთოდ არ ხდება მკურნალობა.

რისკ-ფაქტორები მოზარდობის ასაკში

მრავალი ფაქტორი განსაზღვრავს ფსიქიკური ჯანმრთელობის შედეგებს. რაც უფრო მეტი რისკ-ფაქტორი ექვემდებარება მოზარდს, მით უფრო დიდია პოტენციური გავლენა მათ ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე. ფაქტორები, რომლებმაც შეიძლება ხელი შეუწყონ სტრესს მოზარდობის პერიოდში, მოიცავს:

- ავტონომიის მიღების სურვილი;
- თანატოლთა ჯგუფში გაერთიანება;
- სექსუალური იდენტობის კვლევა;
- ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობა და გამოყენება;
- მედიის გავლენამ და გენდერულმა ნორმებმა შეიძლება გაამძაფროს განსხვავება მოზარდის ცოცხალ რეალობასა და მომავალში მათ აღქმასა თუ მისწრაფებებს შორის;

სხვა მნიშვნელოვანი განმსაზღვრელი ფაქტორები მოიცავს

- მათ საცხოვრებელ პირობებს;
- თანატოლებთან ურთიერთობას;
- ძალადობას (მათ შორის მკაცრი მშობლებისა და ბულინგის ჩათვლით) და სოციალურ - ეკონომიკური პრობლემებს
- ბავშვები და მოზარდები განსაკუთრებით დაუცველნი არიან სექსუალური ძალადობის მიმართ, რასაც აშკარა კავშირი აქვს მავნე ფსიქიკურ ჯანმრთელობასთან.

ზოგიერთ მოზარდს ემუქრება ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობის უფრო

დიდი რისკი მათი

- ცხოვრების პირობების, სტიგმის, დისკრიმინაციის ან გარიყულობის გამო,
- ხარისხიანი მხარდაჭერისა და მომსახურების ხელმისაწვდომობის გამო. ესენია ჰუმანიტარულ და მყიფე გარემოში მცხოვრები მოზარდები;
- ქრონიკული დაავადების, აუტიზმის სპექტრის აშლილობის, ინტელექტუალური შეზღუდვის ან სხვა ნევროლოგიური მდგომარეობის მქონე მოზარდები;
- ორსული მოზარდები, მოზარდი მშობლები, ან ადრეული და/ან იძულებითი ქორწინება;
- ობლები;
- უმცირესობათა ეთნიკური თუ სექსუალური წარმომავლობის მოზარდები ან სხვა დისკრიმინირებული ჯგუფები.

დასკვნა

საერთაშორისო კვლევების თანახმად, აშკარაა, რომ საშუალოდ ყოველ მეხუთე მოზარდს აქვს დიდი ალბათობა განიცადოს ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემა. მოზარდობის ასაკში პირველად შეიძლება გამოვლინდეს ფსიქიკური დაავადების ნიშნები. ნივთიერებების ბოროტად გამოყენებასა და საერთო ფსიქიკური აშლილობის ნახევარს აქვს საფუძველი და მისი ამოცნობა შესაძლებელია 14 წლის ასაკამდე. ეს რიცხვი 24 წლის ასაკში 3/4 აღწევს.

ნათქვამია, რომ ბიოლოგიური სიტუაციები მონაწილეობს მოზარდების ფსიქიკურ ჯანმრთელობაში. ბიჭებში უფრო მეტად ვლინდება ქცევითი და აუტიზმის სპექტრის დარღვევები, ყურადღების დეფიციტის და ჰიპერაქტივობის აშლილობით, ხოლო გოგონებში უფრო მეტად ავადდებიან კვების დარღვევებით და დეპრესიით.

მოზარდები მიდრეკილნი არიან განწყობის ცვალებადობისკენ, შფოთვის და ნერვიულობის შეგრძნებით. თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ისინი ავადდებიან საერთო ფსიქიკური აშლილობით. ყველა ეს მახასიათებელი ნორმალურია იმ ადამიანებში, რომლებიც იზრდებიან განსაკუთრებით მოზარდობის პერიოდში, რაც არის სწრაფი ფიზიკური, გონებრივი და სოციალური ზრდის ნიშანი. მოზარდებს შეუძლიათ უბრალოდ უყვარდეთ ან არ მოსწონდეთ რაიმე უმიზეზოდ და ხანდახან როდესაც მათ სტკივათ ან ვინმემ მათ შეურაცხყოფა მიაყენა, ისეთი შეგრძნება აქვთ, თითქოს მთელი სამყარო მათ წინააღმდეგ შემობრუნდა და, შესაბამისად, გარეგან ყურადღებას ითხოვენ და ეს ვლინდება გაღიზიანების, ზედმეტი მგრძნობელობის, ზედმეტი აზროვნების გამოვლენით, განწყობის ცვალებადობით.

ბავშვობა და მოზარდობა ცხოვრების კრიტიკულად მნიშვნელოვანი ეტაპებია პიროვნების ფსიქიკური ჯანმრთელობისა და კეთილდღეობისთვის, არა მხოლოდ იმიტომ, რომ ახალგაზრდებს უვითარდებათ ავტონომია, თვითკონტროლი, სოციალური ინტერაქცია და სწავლა, არამედ იმიტომაც, რომ ამ პერიოდში ჩამოყალიბებული შესაძლებლობები პირდაპირ გავლენას ახდენს მათზე. ნეგატიურ გამოცდილებას - როგორიცაა ოჯახური კონფლიქტი სახლში ან ბულინგი სკოლაში - შეიძლება ჰქონდეს გრძელვადიანი მავნე ზეგავლენა ძირითადი კოგნიტური და ემოციური უნარების განვითარებაზე.[4]

მოზარდობა (10-19 წელი) არის უნიკალური პერიოდი ადამიანის პიროვნებად ჩამოყალიბების პროცესში. მრავალმა ფიზიკურმა, ემოციურმა და სოციალურმა ცვლილებამ, მათ შორის სიღარიბემ, ან ძალადობის ზემოქმედებამ, შეიძლება მოზარდები დაუცველი გახადოს ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მიმართ. ამიტომაც, ფსიქოლოგიური კეთილდღეობის ხელშეწყობა და მოზარდების დაცვა არასასურველი გამოცდილებისა და რისკ ფაქტორებისგან, რამაც შეიძლება გავლენა

4 WHO Regional Office for Europe: Factsheet for World Mental Health Day 2018. Adolescent mental health in the European Region. 2018

მოახდინოს მათ განვითარებაზე, უმნიშვნელოვანესია მოზარდობის პერიოდში მათი კეთილდღეობისთვის და ზრდასრულ ასაკში მათი ფიზიკური და გონებრივი ჯანმრთელობისთვის.

გამოყენებული ლიტერატურა

- ოკრიბელაშვილი ნ. - ფსიქიატრიული პაციენტის საექთნო მართვა. თბ. 2020
- David K nopf, M. Jane Park , & T. P. Mulye - The Mental Health of Adolescents: A National Profile. Published by: National Adolescent Health Information Center University of California, San Francisco, Division of Adolescent Medicine. 2008
- Joint Strategic Needs Assessment. Chapter 4 - The Determinants of Mental Health and Wellbeing. 2020 https://jsna.bradford.gov.uk/documents/The%20people%20of%20Bradford%20District%20have%20good%20mental%20wellbeing/3.1%20The%20Determinants%20of%20Mental%20Health%20and%20Wellbeing/The%20Determinants%20of%20Mental%20Health%20and%20Wellbeing.pdf
- WHO Regional Office for Europe: Factsheet for World Mental Health Day 2018. Adolescent mental health in the European Region. 2018

სტუდენტების აკულტურაციის ორიენტაციები და ეთნიკურ/ რელიგიურ ჯგუფებთან სიახლოვის აღქმა

თინათინ ტყეშელაშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

წინამდებარე სტატია ეხება აკულტურაციის პროცესში საკუთარ და სხვა ეთნიკურ/ რელიგიურ ჯგუფებთან სიახლოვის როლს.

კერძოდ, განხილულია განაპირობებს თუ არა საკუთარი და უმრავლესობის ჯგუფების წარმომადგენლებთან სიახლოვის აღქმა და მათთან იდენტიფიკაცია ეთნიკური უმცირესობების მიერ აკულტურაციის ორიენტაციების არჩევას. ჩატარებული კვლევის ამოცანას წარმოადგენდა საქართველოს მოქალაქე სომეხ და აზერბაიჯანელ სტუდენტებში ერთის მხრივ აკულტურაციის ორიენტაციების დადგენა, და მეორეს მხრივ საკუთარ და უმრავლესობის ეთნიკური, რელიგიური ჯგუფების, ასევე უმცირესობების ისტორიული სამშობლოს წარმომადგენლებთან სიახლოვის აღქმის ანალიზი და შედარება ეთნიკურ ჯგუფებს შორის.

კვლევის მეთოდოლოგია დაეფუძნა აკულტურაციის პროცესში ეთნიკურ და ეროვნულ ჯგუფებთან კულტურული დისტანციისა და იდენტიფიკაციის საკითხზე არსებულ კონცეპტუალურ მსჯელობას და მიგნებებს. არონის და კოლეგების (Aron et al., 1992) *მე-ში სხვისი ჩართულობის (*Inclusion of Other in Self/IOS) ინსტრუმენტი იყო გამოყენებული საკუთარ და სხვა ჯგუფთან სიახლოვის აღქმის და შესაბამისად იდენტიფიკაციის (Tropp, Wright, 2001) გასაზომად. ხოლო აკულტურაციის ორიენტაციების დადგენა მოხდა აკულტურაციის ორი კონცეპტუალური მოდელის - *უმრავლესობის კულტურის მიღების* და საფუძველზე შემუშავებული ინსტრუმენტით (Snauwaert B., Soennens B., Vanbeselaere N., 2003), რომლის კროს კულტურული ადაპტაცია მოხდა (ქიტიაშვილი, ტყეშელაშვილი, 2022).

სტატიაში გაანალიზებულია 2017 წლის ბოლოს სტუდენტებთან ჩატარებული კვლევის შედეგების ნაწილი. მასში მონაწილეობა მიიღეს აზერბაიჯანელმა *(N=233)*, ქართველმა *(N=279)* და სომეხმა *(N=202)* სტუდენტებმა *(N=714).*

კვლევამ აჩვენა, რომ ეთნიკური უმცირესობის სტუდენტები სიახლოვეს ყველაზე მეტად საკუთარი ეთნიკური, რელიგიური ჯგუფების და ისტორიული სამშობლოს (სომეხი სტუდენტების შემთხვევაში) წარმომადგენლების მიმართ გრძნობენ. კვლევაში მონაწილე სამივე ეთნიკური ჯგუფის შედეგები ერთმანეთთან ყველაზე მიახლოებულია საქართველოს მოქალაქესთან და შემდეგ ქართველთან იდენტიფიკაციის კუთხით, რის საფუძველზე შეგვიძლია დავუშვათ, რომ სამოქალაქო იდენტიფიკაციას სამივე ეთნიკური ჯგუფი ავლენს და იზიარებს. დანარჩენი კატეგორიების მიმართ მათი სიახლოვის აღქმის მაჩვენებელი მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისგან.

აზერბაიჯანელი და სომეხი სტუდენტების უმრავლესობა ინტეგრაციის ორიენტაციას ირჩევს ორივე თეორიული მოდელის მიხედვით (ქიტიაშვილი, ტყეშელაშვილი, 2022). *კულტურის მიღების მოდელის* შემთხვევაში ინტეგრაციის ორიენტაციის განმსაზღვრელი არის სიახლოვე ეთნიკურ ქართველთან, ხოლო *კონტაქტის მოდელის* შემთხვევაში კი სიახლოვის აღქმა საქართველოს მოქალაქესთან.

საკვანძო სიტყვები:
ინტეგრაცია, ასიმილაცია, სეპარაცია და მარგინალიზაცია, ეთნიკური და ეროვნული იდენტიფიკაცია, სიახლოვის აღქმა უმცირესობის და უმრავლესობის ჯგუფებთან

Students' Acculturation Orientations and Perceptions of Closeness to Ethnic/Religious Groups

Tinatin Tkeshelashvili
Tbilisi State University, PhD Student

Abstract

The present article discusses the role of closeness to one's own and other ethnic/religious groups in the process of acculturation.

Specifically, the article is about whether the perception of closeness to the representatives of one's own and majority groups and identification with them determines the choice of acculturation orientations among ethnic minorities. The research conducted aimed to identify the orientations of acculturation among Armenian and Azerbaijani students with Georgian citizenship on the one hand, and on the other hand, to analyze and compare the perception of closeness between one's own and majority ethnic and religious groups and the representatives of historical homeland of minorities.

The research methodology was based on the existing conceptual reasoning and key findings on the issues of cultural distance and identification with ethnic and national groups in the process of acculturation. The Inclusion of Other in the Self (IOS) Scale (Aron et al., 1992) was used to measure closeness and hence identification with in- and outgroups (Tropp, Wright, 2001). Orientations of acculturation were measured by an instrument developed based on two conceptual models – adoption of dominant culture and contact with the dominant society - (Snauwaert B., Soenens B., Vanbeselaere N., 2003); for this purpose, the cross cultural adaptation was performed (Kitiashvili, Tkeshelashvili, 2022).

The article analyzes some of the results of a study conducted at the end of 2017, in which Azerbaijani (N = 233), Georgian (N = 279) and Armenian (N = 202) students took part (N = 714).

Research has shown that ethnic minority students feel themselves closest to members of their own ethnic, religious groups and the representatives of their respective historical homeland (in case of Armenian students). Georgian citizen and thereafter ethnic Georgian are the two categories towards which closeness is showed by all three ethnic groups; considering the above, it can be assumed that civil identification is revealed and shared by them. Perception of their closeness to the rest of the categories is significantly different from each other.

The majority of Armenian and Azerbaijani students choose an integration orientation according to both theoretical models (Kitiashvili, Tkeshealshvili, 2022). The determining factor of integration orientation is closeness to the ethnic Georgian in case of the *culture adoption model,* and the determinant of integration orientation is perception of closeness to the Georgian citizen when it comes to *contact model of acculturation.*

Key words:
integration, assimilation, separation and marginalization, ethnic and natural identification, perception of closeness to minority and majority groups.

შესავალი

ეთნიკური უმცირესობების საკუთარ და უმრავლესობის ჯგუფებთან იდენტიფიკაციის და მათ შორის კულტურული დისტანციის გავლენის საკითხი აკულტურაციის მკვლევარების ყურადღების ცენტრშია[1]. საკუთარი ეთნიკური ჯგუფი და მიმღები საზოგადოება წარმოადგენს აკულტურაციის პროცესის ორ ძირითად ღერძს. *ერთგანზომილებიან* მიდგომას გორდონის (Gordon, 1964) მიხედვით საფუძვლად უდევს დაშვება, რომ მიმღებ საზოგადოებასთან იდენტიფიკაციის პარალელურად ინდივიდი კარგავს საკუთარი, ტრადიციული კულტურის იდენტობას[2]. აკულტურაციის *ორგანზომილებიანი* მიდგომის მიხედვით, იდენტიფიკაცია *საკუთარ ეთნიკურ* ჯგუფთან და *მიმღებ საზოგადოებასთან* ერთმანეთისგან დამოუკიდებელად უნდა იყოს განხილული. აკულტურაციის პროცესში ცვლილება პარალელურად ორივე განზომილებას სხვადასხვა ხარისხით ეხება[3]. ეთნიკური უმცირესობების ჯგუფები შესაძლებელია გარკვეულ დონეზე დაეუფლონ დომინანტური კულტურის კომპეტენციებს და ამავე დროს შეინარჩუნონ ან უარყონ საკუთარი ეთნიკური იდენტობა[4]. ორგანზომილებიან მოდელებს შორის ლიტერატურაში ყველაზე ფართოდ გამოყენებული და განხილული ბერის მიდგომაა[5], რომლის მიხედვით აკულტურაციის პროცესში გამოიყოფა უმცირესობის და უმრავლესობის ოთხ სტრატეგინა[6].

ეთნიკური იდენტობის/იდენტიფიკაციის საკითხები გადაჯაჭვულია აკულტურაციასთან და მათ შორის მიმართება არაერთმნიშვნელოვანია[7]. იასინსკაია-ლაჰტის[8] მიხედვით, სირთულეს წარმოადგენს ეთნიკური იდენტობის შეთანხმებული დეფინიციის არარსებობა. სოციალური იდენტობის თეორიის საფუძველზე, ეთნიკური იდენტობის სიძლიერე ან ხარისხი ფინიმ კონცეპტუალურად განსაზღვრა, როგორც ინდივიდის კონკრეტული ეთნიკურ ჯგუფისადმი მიკუთვნებულობის გრძნობა, რომელსაც ახლავს ჯგუფის წევრობასთან დაკავშირებული ემოციური დატვირთვის ხარისხი, გაზიარებული ღირებულებები, თვით-იდენტიფიკაცია[9]. თუმცა ლიბკინდი[10] თვლის, რომ ემპირიული კვლევების მიხედვით ეთნიკური/კულტურული იდენტობის კომპლექსურობა ცდება სოციალური იდენტობის თეორიის ფარგლებს. იასინსკაია-ლაჰტი[11] *ეთნიკურობას* და *ეთნიკური თვით-იდენტიფიკაციას* ერთმანეთისგან მიჯნავს. *ეთნიკურობა* წარმოადგენს მშობლების ეთნიკური მემკვიდრეობით განსაზღვრულ კატეგორიას.

ფინი და კოლეგები[12] მიიჩნევენ, რომ აკულტურაცია *ეთნიკურ იდენტობაზე* უფრო ფართო კონსტრუქტია და მოიცავს ქცევის, დამოკიდებულებების, ღირებულებების ფართო სპექტრს, რომელიც ორი კულტურის კონტაქტისას განიცდის ცვლილებას. ეთნიკური იდენტობა წარმოადგენს აკულტურაციის ასპექტს[13].

ლიბკინდი აღნიშნავს, რომ აკულტურაციის კვლევაში ეთნიკური/კულტურული იდენტობის სხვადასხვა ასპექტს უნდა მიექცეს ყურადღება. მათ შორის საკუთარ და

---

1 Phinney, 1990; Triandis, 1994; Jasiskaja-Lahti, 2000; Phinney J., Horenczyk G., Liebkind K., Vedder P., 2001; Sam, 2006; Berry, 2006; Schwartz et al., 2010
2 Jasiskaja-Lahti, 2000; Rudmin, 2003
3 Phinney et al., 2001; Liebkind, 2003; Sam, 2006; Berry, 2006
4 Hutnik, 1986
5 Bourhis et al., 1997; Rudmin, 2003
6 Berry, 2003
7 Liebkind, 2003
8 Jasinskaja-Lahti, 2000
9 Phinney, 1998, 2001; Jasinskaja-Lahti, 2000
10 Liebkind, 2003
11 Jasinskaja-Lahti, 2000
12 Phinney J., Horenczyk G., Liebkind K., Vedder P., 2001
13 Sam, 2006

